The New ECONOMIST

DOI suffix: 10.36962/NEC62-6303-042021

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL, PRECISE AND REVIEWED

N3-4, 2021, VOL 16, ISSUE 3

Economy is Everything!

ISSN 2667-9752 (ONLINE)
ISSN 1512-4649 (PRINT)

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ეკონომიკა ყველაფერია!

ახალი ეკონომისტი

The Magazine "The New Economist"
HAS BEEN REVIEWED:
In "Georgian Reviewed Magazine" –
P.L.L.E. Institute of Techinform.
Identifiable in the **Google Scholar**
and **Research Gate** bases.
ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;

- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, (Business School ESM);
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;

- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;

- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Nursultan).

ADDRESS: 5 A. Jorjadze str.,
0105, Tbilisi, Georgia.
Tel.: +995 (32) 2 990 576;
Mob.: +995 55 277 554; +995 (58) 944 800.

ჟურნალი "ახალი ეკონომისტი"
რეფერირებულია:
სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში „ქართულ რეფერატულ ჟურნალში".
იდენტიფიცირებადია **გუგლ სქოლარსა** და **რისერჩ გეიტსის** ბაზებში.

რეფერირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, (ბიზნესის სკოლა ESM);
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ნურსულტანი).

მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ა. ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 2 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (58) 944 800.

E-mail: editor@neweconomist.com.ge; loidk@yahoo.com
web-site: www.neweconomist.com.ge; www.loi.com. ge

The New ECONOMIST

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL,

PRECISE AND REVIEWED N3-4(62-63), 2021, Vol. 16, Issue 3.

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration,
Professor of Georgian Technical University;
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

GIORGI ABASHISHVILI; RAMAZ ABESADZE; NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; GIVI BEDIANASHVILI; ROSTOM BERIDZE; SIMON GELASHVILI; RAMAZ GERLIANI; REVAZ GVELESIANI; VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Belarusia State University); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Rector of Kutaisi University); NATIA TURNAVA (Minister of Economy and Sustainable Development of Georgia); SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); NAMIG YSAZADE; MERAB KAKULIA; REVAZ KVATASHIDZE; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE (Head of Budget and Finance Committee of Parliament of Georgia); KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ENVER LAGVILAVA; The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); LASHA MGELADZE; ELGUJA MEQVABISHVILI; DAVID NARMANIA (Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission (GNERC), Chairman); SOLOMON PAVLIASHVILI (Deputy Minister of Environmental Protection and Agriculture of Georgia); VAKHTANG SARTANIA; ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA; GELA SVIRAVA; LASHA TABATADZE (Risponsible Secretary); DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI (Dean of the School of Business, Computing and Social Sciences of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI (Rector of East European University); MICHAEL CHIKVILADZE; NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; VASIL KHIZANISHVILI; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Sukhumi State University); IVANE JAGODNISHVILI (Professro of Georgian Technical University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); DIMITRI JAPARIDZE (Ilia State University, Dean of the Faculty Business, Technology and Education); MICHAEL JIBUTI (Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.

ახალი ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №3-4 (62-63), 2021, ტ. 16, გამოც.3

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

გიორგი აბაშიშვილი; რამაზ აბესაძე; ნინო აბესაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელგერდ ბატიაშვილი; გივი ბედიანაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის შ. რუსთაველის სახელმფიფო უნივერსიტეტი); სიმონ გელაშვილი; რამაზ გერლიანი; რევაზ გველესიანი; ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე (ქუთაისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ნათია თურნავა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი); სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ნამიგ ისაზადე; მერაბ კაკულია; რევაზ კვატაშიძე (მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი); ალექსანდრე კვაშილავა; გია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე); კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ენვერ ლაგვილავა; ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-ბაგრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი); რევაზ ლორთქიფანიძე; შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ლაშა მგელაძე; ელგუჯა მექვაბიშვილი; დავით ნარმანია (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე); სოლომონ პავლიაშვილი (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე); ვახტანგ სართანია; ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა; გელა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); ლაშა ტაბატაძე (პასუხისმგებელი მდივანი); დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ფეტელავა; ლევან ქისტაური (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); ეკატერინე შაკიაშვილი; თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ფაია შულენგაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; დავით ჩერქეზიშვილი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი); მიხეილ ჩიკვილაძე; ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; ვასილ ხიზანიშვილი (თელავის უნივერსიტეტი); დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ივანე ჯაგოდნიშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); დიმიტრი ჯაფარიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი); მიხეილ ჯიგუტი (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნანა ჯღარკავა.

სტატიაზე, მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

© ჟურნალი „The New Economist“, „ახალი ეკონომისტი“, 2021წ.
© გამომცემლობა „ლოი“

ფასი 10 ლარი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

SCIENCE

NUGZAR TODUA, NINO GOGITIDZE
Features of the Use of Digital Marketing in the Banking Sector ---------- 7

LASHA TABATADZE
Circular Economy, Problems and Challenges ---------- 16

LASHA MGELADZE
Development Plan of the Country and some of its Aspects ---------- 20

NATO KAKAKSHVILI, KHATUNA BARBAKADZE
Perspectives of the development of life insurance in Georgia ---------- 33

SOFIKO DZHVARSHEISHVILI
Developing Tendencies of Foreign Direct Investments ---------- 41

VASIL KHIZANISHVILI
The Japanese economic miracle and the role of government in the process of its achievement - 48

JAMLET JANJGHAVA, SOFIKO GULEDANI
For the issue of unemployment and employment ---------- 55

ANA CHAGELISHVILI, NATIA SURMANIDZE
Impact of the Covid-19 pandemic on public procurement in Georgia
(On the example of simplified procurement) ---------- 62

LALI OQROTSVARIDZE, AVTANDIL OQROTSVARIDZE
Ecology - "world through a small window" ---------- 66

MARIAM CHACHUA
Hindering Factors for exporting Georgian Agri-food Products to the EU Market (DCFTA) -------- 72

MARIAM GIRSIASHVILI
New Challenge for Business - Financial Reporting ---------- 79

ONISE MIRTSKHULAVA
Taxes - According to Fairness, Utility or Solvency? ---------- 84

NEW BOOCKS

"Global Challenges in a Unipolar World" ---------- 88

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მეცნიერება

ნუგზარ თოდუა, ნინო გოგიტიძე
ციფრული მარკეტინგის გამოყენების თავისებურებები საბანკო სექტორში ---------- 7

ლაშა ტაბატაძე
ცირკულარული ეკონომიკა, პრობლემები და გამოწვევები ----------16

ლაშა მგელაძე
ქვეყნის განვითარების გეგმა და მისი ზოგიერთი ასპექტი ----------20

ნატო კაკაშვილი, ხათუნა ბარბაქაძე
სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში ----------33

სოფიკო ჯვარშეიშვილი
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარების ტენდენციები ----------41

ვასილ ხიზანიშვილი
იაპონური ეკონომიკური სასწაული და მთავრობის როლი მისი მიღწევის პროცესში -------48

ჯამლეტ ჯანჯღავა, სოფიკო გულედანი
უმუშევრობისა და დასაქმების საკითხისათვის ----------55

ანა ჩაგელიშვილი, ნათია სურმანიძე
Covid-19 პანდემიის გავლენა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებზე
(გამარტივებული შესყიდვების მაგალითზე)----------62

ლალი ოქროცვარიძე, ავთანდილ ოქროცვარიძე
ეკოლოგია - „სამყარო მცირე სარკმლიდან“----------66

მარიამ ჩაჩუა
ევროკავშირის ბაზარზე აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის
შემაფერხებელი ფაქტორები საქართველოში (DCFTA) ----------72

მარიამ ღირსიაშვილი
ბიზნესის ახალი გამოწვევა - ფინანსური ანგარიშგება ----------79

ონისე მირცხულავა
გადასახადები - სამართლიანობის, სარგებლიანობის თუ გადახდისუნარიანობის
მიხედვით? ----------84

ახალი წიგნები

„გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში“ ----------88

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

FEATURES OF THE USE OF DIGITAL MARKETING IN THE BANKING SECTOR



Nugzar Todua,
Doctor of Economics Science,
Professor and Head of Marketing Department,
Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
E-mail: nugzar.todua@tsu.ge
Cell: (+995 593) 32 16 55

Nino Gogitidze,
PhD candidate,
Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
E-mail: ninogogitidze18@yahoo.com
Cell: (+995 591) 40 77 00

DOI suffix: 10.36962/NEC62-6303-0420217

ABSTRACT

In the 21st century, the business has become a digital technology-driven system that can hugely impact consumer behavior and labor productivity. The use of the Internet in the new information age is a visible example of globalization. Electronic platforms offer continuous information dissemination, interactive communication with users, and digital systems for conducting transactions in the modern economy. In the context of the digital revolution, along with the changes made to improve services, the electronic transformation of banks has also become necessary, as modern technologies can increase the productivity, permanence, and transparency of the use of information.

The paper identifies the key features of digital marketing that make companies successful in the banking sector. The use of digital channels in the financial industry is growing day by day and, regardless of the level of development of countries, is characterized by a growing trend everywhere. The article analyzes digital banking marketing strategies and opportunities that are indispensable conditions for attracting customers in a changing business environment.

The paper highlights the role of social media in shaping individual messaging in the banking industry and creating a product tailored to the target audience. Based on secondary data analysis, the focus is on the role of mobile marketing in digital banking marketing. It is noted that mobile marketing simplifies the implementation of banking operations for customers.

The article highlights the importance of switching to digital services in the banking industry during the COVID-19 pandemic, indicators of digital channel usage, customer engagement in mobile banking, and forecasts for the future. It has been shown that in the context of the COVID-19 pandemic, the key issue for banks is to identify consumer confidence-building indicators. The paper presents the latest statistics that have reflected on the underlying characteristics of consumer behavior from the beginning of the COVID-19 pandemic to the present day. After analyzing the secondary data, the article found that the active use of smartphones has increased the importance of online advertising, which will continue in the future. With this in mind, the key recommendations

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

that financial companies need to follow to succeed and optimize their budgets are precisely in the direction of popular digital platforms.

One of the most important issues of the paper is the increased consumption of cryptocurrency in the world, which is due to its sharp increase in popularity among users. Based on the above, the article shows that if technology companies expand the use of digital currency, the forms of physical services of banks will become obsolete, and the only way to popularize banking products will remain digital marketing.

Keywords: *Digital Marketing, Banking Marketing, Mobile Banking, COVID-19 Pandemic.*

ციფრული მარკეტინგის გამოყენების თავისებურებები საბანკო სექტორში

ნუგზარ თოდუა,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის პროფესორი,
მარკეტინგის კათედრის ხელმძღვანელი
ელ.ფოსტა: nugzar.todua@tsu.ge
მობ: (+995 593) 32 16 55

ნინო გოგიტიძე,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის დოქტორანტი
ელ.ფოსტა: ninogogitidze18@yahoo.com
მობ: (+995 591) 40 77 00

ანოტაცია

21-ე საუკუნეში ბიზნესი ციფრული ტექნოლოგიებით მართვადი სისტემა გახდა, რომელსაც მომხმარებელთა ქცევასა და შრომის მწარმოებლურობაზე უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია. ახალ ინფორმაციულ ერაში ინტერნეტის გამოყენება გლობალიზაციის თვალსაჩინო მაგალითია. თანამედროვე ეკონომიკაში ელექტრონული პლატფორმები გვთავაზობენ ინფორმაციის უწყვეტ გავრცელებას, მომხმარებლებთან ინტერაქტიულ კომუნიკაციას და ტრანსაქციების განხორციელების ციფრულ სისტემებს. გატარებული ცვლილებების პარალელურად, ციფრული რევოლუციის პირობებში, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ბანკების ელექტრონული ტრანსფორმაციაც აუცილებელი გახდა, ვინაიდან თანამედროვე ტექნოლოგიებს ინფორმაციის გამოყენების პროდუქტიულობის, პერმანენტულობისა და გამჭვირვალობის ზრდის უნარი გააჩნია.

ნაშრომში გამოვლენილია ციფრული მარკეტინგის ის ძირითადი თავისებურებები, რომლებიც საბანკო სექტორში კომპანიების წარმატებას განაპირობებს. საფინანსო ინდუსტრიაში ციფრული არხების გამოყენება დღითიდღე იზრდება და, ქვეყნების განვითარების დონის მიუხედავად, ყველგან მზარდი ტენდენციით ხასიათდება. სტატიაში წარმოდგენილია ციფრული საბანკო მარკეტინგის სტრატეგიებისა და შესაძლებლობების ანალიზი, რომლებიც ბიზნესის ცვალებად გარემოში მომხმარებელთა მოზიდვის შეუცვლელი პირობაა.

ნაშრომში გამოკვეთილია სოციალური მედიის როლი საბანკო ინდუსტრიაში ინდივიდუალური შეტყობინებების ფორმირებისა და მიზნობრივ აუდიტორიაზე მორგებული პროდუქტის შექმნის პროცესში. მეორადი მონაცემების შესწავლის საფუძველზე ყურადღება გამახვილებულია მობილური მარკეტინგის როლზე ციფრულ საბანკო მარკეტინგში. აღნიშნულია, რომ მობილური მარკეტინგი მომხმარებლისათვის საბანკო ოპერაციების განხორციელებას ამარტივებს.

სტატიაში გამოკვეთილია COVID-19-ის პანდემიის პერიოდში საბანკო ინდუსტრიაში ციფრულ სერვისებზე გადართვის მნიშვნელობა, აგრეთვე ციფრული არხების გამოყენების მაჩვენებლები, მობილურ ბანკინგში მომხმარებელთა ჩართვის დონე და სამომავლო პროგნოზები. ნაჩვენებია, რომ COVID-19-ის პანდემიის პირობებში ბანკებისათვის მთავარი საკითხია მომხმარებელთა ნდობის განმაპირობებელი მაჩვენებლების გამოვლენა. ნაშრომში წარმოდგენილია უახლესი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც, COVID-19-ის პანდემიის დაწყებიდან დღემდე, მომხმარებელთა ქცევის ძირეულ მახასიათებლებზე აისახა. მეორადი მონაცემების ანალიზის შედეგად სტატიაში დადგენილია, რომ სმარტფონების აქტიურმა

გამოყენებამ ონლაინ რეკლამის მნიშვნელობა გაზარდა, რაც მომავალშიც შენარჩუნდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩამოყალიბებულია ის ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც საფინანსო კომპანიებმა წარმატების მისაღწევად უნდა გაითვალისწინონ და თავიანთი ბიუჯეტის ოპტიმიზაცია, სწორედ, პოპულარული ციფრული პლატფორმების მიმართულებით მოახდინონ.

ნაშრომის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად წარმოჩენილია მსოფლიოში კრიპტოვალუტის გაზრდილი მოხმარება, რასაც მომხმარებლებში მისი პოპულარობის მკვეთრი მატება განაპირობებს. აქედან გამომდინარე, სტატიაში ნაჩვენებია, რომ თუ ტექნოლოგიური კომპანიები ციფრული ვალუტის გამოყენებას გააფართოებენ, ბანკების ფიზიკური მომსახურების ფორმები მოძველებული აღმოჩნდება და საბანკო პროდუქტების პოპულარიზაციის ერთადერთ გზად სწორედ ციფრული მარკეტინგი დარჩება.

საკვანძო სიტყვები: *ციფრული მარკეტინგი, საბანკო მარკეტინგი, მობილური ბანკინგი, COVID-19-ის პანდემია.*

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია. 21-ე საუკუნის კონკურენტულ გარემოში ციფრული მარკეტინგი მყიდველებთან მუდმივი ინტერაქციისთვის შეუცვლელია, რომლითაც კომპანიები ახალი მომხმარებლების მოზიდვას, მათთან გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარებას და გაყიდვების ზრდას ახერხებენ (Robul, 2020). ციფრული ტრანსფორმაცია გლობალური ეკონომიკის ფორმირების ახალ ფაქტორებს წარმოშობს, რომლითაც მომხმარებელი საბანკო მომსახურების მიღებას დროსა და სივრცეში შეუზღუდავად ითხოვს (Yushaeva & Vakhabova, 2020). საერთაშორისო კვლევები ადასტურებს, რომ ბანკების მიერ ტექნოლოგიური ინოვაციების გამოუყენებლობა მომხმარებლების მხრიდან ფინანსური პროვაიდერების შეცვლის მიზეზი ხდება. ტრადიციული საბანკო მომსახურება მთელ მსოფლიოში სამუშაო დროით იზღუდება, ციფრული მარკეტინგი კი დროით და გეოგრაფიულ საზღვრებს არღვევს (Nso, 2018).

ციფრული მედიის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს მასალის მრავალფეროვნება, რაც ციფრულ სარეკლამო სისტემებს, ტრადიციულთან შედარებით, უნივერსალურს ხდის. 2000 წლიდან ციფრული მარკეტინგის სწრაფად მზარდი ეტაპი დადგა, როდესაც მობილური ტექნოლოგიების გაუმჯობესებისა და შესაბამისი აპლიკაციების შემუშავების შედეგად, ტრადიციულ მარკეტინგთან დასაბრუნებელი გზები ჩაიკეტა (Umamaheswari & Kumawat, 2021). 2020 წლისთვის მსოფლიო სარეკლამო ინდუსტრიის ბიუჯეტმა შეადგინა 20 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო ციფრული რეკლამის გზით პროდუქციის გაყიდვების მოცულობა 33%-ით გაიზარდა (Statista, 2020). COVID-19-ის პანდემიამ ციფრული მარკეტინგის სტატისტიკა მთლიანად შეცვალა. ინტერაქტიული სარეკლამო ბიუროს მონაცემებით, 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, ტრადიციული რეკლამის ხვედრითი წილი 30%-ით შემცირდა და, შესაბამისად, ონლაინრეკლამის მნიშვნელობა გაიზარდა (Interactive Advertising Bureau, 2021). კერძოდ, 2020 წელს, პანდემიის მიუხედავად, ციფრულ რეკლამაზე გაწეულმა დანახარჯებმა 12%-ით მოიმატა, ხოლო ინტერნეტრეკლამებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2.7 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია (CNBC, 2021). ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალური მედიარეკლამებიდან მიღებული შემოსავალი 23%-ით გაიზარდა (CISION, 2021). შეიძლება ითქვას, რომ რეკლამის შემქმნელებმა, მომხმარებლებთან ერთად, ციფრულ მედიაში გადაინაცვლეს. ონლაინ რეკლამის მნიშვნელობა განსაკუთრებით შეცვალა სმარტფონების გამოყენებამ. 2021 წლის იანვრისთვის მობილური ტელეფონების მომხმარებელთა რაოდენობამ 5,29 მლრდ-ს (მსოფლიოს მოსახლეობის 67,1%-ს) მიაღწია. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბოლო ერთ წელიწადში მობილური ტელეფონების მომხმარებელთა რაოდენობა 93 მლნ-ით (1,8%-ით) გაიზარდა (DataReportal, 2021). მობილური ტელეფონების მომხმარებელთა რაოდენობის ზრდამ გამოიწვია მობილურ აპლიკაციებზე სარეკლამო დანახარჯების მკვეთრი მატება. კერძოდ, 2020 წელს მობილური რეკლამის ხარჯებმა რეკორდულ, 223 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 17%-ით აღემატება (Statista, 2021). სმარტფონების მომხმარებელთა 60% კომპანიებს უშუალოდ, მობილური აპლიკაციებით უკავშირდება (HubSpot, 2021). ექსპერტების შეფასებით, მიმდინარე ტენდენციები მომავალშიც შენარჩუნდება, ამიტომ საბანკო კომპანიებმა ონლაინსარეკლამო კამპანიები სმარტფონებს უნდა

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მოარგონ. ამასთან, სტატისტიკური პროგნოზები ცხადყოფს, რომ ონლაინრეკლამაზე გაწეული დანახარჯები საგრძნობლად გაიზრდება Youtube-ზე და სოციალურ მედიაშიც. შესაბამისად, ბანკებმა, წარმატების მისაღწევად, ბიუჯეტის ოპტიმიზაცია, სწორედ, ამ მიმართულებით უნდა მოახდინონ.

თანამედროვე მარკეტინგის მკვლევარები ფლობენ ფართო სპექტრის ინსტრუმენტებს, რომლებსაც, მომხმარებელთა გამოცდილების ოპტიმიზებით, კომპანიისთვის მზარდი შემოსავალი მოაქვთ. გასული ორი წლის განმავლობაში მარკეტოლოგების როლის მნიშვნელობა, წინა წლებთან შედარებით, კომპანიებში საგრძნობლად გაიზარდა. დღეისათვის ბანკები ფინანსური მომსახურების მიმწოდებელ ერთადერთ ინსტიტუტს აღარ წარმოადგენს, ვინაიდან ბაზარზე ციფრული ბანკები და ციფრული მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გამოჩნდა (Makudza, 2020). დღეისათვის საბანკო მომსახურების სფეროში მარკეტინგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე მოთხოვნა სწრაფად იზრდება (OECD, 2020). აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე მარკეტოლოგები ბანკებში ციფრულ მარკეტინგს აქტიურად ნერგავენ (Kitsios et al., 2021). შესაბამისად, ციფრული საბანკო მარკეტინგის შესწავლას უცხოელი მკვლევარები დიდ ყურადღებას აქცევენ (Hafez, 2021; Tran, 2021). პრობლემის აქტუალობის მიუხედავად, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ციფრული საბანკო მარკეტინგის შესახებ კვლევები მწირია. მართალია, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში ციფრული მარკეტინგის გამოყენებასთან დაკავშირებით ჩვენში შესრულებულია გარკვეული კვლევები (Apil et al., 2009; Todua & Jashi, 2013; Todua & Jashi, 2018; Todua, 2018; Todua, 2019; Urotadze, 2020), მაგრამ ისინი არასაკმარისია საქართველოს საბანკო მომსახურების ბაზარზე მიმდინარე მოვლენების სიღრმისეული ანალიზის ჩასატარებლად. პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, კვლევის მიზანია ციფრული საბანკო მარკეტინგის ახალი ტენდენციების გამოვლენა. კვლევის მეთოდოლოგიაში გამოყენებულია ლიტერატურული მასალების ანალიზი და დაკვირვების მეთოდები.

ციფრული საბანკო მარკეტინგის მნიშვნელობა

საბანკო მარკეტინგი წარმოიშვა მარკეტინგული მომსახურების დიფერენცირების შედეგად (Nelson, 1999). საბანკო მარკეტინგის კონცეფციის შემუშავება განაპირობა განვითარებულ ქვეყნებში ფინანსური სექტორის მნიშვნელოვანმა ზრდამ, რასაც ხელი შეუწყო საფინანსო ინდუსტრიაში ახალი კონკურენტების გაჩენამ და ბაზარზე მრავალფეროვანი შესაძლებლობების წარმოშობამ (Ogbadu & Abdullahi, 2013). ციფრული მარკეტინგი ბანკებს ახალი მიმართულებით წარმოჩენის შანსს აძლევს (Lumpkin & Schich, 2020). კვლევები ცხადყოფს, რომ ციფრული საბანკო მარკეტინგის გამოყენება ამარტივებს გადახდის პროცესს, ხოლო ადგილისა და დროის შეუზღუდავად საბანკო მომსახურებასთან წვდომა მომხმარებლებში დამოუკიდებლობის შეგრძნებას ამაღლებს, ვინაიდან ადამიანები ეძებენ ისეთ ბრენდებს, რომლებიც მოსახერხებელ და უნიკალურ სერვისებს ქმნიან (Mehta & Shah, 2020).

ციფრული მარკეტინგული სტრატეგიების განხორციელება უზრუნველყოფს კომპანიებისათვის წარმატების მიღწევას, რაც უამრავ მიმართულებას, მათ შორის, ტრადიციული მედიის ჩართულობასაც, ითვალისწინებს (Obara, 2021). ციფრული მარკეტინგი აუდიტორიას მათთვის სასურველი ფასეულობების შეთავაზებით იზიდავს (Hollebeek & Macky, 2019). მსოფლიოში მოქმედი ბანკების უმრავლესობა ინტერნეტ ბანკინგს ბიზნესის განვითარების სტრატეგიულ არხად იყენებს, რომელსაც მომხმარებლამდე მიზნობრივი ინფორმაციის მიტანა დაუბრკოლებლად შეუძლია (Vetrivel et al., 2020).

ციფრული მარკეტინგის ტექნოლოგიამ, ფინანსური მომსახურების მიწოდების სტანდარტიზების კუთხით, თავისი როლი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. დიდი ხანია, უკან დარჩა დღეები, როდესაც კლიენტები საბანკო დარბაზების რიგებში კომუნალური გადასახადების, სწავლის საფასურის ან სხვა ფინანსური გარიგებების განხორციელების მოლოდინში იდგნენ. ახლა ამ ყველაფრის გაკეთება შეიძლება კომფორტული საშინაო გარემოდან საბანკო ბარათების და ინტერნეტის დახმარებით. გარდა ამისა, მობილური ტელეფონების გამოყენების ზრდის გამო, ფინანსურმა ინსტიტუტებმა მობილური მოწყობილობების პროვაიდერებთან პარტნიორული ხელშეკრულებები გააფორმეს, რათა მომხმარებლებს სმარტფონებზე მორგებული საბანკო მომსახურება შესთავაზონ. მართალია, ბანკომატებით სარგებლობა ბანკების ყველაზე გავრცელებული მომსახურებაა, მაგრამ, ბოლო წლების მონაცემებით, მობილური ბანკინგი მის გამოყენებას აჭარბებს, ვინაიდან მობილური ტელეფონი მიუდგომელ ადგილებში, დაბალ ფასადაც კი ხელმისაწვდომია. ამიტომ მობილური ბანკინგი სულ უფრო მეტად მიმზიდველი ხდება არა მარ-

ტო ახალგაზრდებისთვის, არამედ სმარტფონების მფლობელი ასაკოვანი ადამიანებისთვისაც (Ananda at al., 2020).

მომსახურების გაუმჯობესების მიზნით საბანკო ინდუსტრიის გაციფრულება გარდაუვალი იყო. ბანკებში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ზრდის მათ პროდუქტიულობას და გამჭვირვალობას. მაგალითად, ციფრული გადახდები მომხმარებლებზე მეტად მორგებულია. ის არ არის შეზღუდული დროსა და სივრცეში. ამ ტენდენციამ შეცვალა კონკურენცია ბანკებში. კომერციულმა ბანკებმა დაიწყეს ციფრული მარკეტინგის გამოყენება მომხმარებლების შესანარჩუნებლად. ელექტრონული ბანკინგი ამცირებს ხარჯებს და აძლიერებს ურთიერთობას კომუნიკაციის სხვადასხვა არხების მეშვეობით. მომხმარებელთა მიზიდვას განაპირობებს კონცეფცია - ნებისმერ დროს და ნებისმიერ ადგილას ბანკის გამოყენება. სხვადასხვა სარეკლამო სტრატეგია საჭიროა იმისათვის, რომ მომხმარებელი დაინტერესდეს საბანკო პროდუქტით ან მომსახურებით. ბოლო პერიოდის საბანკო ინდუსტრია დიდი გამოწვევების წინაშე დგას. საბანკო პროდუქტის ან მომსახურების შესათავაზებლად მრავალი ციფრული არხი გამოიყენება. ინფორმაციული ტექნოლოგიები ყიდვის პროცესში მომხმარებლის მხრიდან გადაწყვეტილების მარტივად მიღებას უზრუნველყოფს. ციფრულმა ტექნოლოგიებმა საბანკო სექტორში რევოლუციურ ცვლილებებს დასაბამი მისცა. ციფრული საბანკო მარკეტინგი მომხმარებლებისათვის დეტალური და გამიზნული ინფორმაციის მიწოდებას განაპირობებს, რაც ბანკებისათვის კონკურენტული უპირატესობისა და წარმატების მიღწევის წინაპირობაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ციფრული ტრანსფორმაცია საბანკო სექტორში უწყვეტი პროცესია, რომელიც საბანკო და საფინანსო მომსახურებასთან დაკავშირებულ გარემო პირობებს ცვლის (Kitsios at al., 2021).

დღევანდელ სამყაროში აქტუალურობის შენარჩუნებისათვის ბანკები ქმნიან ციფრული მარკეტინგის გეგმას, რომელიც ვებგვერდებს, სოციალურ მედია მარკეტინგს, ელექტრონული ფოსტის მარკეტინგს, მობილურზე მორგებულ საბანკო აპლიკაციებს და ონლაინ ბანკინგს ინტეგრირებულს ხდის (Soniya & Santhosh, 2018).

ბანკებისა და საკრედიტო ორგანიზაციებისათვის სოციალური მედია კომუნიკაციის შეუცვლელი არხია, ვინაიდან ამ გზით მიზნობრივი აუდიტორიის შერჩევა და მასთან წვდომა უფრო დეტალიზებულად ხდება. არსებობს უამრავი მიზეზი, რის გამოც სოციალური მედია მარკეტინგი საბანკო სექტორში აუცილებლობად იქცა. დღეს, როდესაც ტრადიციული სარეკლამო არხები ჯერ კიდევ გამოიყენება, საბანკო ინდუსტრიაში ონლაინ ტექნოლოგიების როლი ბევრად მეტია, ვიდრე ოდესმე. ამიტომ საბანკო სფეროს წარმატების გასაღები მარტივ ციფრულ საბანკო ინტერაქციებშია. სულ რამდენიმე წელია, რაც ბანკები სოციალურ მედიას მარკეტინგული მიზნების განსახორციელებლად, კერძოდ, მომხმარებლების მოზიდვის, შეფასებების ან საჩივრების მიღებისათვის იყენებენ. სოციალური მედიის დისტანციური როლი ცვლის ბანკის პერსონალის მიერ გაწეულ მომსახურების პროცესს, რომელსაც მომხმარებლებისთვის მოსახერხებლად აქცევს (Mahboub, 2018). ამასთან, მომხმარებლები დაეყრდნობიან სოციალური მედიას, თუ ბანკები ამ არხების საშუალებით საკუთარი ღირებულებების წარმოჩენას შეძლებენ (Dootson at al., 2016). დღეს სოციალური მედია ბანკებისათვის აუცილებელი პლატფორმაა. ამიტომ ბანკების უმეტესობა ფლობს გვერდს სოციალურ მედია სივრცეში (Bačík at al., 2015).

სოციალური მედია მარკეტინგი საბანკო სექტორში განსხვავებული სპეციფიკით ხასიათდება. ბანკი ყოველთვის კონსერვატიულ ინსტიტუტებად მოიაზრება და ამ სტატუსს ბევრ შემთხვევაში ინარჩუნებს. ამასთან, ინტერნეტ ბანკი ამ მხრივ უფრო პროგრესულია. სოციალური მედიის გამოყენება ბანკებს მიზნობრივი აუდიტორიის უკეთ წვდომის, მეტი უკუკავშირის მიღებისა და მონაცემების დეტალურად გაზომვის შესაძლებლობას აძლევს (Vejačka, 2017).

ბანკები თავიანთი საქმიანობის ან ადმინისტრაციის მიმართ ენთუზიაზმის გასაღვივებლად იყენებენ კონტენტ მარკეტინგს. ხარისხიანი კონტენტის გარეშე ბანკების საქმიანობა ონლაინ სივრცეში წარმოუდგენელია. ეს არის გზა, რომლის დახმარებითაც ციფრული მარკეტოლოგები უკავშირდებიან და იზიდავენ მომხმარებლებს. კონტენტის შექმნა ბანკებისთვის შეიძლება ნიშნავდეს ელექტრონული წიგნის დამზადებას, რომელიც აჩვენებს ინდივიდებს, თუ როგორ უნდა მიუდგნენ სესხის მიღებას. ასევე შესაძლებელია ზოგადი ბლოგის ჩანაწერები მომხმარებელთა ინტერესის სამიზნედ იქცეს, რადგან ბლოგიდან მიღებული უფასო რჩევები ფულის დაზოგვის საინტერესო გზებს აჩვენებს. კონტენტ მარკეტინგი არის რეკლამის ირიბი გზა, რომელმაც, შესაძლოა, მართლაც, დააფიქროს მომხმარებელი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ბანკისგან დახმარების მიღების საჭიროებაზე. ასევე დასაშვებია პირდაპირი რეკლამაც ელექტრონული წიგნების ელ-ფოსტაზე გაგზავნით და ლიდერების სიის შექმნით, რომლებსაც ამ გზით სარეკლამო შეთავაზებები მიეწოდებათ (Sawhney & Ahuja, 2021).

საბანკო მომსახურების ბაზარზე ციფრული რევოლუციის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია კრიპტოვალუტა. ციფრული ვალუტა საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, ნივთები ან მომსახურება უსაფრთხოდ და პიროვნების დაფიქსირების გარეშე შეიძინონ. ამან მარკეტოლოგებს რეკლამის შექმნის გასაოცარი შესაძლებლობები მისცა. თუ კრიპტოვალუტის პოპულარობა შენარჩუნდება, ბანკების ფიზიკური მომსახურების ფორმები მოძველებული აღმოჩნდება. შესაბამისად, საბანკო პროდუქტების სტიმულირების ერთადერთი გზა იქნება ციფრული მარკეტინგი. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ დღეისათვის, ფინანსური სერვისების უპირატესობის მოსაპოვებლად, ტექნოლოგიური კომპანიებიც კრიპტოვალუტის გამოყენებას ცდილობენ (Bhadeshiya, 2021).

COVID-19-ის პანდემიის გავლენა ციფრულ საბანკო მარკეტინგზე

საბანკო სექტორში საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მომსახურების სრულყოფის კუთხით, ბოლო ხანებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებამ საბანკო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის დონე საგრძნობლად გაზარდა. შესაბამისად, მომხმარებელთა მოთხოვნებიც იცვლება, რასაც განაპირობებს ის ფაქტი, რომ დღეისათვის მომხმარებლებს საბანკო მომსახურების მიღება ციფრული პლატფორმების მეშვეობით სურთ (Capgemini, 2021). COVID-19-ის პანდემიის გავლენა საბანკო სისტემის ტრანსფორმაციის პროცესში უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთავრობებმა მიიღეს გადამწყვეტი ზომები, რომლებიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობისა და კომპანიებისათვის კორონავირუსული პანდემიით გამოწვეული შედეგების შერბილებას (Marcu, 2021). COVID-19-ის პანდემიამ ბევრი რამ გარდაქმნა საბანკო სისტემაში, განსაკუთრებით, მუშაობის მეთოდები. ამასთან, COVID-19-ის პანდემიამ დააჩქარა საბანკო საქმიანობის დიჯიტალიზაცია, ხელი შეუწყო ახალი ოპერაციებისა და პროცედურების დანერგვას, ვინაიდან ასეთ პირობებში მომხმარებელთა მოლოდინები მკვეთრად შეიცვალა (Baicu at al.,2020). კვლევები აჩვენებს, რომ ევროპის ქვეყნებში, მომხმარებელთა უმეტესობის აზრით, COVID-19-ის პანდემიის გავლენით, საბანკო მომსახურების ხერხები გრძელვადიან პერსპექტივაში საგრძნობლად შეიცვლება (Ernst & Young Global Limited, 2021).

COVID-19-ის პანდემია შეიძლება გახდეს საფინანსო სექტორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გამოწვევა უახლეს ისტორიაში. COVID-19-ის პანდემიამ აიძულა სამყარო, პროდუქტების ან ბრენდების შეძენასთან დაკავშირებული რუტინული ტრანსაქციებიც კი სანანკო მოსახურების მეშვეობით განხორციელდეს (Naeem & Ozuem, 2021). ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევა (Boston Consulting Group, 2021) ცხადყოფს, რომ ახალი კორონავირუსის პანდემიის პერიოდში მომხმარებელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ჩაერთო ონლაინ ბანკინგში (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. COVID-19-ის პანდემიის გამო სხვადასხვა ქვეყნის მომხმარებლების ჩართვა ონლაინ ბანკინგში



წყარო: Boston Consulting Group (2021).

დიაგრამა 2. COVID-19-ის პანდემიის შედეგად ციფრული არხების გამოყენება საბანკო სექტორში



წყარო: Boston Consulting Group (2021).

ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის გამოკვლევამ აჩვენა, რომ 2020 წლისათვის საბანკო მომსახურების სფეროში რესპონდენტების 23% იყენებდა ონლაინ ბანკინგს, ხოლო 30% - მობილურ აპლიკაციებს (იხ. დიაგრამა 2). ამ პერიოდში უნაღდო ანგარიშსწორება ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი გახდა. რესპონდენტების 20%-მა ინტერნეტ ბანკინგის და შუალედური აპლიკაციების მეშვეობით გადახდები გაზარდა. რესპონდენტთა 10%-სთვის კი საკრედიტო და სადებეტო ბარათების გამოყენების სიხშირე არ შეცვლილა. რესპონდენტების 69%-ისთვის საკუთარი ბანკის მიმართ ნდობა პანდემიის პერიოდში არ შეცვლილა. მართალია, ასეთი მომხმარებლები თავიანთ ბანკებს ისევ ენდობიან, მაგრამ მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა (24%) შემდეგი ექვსი თვის განმავლობაში პროვაიდერების შეცვლას გეგმავს (Boston Consulting Group, 2021). ცვლილებები განსაკუთრებით დამახასიათებელია ახალგაზრდა მომხმარებლებისათვის, რომლებსაც ციფრულ ბანკებში თანხების განთავსება უფრო მოსახერხებლად მიაჩნიათ.

დასკვნა

თანამედროვე ეტაპზე საბანკო მომსახურების ბაზარზე არსებობს ძლიერი კონკურენცია, ხოლო მომხმარებლები ფულისა და ფინანსური საკითხების მიმართ საკმაოდ ინფორმირებულნი არიან. საფინანსო ბაზრის წარმომადგენლები აღიარებენ, რომ 21-ე საუკუნეში აუცილებელია ციფრული საბანკო მარკეტინგის განხორციელება, რათა მომხმარებლებთან ეფექტიანი კომუნიკაცია დამყარდეს. ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ, ბიზნეს-გარემო იცვლება და მოქმედების განსხვავებული მიმართულებები ყალიბდება, რომელთა გაუთვალისწინებლობა საბანკო სექტორში ბიზნესის ჩავარდნის რისკს ზრდის. COVID-19-ის პანდემიის გავლენამ საბანკო და საფინანსო მომსახურების ბაზარზე ციფრული მარკეტინგის გამოყენების გაფართოების აუცილებლობა დაადასტურა. ბანკების აქტივობა დროსა და სივრცეში არ შეცვლილა, თუმცა, მომხმარებლებთან ურთიერთობის მენეჯმენტს და ციფრულ საბანკო მარკეტინგს დღეისათვის უმნიშვნელოვანესი მისია აკისრია, რომლებსაც უწყვეტი კვლევა და განვითარება სჭირდება.

REFERENCES

1. Ananda, S., Devesh, S., & Al Lawati, A. M. (2020). What factors drive the adoption of digital banking? An empirical study from the perspective of Omani retail banking. *Journal of Financial Services Marketing*, Vol. 25 No. 1, pp. 14-24.

2. Apil, A. R., Kaynak, E., and Todua, N. (2009). Product Preference Differences of High and Low Ethnocentric Consumers in Georgia. In *Proceedings of the 18th World Business Congress „Management Challenges in an*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

Environment of Increasing Regional and Global Concerns",International Management Development Association, pp. 531-539.

3. Bačík, R., Fedorko, R., Kakalejčík, L., & Pudło, P. (2015). The importance of Facebook ads in terms of online promotion. *Journal of applied economic sciences*, Vol. 10 No. 5, pp. 670-677.

4. Baicu, C. G., Gârdan, I. P., Gârdan, D. A., & Epuran, G. (2020). The impact of COVID-19 on consumer behavior in retail banking. Evidence from Romania. *Management & Marketing*: *Challenges for the Knowledge Society*, Vol. 15, No. S1, pp. 534-556.

5. Bhadeshiya, H. B. (2021). Role of Cryptocurrency in Digital Marketing. In *Blockchain Technology and Applications for Digital Marketing* (pp. 64-83), Hershey: IGI Global.

6. Boston Consulting Group (2021). *Global Retail Banking 2021: The Front-to-Back Digital Retail Bank.* Available from: https://www.bcg.com/publications/2021/global-retail-banking-report (Accessed 16 November 2020).

7. Capgemini (2021). *World Retail Banking Report 2021: To create new value, banks can adopt Banking-as-a-Service to embed finance in consumer lifestyles.* Available from: https://www.capgemini.com/news/world-retail-banking-report-2021-to-create-new-value-banks-can-adopt-banking-as-a-service-to-embed-finance-in-consumer-lifestyles/ (Accessed 16 November 2020).

8. CISION (2021). *Social Media Advertising Market Is The Second Biggest Market Within Digital Advertising.* Available from: https://www.prnewswire.com/news-releases/social-media-advertising-market-is-the-second-biggest-market-within-digital-advertising-301249882.html (Accessed 16 November 2020).

9. CNBC (2021). *Digital ad spend grew 12% in 2020 despite hit from pandemic.* Available from: https://www.cnbc.com/2021/04/07/digital-ad-spend-grew-12percent-in-2020-despite-hit-from-pandemic.html (Accessed 16 November 2020).

10. Datareportal (2021). *Digital Around the World.* Available from: https://datareportal.com/global-digital-overview (Accessed 16 November 2020).

11. Dootson, P., Beatson, A., & Drennan, J. (2016). Financial institutions using social media–do consumers perceive value? *International Journal of Bank Marketing*, Vol. 34 No. 1, pp. 9-36.

12. Ernst & Young Global Limited (2021). *How COVID-19 has sped up digitization for the banking sector*. Available from: https://www.ey.com/en_gl/financial-services-emeia/how-covid-19-has-sped-up-digitization-for-the-banking-sector (Accessed 16 November 2020).

13. Hafez, M. (2021). The impact of social media marketing activities on brand equity in the banking sector in Bangladesh: the mediating role of brand love and brand trust. *International Journal of Bank Marketing*. Vol. 39 No. 7, pp. 1353-1376.

14. Hollebeek, L. D., & Macky, K. (2019). Digital content marketing's role in fostering consumer engagement, trust, and value: Framework, fundamental propositions, and implications. *Journal of Interactive Marketing*, Vol. 45, No. 1, pp. 27-41.

15. HubSpot (2021). *The Ultimate List of Marketing Statistics for 2021.* Available from: https://www.hubspot.com/marketing-statistics (Accessed 16 November 2020).

16. Interactive Advertising Bureau (2021). *2020/21 COVID Impact on Advertising*. Available from: https://www.iab.com/wp-content/uploads/2020/09/200831.SpendResearchStudyNo6.FINAL_.pdf (Accessed 16 November 2020).

17. Kitsios, F., Giatsidis, I., & Kamariotou, M. (2021). Digital Transformation and Strategy in the Banking Sector: Evaluating the Acceptance Rate of E-Services. *Journal of Open Innovation: Technology, Market, and Complexity*, Vol. *7* No. 3, pp. 1-14.

18. Lumpkin, S., & Schich, S. (2020). Banks, Digital Banking Initiatives and the Financial Safety Net: Theory and Analytical Framework. *Journal of Economic Science Research*, Vol. 3 No. 1, pp. 24-46.

19. Mahboub, R. M. (2018). The impact of social media usage on performance of the banking sector in Middle East and North Africa countries. *International Journal of Economics and Business Administration,* Vol. 6 No. 3, pp. 3-20.

20. Makudza, F. (2020). Augmenting customer loyalty through customer experience management in the banking industry. *Journal of Asian Business and Economic studies,* Vol. 28 No. 3, pp. 191-203.

21. Marcu, M. R. (2021). The impact of the COVID-19 pandemic on the banking sector. *Management Dynamics in the Knowledge Economy*, Vol. 9 No. 2, pp. 205-223.

22. Mehta, N., & Shah, S. (2020). Payment Banks: Digital Revolution in Indian Banking System. *International Journal of Management and Humanities,* Vol. 4 No. 6. pp. 110 - 115.

23. Naeem, M., & Ozuem, W. (2021). The role of social media in internet banking transition during COVID-19 pandemic: Using multiple methods and sources in qualitative research. *Journal of Retailing and Consumer Services*, Vol. 60 (May), 102483.

24. Nelson, M. R. (1999). Bank marketing and information technology: a historical analysis of the post-1970 period. *International Journal of Bank Marketing*, Vol. 17 No. 6, pp. 265-274.

25. Nso, M. A. (2018). The role of e-banking as a marketing tool. *Innovative Marketing*, Vol. 14 No. 4, pp. 56-65.

26. Obara K. (2021). *Media Buying for digital Markeitng*. Middlesex University, *UK*

27. OECD (2020). *Digital Disruption in Banking and its Impact on Competition.* Available from: https://www.oecd.org/daf/competition/digital-disruption-in-financial-markets.htm (Accessed 16 November 2020).

28. Ogbadu, E. E., & Abdullahi, U. (2013). Fundamental role of marketing in the banking sector. *Management Science and Engineering*, Vol. 7 No. 2, pp. 64-69.

29. Robul, Y. (2020). Structure and Constituents of Digital Marketing Systems. *Olsztyn Economic Journal*, Vol. 15 No.1, pp. 53-62.

30. Sawhney, A., & Ahuja, V. (2021). Drivers of Social Media Content Marketing in the Banking Sector: A Literature Review. *International Journal of Service Science, Management, Engineering, and Technology*, Vol. 12 No. 3, pp. 54-72.

31. Soniya, K., & Santhosh, R. (2018). Digital Marketing in Banking Evolution or revolution. *International Journal of Scientific Development and Research,* Vol. 3 No. 7, pp. 169-175.

32. Statista (2020). *Digital advertising spending worldwide from 2019 to 2024*. Available from: https://www.statista.com/statistics/237974/online-advertising-spending-worldwide/ (Accessed 16 November 2020).

33. Statista (2021). *Mobile advertising spending worldwide*: 2007-2023. Available from: https://www.statista.com/statistics/303817/mobile-internet-advertising-revenue-worldwide/ (Accessed 16 November 2020).

34. Todua, N. (2018). Impact of Social Media Marketing on Consumer Behavior in the Georgian Tourism Industry. *International Academy Journal Web of Scholar,* Vol. 3 No. 5/23, pp. 11-16.

35. Todua, N. (2019). Using social media marketing for attracting foreign tourists to Georgian destinations. *Globalization and Business,* Vol. 7, pp. 39-48.

36. Todua, N., & Jashi, Ch. (2013). Challenges of Social Marketing in Georgia. *TSU Science,* Vol. 5, pp. 59-62.

37. Todua, N., & Jashi, C. (2018). Influence of Social Marketing on the Behavior of Georgian Consumers Regarding Healthy Nutrition. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, Vol. 12 No. 2, pp. 183-190.

38. Tran, N. A. (2021). Intention to Use Digital Banking Services of Young Retail Customers in Vietnam. *The Journal of Asian Finance, Economics and Business*, Vol. *8* No. 8, pp. 387-397.

39. Umamaheswari, B., & Kumawat, V. (2021). The Evolution and Growth of Digital Marketing. *International Journal of Mobile Computing Devices*, Vol. 6 No. 2, pp. 27-30.

40. Urotadze, E. (2020). The role of social media marketing in attitude towards Georgian consumers to travel agencies. In *Proceedings of the 7th Business Systems Laboratory International Symposium „Socio-Economic Ecosystems: Challenges for Sustainable Development in the Digital Era",* University of Alicante (Spain), pp. 236-241.

41. Vejačka, M. (2017). Social media marketing in comparison with other forms of marketing in the slovak banking sector. *Market/Tržište*, Vol. 29 No. 1, pp. 23-38.

42. Vetrivel, S. C., Rajini, J., & Krishnamoorthy, V. (2020). Influence of internet banking service quality on customer satisfaction-An Indian experience. *Journal of Critical Reviews*, Vol. *7* No.2, pp. 546-551.

43. Yushaeva, R., & Vakhabova, M. (2020). Digital Transformation of the banking System: Digital Technologies and Digital Banking Models. *European Proceedings* of *Social and Behavioural Sciences (EpSBS),* Vol. 103, pp. 75-79.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

CIRCULAR ECONOMY, PROBLEMS AND CHALLENGES

Tabatadze Lasha,
PhD, Assistant-Professor,
Ilia State University
E-mail: lasha.tabatadze@iliauni.edu.ge

DOI suffix: 10.36962/NEC62-6303-04202116

ABSTRACT

The article presents a broad overview covering the importance and formation of the circular economy as an independent concept, and its relationship with the phenomenon of new industrialization. A variety of interpretations of the concept of "circular economy" (foreign authors) is considered, the main approaches to its formation are determined. A comparative analysis of the main concepts of environmentalism economics (sustainable development, greening, green economy, circular economy) is carried out according to key features. The evolutionary development of the generating imperatives principles of the concept formation has been studied; features, current state and general development prospects are described. The concept of a circular economy is a universal way for the formation of green growth in the development of countries, allowing to overcome global environmental problems. In the conclusion, the revised concept of a circular economy is presented.

Keywords: *circular economy, green economy.*

ცირკულარული ეკონომიკა, პრობლემები და გამოწვევები

ლაშა ტაბატაძე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
ელ.ფოსტა: lasha.tabatadze@iliauni.edu.ge

ანოტაცია

სტატიაში მოცემულია ფართო მიმოხილვა, რომელიც მოიცავს წრიული ეკონომიკის, როგორც დამოუკიდებელი კონცეფციის წარმოქმნას და ფორმირებას და მის ურთიერთობას ახალი ინდუსტრიალიზაციის ფენომენთან. განიხილება "წრიული ეკონომიკის" (უცხოელი ავტორების) კონცეფციის ინტერპრეტაციების მრავალფეროვნება, განისაზღვრება მისი ფორმირების ძირითადი მიდგომები. ხორციელდება ეკოლოგიის ეკონომიკის ძირითადი კონცეფციების (მდგრადი განვითარება, გამწვანება, მწვანე ეკონომიკა, წრიული ეკონომიკა) შედარებითი ანალიზი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით. შესწავლილია კონცეფციის ფორმირების მთავარი პრინციპების ევოლუციური განვითარება; აღწერილია მახასიათებლები, არსებული მდგომარეობა და განვითარების ზოგადი პერსპექტივები. დასკვნაში მოცემულია ცირკულარული ეკონომიკის განახლებული კონცეფცია და დასაბუთებულია, რომ წრიული ეკონომიკის კონცეფცია არის უნივერსალური გზა ქვეყნების განვითარებაში მწვანე ეკონომიკის ზრდის ფორმირებისთვის, რაც საშუალებას იძლევა დაძლეულ იქნას გლობალური ეკონომიკური პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: ცირკულარული ეკონომიკა, მწვანე ეკონომიკა.

INTRODUCTION

In the middle of the XX century, the world scientific community, having analyzed the negative trends of scientific and technological revolution, came to the conclusion that the possibilities for economic growth by operating a linear (industrial) model on the scale of planetary development were limited and began to search for alternative solutions, one of which was the concept of a circular economy. The world is now using a linear take-make-dispose model. That is, the production of clothes looks like a chain, where a manufacturer takes a large amount of readily available natural resources and energy, uses them to make clothes, and then dispose of this product. Circular fashion is a regenerative system in which clothing can be reused in a circular fashion. The main idea behind the new pivot is that our products are valuable resources that should not be wasted at the end of their life cycles. Instead, we must keep them in a closed loop through reuse and recycling. The circular pattern invites each garment to be made in such a way that it can be reused. Thus, it is possible to protect the ecosystem from pollution and provide people with work. Moving from a linear to a circular economy has many benefits. First, it will reduce the burden on the environment and increase the security of the supply of raw materials. Second, consumers will be looking for more durable and innovative products that will improve their quality of life and save money in the long run. It's not just independent or sustainable apparel brands that are driving a circular economy in fashion. Big brands are also active. In January 2018, 64 of the world's leading fashion companies such as Adidas or Inditex, which includes Zara, Massimo Dutti, Pull and Bear and Stradivarius, signed a pledge to accelerate the transition to a circular business model.[2]

For example, Inditex has pledged that by 2020 its 2,000 stores will partner with local organizations to redistribute and recycle clothing. Smaller brands like Rapanui Clothing are taking a cradle-to-cradle approach. It is about encouraging its customers to send used brand clothing for recycling, reuse or recovery. By 2030, H&M plans to switch to 100% recycled or sustainable packaging, reduce water use in production by 25% and launch a function on the website that will allow consumers to find out the address of the factory where their clothes were produced, to get more information on the composition of materials and how they can be reused or disposed of. The brand was also one of the first to propose an in-store recycling scheme, in which customers were offered a £ 5 voucher in exchange for returning the garment for recycling. Also in April were produced from ecological materials: Piñatex - a leather substitute extracted from cellulose fibers of pineapple leaves, from Bloom Foam - a plant-based material made using freshwater algae biomass (used in the production of shoes), as well as from Orange Fiber - silk fabric made from citrus cake, which remains during the production of juices.[3]

PROBLEMS AND CHALLENGES.

The works of foreign authors of the circular economy, various scientific-practical conferences, materials of international forums, research reports of international organizations, legislative-normative acts of local or international importance in the field of research, including declarations and agreements were studied and critically reviewed. Two research questions for the research, were identified: „What are the main conceptual similarities and differences between sustainability and circular economics? How is a conceptually circular economy related to sustainability? There are two main types of definitions circular economy: definitions from a resource perspective, where the emphasis is on creation of a closed circulation of material resources and to reduce the introduction of new, untouched resources, and definitions, which apply not only to material resource management, but and other aspects such as changing consumption patterns. The transition to a circular economy characterized by reduced use of primary resources, preserving the maximum possible value of materials and products and changing consumption patterns. Awareness of excess consumption is growing, but the global economy continues to exploit natural resources more and more wastefully. On average, humanity annually consumes resources 1.75 times the Earth's capabilities. If everyone lived like an average German, we would need about three Earth-equal planets to match the annual resources and waste generated. The solution to the problem of overexploitation of natural resources is their restoration and continuous circulation of resources within closed cycles of the economy. In a circular economy, products are used and repaired for as long as possible. They are then deconstructed so that the original materials can be reused to create new products of similar value. The current level of development of the circular economy is insufficient: its share in the world economy is on average 8.6%. However, in order to remain within the ecological capabilities of our planet, it is necessary to increase it to 50–70%. [4]

In the German economy in 2019, the share of the circular economy was only 10.4% - in the sense that only 10.4% of the resources consumed in production were recyclable materials. Progress in this direction is moving rather sluggishly. Over the past six years, growth in Germany has been only 0.1% per year. Even if the country doubles its pace, it will only be able to reach 50% by 2215. In favor of a circular economy, there are arguments of not only ecological, but also economic properties. The economy requires resources

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

to produce goods and services and ultimately create shareholder value. Unless companies start using recyclable materials radically more often, they will face resource constraints that will hamper their operations in the medium to long term. To become part of the circular economy, companies need to conduct a complete overhaul of their business models and answer the following questions for themselves:

✓ What types of materials are used and how should the product design be redesigned to optimize the use of materials?

✓ How can you organize the development, production and marketing of products in such a way as to ensure a continuous and closed flow of resources?

✓ What types of business models are needed to enable long product life, end-of-life collection and recycling?

✓ What new ecosystems need to be created to enable reuse, product recovery and raw material recovery?

By 2030, the transition to a circular economy could create additional economic opportunities for Germany in the amount of 140-200 billion euros. Moreover, this figure does not take into account the additional value of this approach for the environment and the reduction of costs for society in the future. The largest source of economic value is the recovery and reuse of circulating materials. To capitalize on this value, companies need to redesign their products, build end-of-life systems from scratch, implement innovative business models, and develop new recycling technologies. Circular economy initiatives can also create new market opportunities, strengthen customer relationships, reduce risks, increase employee motivation, and make supply chains more resilient to adverse events. This resilience can help companies weather unexpected shocks like the COVID-19 pandemic. Formulating and considering goals for recycling alone is far from sufficient and will not contribute to the development of a circular economy: First, recycling is the last priority in describing the circular economy concept. Prior to this, many other strategies have emerged that promote the reduction, repair, or reuse of products or parts of products. For example, in the packaging industry, it is necessary to reduce the amount of packaging before processing. Reusing instead of recycling is also a circular solution that applies to packaging. Second, a company cannot realize a circular economy alone. [3] If all of a company's packaging is 100% recyclable or biodegradable, but markets do not have a proper collection system or recyclable infrastructure, then, unfortunately, circular production does not make sense. The circular economy requires a new type of collaboration and interaction between companies and stakeholders within the same industry or ecosystem. Accordingly, the company needs to work with stakeholders throughout the value chain to ensure that the cycles are closed. It even requires lobbying to influence policies to strengthen the circular economy, as a closed economy can / should also be shaped by policy instruments and new social goals. The European Commission is demonstrating its willingness to invest in sustainable futures and thus halt or slow down the rise in global warming. Moreover, the Green Deal's goals not only encompass the environmental need for a greener future, but also include economic and social considerations that enable Europe to pursue a resource-efficient and future-oriented growth strategy.Specific areas for action to achieve the goals and therefore European climate neutrality can be found in the Green Agreement. One of the main measures mentioned is "to promote more efficient use of resources through the transition to a clean circular economy.

Circular economics has been a hotly debated topic for a number of years, and although it has received widespread acceptance, it is not yet universally applied. In Germany, for example, the Circular Economy Act (Kreislaufwirtschaftsgesetz, KrWG) has been in force since 2012, which follows the principle of handling waste that is safe for humans and the environment, taking into account technical, economic and social aspects. There are also economic benefits. A company can stand out from the competition and leverage the efforts to create a circular economy as a competitive advantage. However, one must always distinguish between honest effort and conscientiousness. Moreover, inaction and continuation of actions that are harmful to the environment and socially unfair are not environmentally or economically sustainable. In the long term, the costs to the company will be much higher than the current investment costs of sustainability. The circular economy model is an attractive concept for business because it offers many specific strategies for implementation at the corporate level and allows organizations to not only focus on resource efficient production, but also to ensure the reuse of resources throughout the value chain. At the political level, further legislation to strengthen the closed economy is also likely to be implemented. If the economy does not operate on its own, severe bans or high taxes are possible. Companies that are already operating today could be tax exempt, for example, or get an advantage because they are already complying with new standards and laws. It is also a clear competitive advantage for companies integrating a circular economy. Moreover, according to the EU and the Ellen MacArthur Foundation, a circular economy should lead to the creation of millions of new jobs and a significant increase in national GDP.[5]

So if the goal is green growth (another interesting topic), circular economy can lead the European econo-

my to sustainable growth. There are many strategies a company can consider when developing circular products. Which circular economy strategy from downsizing to reuse best suits a company's business model and goals varies from industry to industry. There are many innovative ways to create a closed loop at the corporate level. It is of course important that the company does not consider only one strategy, for example, recycling. Most manufacturers or packaging fillers, for example, are limited by recycling targets. They strive to produce recyclable packaging; if possible, integrate recycled materials into new packaging. For example, all major food companies have set such targets for recycling by 2025 and are also on track to achieve them.

CONCLUSION

Prerequisites necessary for effective transition to a circular economy:

✓ the need to develop a legislative framework in the field of ecology along the way tightening;

✓ development and adoption of measures of state support for enterprises under holding the transition and / or carrying out activities in accordance with the principles of circular economy;

✓ support and stimulation of research activities in the direction of the circular economy;

✓ popularization and promotion of the ideas of the global network environmentally responsible business among Georgian companies;

✓ increasing the level of environmental education and self-awareness of representatives of Georgian society.

Circular economy has tremendous potential for optimization management, technological solutions to eliminate the complex of ecological economic problems in the resource sphere. The formation of its theoretical foundations was influenced by economic theories of industrialization development of socio-economic systems. Summarizing the above, we can assume that the circular economy is an economic model based on the principles of circular closed technological and biological cycles, which can be considered as a kind of green economy tool for targeted action efforts to achieve sustainable development and the implementation of the key SDGs. The circular economy concept is a universal way to green growth in the development of countries, which makes it possible to replace the model of a linear economy, by the most: reducing the resource dependence of production, overcoming and smoothing the social economic stratification of the world's population, solving environmental problems caused by global crisis and, as a result, achieve a stable state of the planet and save life on Earth.

REFERENCES:

1. European Commission, „Was geschieht, wenn wir nicht handeln?", 11.12.2019, Available at: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/de/fs_19_6715, Last checked – 09.09.2021;

2. Süddeutsche Zeitung, „EU-Kommission stellt Gesetzesentwurf für Klimaneutralität vor.", 04.03.2010, Available at: https://www.sueddeutsche.de/politik/eu-green-deal-1.4830586, Last checked – 09.09.2021;

3. Riegert, B. „findet die EU zu lahm", 04.03.2020, Available at: https://www.dw.com/de/greta-thunberg-findet-die-eu-zu-lahm/a-52636374, Last checked – 09.09.2021;

4. European Commission, „Ein europäischer Grüner Deal: Erster klimaneutraler Kontinent warden", 2020, Available at: https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal_de, Last checked – 09.09.2021;

5. European Parliament, „Kreislaufwirtschaft: Definition und Vorteile, 07.01.2021., Available at: https://www.europarl.europa.eu/news/de/headlines/economy/20151201STO05603/kreislaufwirtschaft-definition-und-vorteile, Last checked – 09.09.2021;

6. Karchava, L., 2014. Again about the investment environment in Georgia Or what kind of investor do we need?/ისევ საინვესტიციო გარემოს შესახებ საქართველოში ანუ როგორი ინვესტორი გვჭირდება?. The New Economist, 9(3, 2014), pp.1-1.

7. Pavliashvili, S., 2011. THE WORLD ECONOMIC CRISIS AND GEORGIA. The Caucasus & Globalization, 5(3-4), pp.54-62;

8. Pavliashvili S. Theories of economic efficiency, development models and the necessity of a circular economy in Georgia. Tbilisi, 2020;

9. http://environment.cenn.org/ge;

10. https://sustainability.ge;

11. https://www.worldbank.org/en/home;

12. https://www.socialeconomy.eu.org.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

DEVELOPMENT PLAN OF THE COUNTRY AND SOME OF ITS ASPECTS

Lasha Mgeladze
PHD, economics
E-mail: lmgeladze@gmail.com
Cell: (+995) 577229889

DOI suffix: 10.36962/NEC62-6303-04202120

ABSTRACT

The article includes strategic vision of development of the country / Georgia. It describes factors hindering development of the country, identifies the main goal / point of reference, where efforts should be directed to ensure development of the country - what the main, starting point is, that ensures rapid / subsequent growth / progress of the country. The article determines the main tasks and by fulfilling these tasks, presented goal shall be achieved. The article includes development program / plan / main directions / frame and as a result of their implementation, identified objectives will be accomplished and fast achievement of the goal will be ensured.

The article includes the author`s vision, proposal / recommendations of improvements in the various fields, such as: economics, social affairs, health care, security, agriculture, environmental protection, education, etc. It can be said, that the whole article represents a set of important and necessary recommendations for the country`s development.

As a conclusion, we would like to underline, that we don`t think, that we have presented universal formula / development vision. We only presented the guidelines, list of reforms, objectives and we believe, that their accomplishment / implementation is important for the future and subsequent development of the country - referred to in conclusion of the article.

Key words - *strategy, development plan, state governance, health care, defense, security, education, agriculture, public service, public administration.*

ქვეყნის განვითარების გეგმა და მისი ზოგიერთი ასპექტი

ლაშა მგელაძე,
ეკონომიკის დოქტორი
ელ. ფოსტა: lmgeladze@gmail.com
ტელ: (+995) 577229889

ანოტაცია

სტატია შეეხება ქვეყნის/საქართველოს განვითარების სტრატეგიულ ხედვას. მასში აღნიშნულია ქვეყნის განვითარების შემაფერხებელი გარემოების შესახებ. იდენტიფიცირებულია ძირითადი მიზანი/ორიენტირი, თუ საით უნდა იყოს მიმართული ქვეყნის განვითარების ძალისხმევა - რა არის ის ძირითადი, ამოსავალი წერტილი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის განვითარების სწრაფი და სწორი ტემპით ზრდას/სვლას. განსაზღვრულია ძირითადი ამოცანები რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფს წარმოდგენილი მიზნის მიღწევას და წარმოდგენილია ქვეყნის განვითარების პროგრამა/გეგმა/ძირითადი მიმართულებები/ჩარჩო, რომლის შედეგადაც უნდა იქნას მიღწეული დასახული ამოცანების შესრულება და მიზნის მიღწევისკენ სწრაფი სვლა.

ნაშრომი მოიცავს ავტორისეულ გაუმჯობესების ხედვას, წინადადებებს/რეკომენდაციებს ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვის, უსაფრთხოების, აგრარული, გარემოს დაცვის, განათლების და სხვა მიმართულებით. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ნაშრომი ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი, საჭირო რეკომენდაციების ნაკრებია.

დასასრულს გვინდა ვთქვათ, რომ ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ უნივერსალური ფორმულა/განვითარების ხედვა წარმოვადგინეთ. უბრალოდ გადმოვეცით ის ორიენტირები, რეფორმების ჩამონათვალი, ამოცანები, რომელთა შესრულება/განხორციელება, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია ქვეყნის სამომავლო განვითარებისა და სწორი სვლისათვის - აღნიშნულია ნაშრომის დასკვნაში.

საკვანძო სიტყვები *- სტრატეგია, განვითარების გეგმა, სახელმწიფო მართვა, ჯანდაცვა, თავდაცვა, უსაფრთხოება, განათლება, სოფლის მეურნეობა, საჯარო სამსახური.*

◇◇◇

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ვთვლით, რომ ეკონომიკა ფილოსოფიის ნაწილი უფროა ვიდრე მათემატიკური მოდელირების (თუმცა ეს სულ სხვა მსჯელობის საგანია).

რატომ ვისაუბრეთ ზემოაღნიშნულზე:

ზემოაღნიშნულმა მიდგომებმა/პროცესებმა გამოიწვია ის, რომ ჩვენ გადავყევით ერთმანეთის განსჯას, სამართლიანობის აღდგენაზე „ზრუნვას"[4] და უკან დაგვრჩა მთავარი - ***საერთო მიზნის, ქვეყნის განვითარების მიზნის, იდენტიფიცირება*** რომელი მიზნის მიღწევის გარშემო გავერთიანდებოდით და ყველა ერთად დავიწყებდით ზრუნვას ამ მიზნის მისაღწევად.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას:

1. სანამ არ გვექნება მკაფიო პრაგმატული და გააზრებული მიზანი განსაზღვრული

2. სანამ არ გვექნება მკაფიო პრაგმატული და გააზრებული მიზნის მიღწევის ამოცანები და მათი შესრულების ღონისძიებები განსაზღვრული

3. სანამ არ მოხდება „საერთო ეროვნული შეერიგება" და ერთმანეთის განსჯის (ერთმანეთთან „ომის") მაგივრად ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა არ იქნება პრიორიტეტი

ყოველგვარი განვითარების პერსპექტივაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

არსებობს რიგი ადამიანებისა, რომლებიც თვლიან რომ ჩვენ დაკარგული გვაქვს „იდეა", რომლის ირგვლივაც მოხდება ერის კონსოლიდაცია და სწორედ ეს არის პრობლემის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი. თუმცა, ჩვენი აზრით, ეს საკითხი სცდება ჩვენი სტატიის თემას და სხვა ტიპის, ფილოსოფიურ, მსჯელობაში გადავყავართ, რომელიც არ არის პირდაპირ კავშირში ერის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან. ის უფრო იდეოლოგიურ-პატრიოტულ-სულიერ კონსოლიდაციასთან არის კავშირში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ისმის კითხვა - ***რა შეიძლება იყოს ეს მიზანი და მისი მიღწევის მთავარი ამოცანა*** *(ასევე ამოცანები) რომელიც მოგვცემს სწრაფი სოციალურ ეკონომიკური განვითარების საშუალებას?*

პასუხი მარტივია:

მიზანი სწორედ ის არის რაზეც ყველა ვსაუბრობთ (რაზეც ზემოთაც ვისაუბრეთ) და თითქოს ყველა ვთანხმდებით, რომ ესე უნდა იყოს - ***შევქმნათ მსოფლიოში ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი და მზარდი ქვეყანა.***

რაც შეეხება **ამოცანას** - ეს არის სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, ***ჩვენ უნდა გავიზარდოთ უფრო სწრაფად ვიდრე მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები იზრდება,*** რათა შევძლოთ დავეწიოთ და ფეხი ავუწყოთ მსოფლიოს განვითარების დონეს და ტემპს. ამისთვის კი საჭიროა ყოველწლიურად ორ ციფრიანი (სულ მცირე 10% და მეტი) ეკონომიკური ზრდა. სწორედ ორ ციფრიანი ეკონომიკური ზრდაა საჭირო იმისთვის, რომ უახლოეს 25-35 წელიწადში შევძლოთ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური დონის/მდგომარეობის მიღწევა და შემდგომ ეტაპზე მათთან გათანაბრება.

ასე მაგალითად:

- 1990 წელს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, რომ არ გაგვეჩანაგებინა და ყოველ წელს ორ ციფრიან ეკონომიკურ ზრდაზე (საშუალოდ 10%) გვეზრუნა[5], დღეს ჩვენი ცხოვრების დონე (სიმდიდრე/ეკონომიკა ერთ სულ მოსახლეზე) იქნებოდა 28,163.34$[6] თითქმის სამჯერ უფრო მაღალი ვიდრე დღევანდელ რუსეთში (10,127), ჩინეთში (10,500), თურქეთში (8,538), არგენტინასა (8,442) და მექსიკაშია (8,347). ჩვენ ქვეყანაში იქნებოდა უფრო მაღალი ცხოვრების დონე ვიდრე დღევანდელ საბერძნეთში (17,676), ესპანეთში (27,063), ლიეტუაში (19,998), ესტონეთში (23,027), ლატვიასა (17,620) და პოლონეთშია (15,656) [6]. *<u>იხ. გრაფიკი N1</u>*
- 1993 წლიდან - მას შემდეგ რაც ქვეყანამ განიცადა სრული ეკონომიკური კოლაფსი/ვარდნა (ეკონომიკა 65.34%-ით დაეცა), დღემდე ყოველწლიური ორ ციფრიანი ეკონომიკური ზრდის შედეგად (დოლარში ერთ სულ მოსახლეზე - 7175.493) ჩვენ ვიქნებოდით დღევანდელ მექსიკას (8,347$), არგენტინასა (8,442) და თურქეთთან (8,538) ახლოს. ჩვენი ეკონომიკა იქნებოდა 20 მლრდ დოლარით (125.9%-ით) უფრო მეტი (35,240 მლრდ) ვიდრე დღეს არის (15,892 მლრდ $).
- **დღეიდან (2020 წლიდან), ყოველწლიურად ორ ციფრიანი ეკონომიკური ზრდის** შედეგად - 25 წელიწადში ვიქნებით (46,361.71 $-ით ერთ სულ მოსახლეზე) დღევანდელი გერმანიისა და (46,208$), ჰონგ-კონგის (46,334$) დონის ქვეყანა; უფრო მდიდარი (უფრო მაღალი ცხოვრების დონით) ვიდრე დღევანდელი საფრანგეთი (39,030), ისრაელი (43,611), კანადა (43,258), ახალი ზელანდია (41,478), ინგლისი (40,285), იაპონიაა (39,539) და ა.შ. *<u>იხ. გრაფიკი N2</u>*

4 ერთმანეთისთვის მტკიცებას ვინ უფრო მაგარია და სხვადასხვა ბანაკებად დაყოფას

5 აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, დოლარში, 1990-1993 წლებში 65.34%-ით, 7.754 მლრდ-$დან 2.688 მლრდ-მდე შემცირდა, ერთ სულ მოსახლეზე კი ეკონომიკა 1,614.65 $-დან 547.33-მდე დაეცა

6 დათვლილია საშუალოდ, ყოველწლიურად, 10%-იანი ზრდის შემთხვევაში



გრაფიკი N1



გრაფიკი N2

30 წელიწადში კი ვიქნებით (74,665.99$-ით ერთ სულ მოსახლეზე) ***დღევანდელი მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ქვეყანათა ხუთეულში.*** დღეს ამაზე უფრო მდიდარი ქვეყნებია მხოლოდ ლუქსემბურგი (115,874$), შვეიცარია (87,087) და ირლანდიაა (85,268). დიდი ალბათობით ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ქვეყანა მსოფლიოში. [5]

ვფიქრობთ ზემოაღნიშნული ციფრები ნათლად გვაჩვენებს რა უნდა იყოს ქვეყნის განვითარების ძირითადი ღერძი და რამხელა მნიშვნელობა აქვს ეკონომიკას ქვეყნის განვითარებისათვის (25 წელში დღევანდელი გერმანიის ცხოვრების დონის მიღწევა ნამდვილად არ არის ცუდი პერსპექტივა). გვინდა აღვნიშნოთ, სწორი ეკონომიკური საფუძვლის გარეშე სათანადოდ ვერ განვითარდება ვერცერთი დარგი თუ მიმართულება, იქნება ეს თავდაცვა, ჯანდაცვა, მეცნიერება/განათლება და ა.შ. სისტემა/მიმართულება, რომელიც არ დგას სწორ ეკონომიკურ სტიმულებზე/საფუძველზე ხდება კონკრეტული პირის/მმართველის კეთილ ნებაზე და უნარებზე დამოკიდებული, რაც ზრდის რყევების, არათანმიმდევრულობის, უკვე მიღწეულის დაკარგვის და ა.შ. ალბათობას.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკური ზრდა არის ყველა სექტორის განვითარების საწინდარი, რადგან ყველა სექტორს/მიმართულებას/იდეას განვითარებისათვის ჭირდება ფულადი კაპიტალი რისი ეფექტიანად მობილიზებაც ეკონომ-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

იკური ზრდის გარეშე შეუძლებელია. მოკლედ რომ ვთქვათ ეკონომიკურ ზრდას მოაქვს ეკონომიკური განვითარება (ქვეყნისა და მისი მდგენელების განვითარება).

აღნიშნული ორიენტირს მინიმუმადე დაჰყავს არაეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებისა თუ ღონისძიებების განხორციელების ალბათობა, რადგან შეფასების მარტივი ორიენტირია - გაგვიყვანს თუ არა ესა თუ ის ქმედება ორ ციფრიან ეკონომიკურ ზრდამდე (თუ არა აღარ ვახორციელებთ).[7]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ისმის კითხვა - რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მივაღწიოთ შედეგს/ამოცანის შესრულებას? პასუხი აქაც მარტივია - ***უნდა შევქმნათ ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ეკონომიკური გარემო მსოფლიოში.*** მარტივად რომ ვთქვათ. თავისუფალ კაპიტალს, რომელიც უხვადაა მსოფლიოში და ეძიებს ყაირათიანად დაბანდების გზებს, შევუქმნათ ჩვენს ქვეყანაში უფრო მარტივად და სარფიანად დაბანდების პირობა (აქ/ჩვენს ქვეყანაში, უნდა იყოს შესაძლებელი ყველაზე მარტივად და ყველაზე მომგებიანად განხორციელდეს ინვესტიცია).

სწორი/ეფექტიანი/მიმზიდველი გარემოს შესაქმნელად კი პირველ რიგში ***საჭიროა ქვეყანას ჰქონდეს (ქვეყანამ შეიმუშაოს) განვითარების ეფექტიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.***

სწორედ ზემოაღნიშნული გეგმა იქნება ჩვენი მიმდინარე ნაშრომის საგანი და განსახილველი თემა. წარმოვადგენთ განვითარების გეგმას, რომელიც, ჩვენი აზრით, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, იქნება ოპტიმალური ჩვენი ქვეყნისთვის.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, ჩვენ არ გვაქვს ამბიცია, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი გეგმა უნივერსალური და შეუცვლელია. გეგმის წარმოდგენის მიზანია მკითხველს/საზოგადოებას დავანახოთ ის ძირითადი აქცენტები/მიმართულებები/მიდგომები, რაზეც უნდა იქნეს გამახვილებული ყურადღება, ჩვენი აზრით, მომავალში - რაც გაადვილებს ზემოთ წარმოდგენილი ამოცანის - ორციფრიანი ეკონომიკური ზრდის, მიღწევას და ქვეყნის განვითარების სწორი მიმართულებით სვლას.

ქვეყნის განვითარების გეგმა
(არსებული რეალობიდან გამომდინარე)

საქართველოს გააჩნია უნიკალური შესაძლებლობა ააშენოს პროგრესული, მოქალაქის ინტერესზე მორგებული, ადამიანის განვითარებასა და თავისუფლებაზე დამყარებული, ეკონომიკურად და სოციალურად ძლიერი ქვეყანა, სადაც სახელმწიფო იქნება პიროვნებისათვის და პიროვნება სახელმწიფოსათვის. ქვეყანა, რომელიც იქნება მსოფლიო განვითარებული თანამეგობრობის ღირსეული და ანგარიშგასაწევი წევრი.

შესაბამისად, ქვეყნის ***მიზანი*** უნდა იყოს განსაზღვრული შემდეგი ფორმით: ***შევქმნათ მსოფლიოში ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი, კონკურენტუნარიანი და მზარდი ქვეყანა.***

მიზნის მიღწევისთვის დასახული უნდა იქნას შემდეგი ამოცანები:

ეფექტიანი სახელწიფო მმართველობა - მცირე, მოქნილი, წამოჭრილ პრობლემებსა თუ ამოცანებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების მქონე, გამჭვირვალე სახელმწიფო ინსტიტუტი; დეცენტრალიზებული მმართველობის სტილით.

შესაბამისი/ეფექტიანი ეკონომიკური გარემო - რომელიც შექმნის ქვეყნის სწრაფი/ნახტომისებური განვითარების სტიმულს.

ადეკვატური და ეფექტიანი სოციალური გარემოს ფორმირება - ეს ნიშნავს განვითარებულ სამოქალაქო საზოგადოებას. ქვეყნის ყველა მოქალაქეს ექნება თანაბარი სასტარტო პირობა ღირსეული განვითარებისთვის, უზრუნველყოფილი იქნება მოქალაქის/ადამიანის თავისუფლება და თავისუფალი არჩევანის ქონის უფლება.

ადეკვატური თავდაცვისუნარიანობა - ქვეყნის მდგრადი განვითარების, თავისუფლებისა და სტაბილურობის შენარჩუნებისათვის/უზრუნველსაყოფად

ეფექტიანი უსაფრთხოებისა და სამართალდამცავი სისტემა - სისტემა, რომელიც ადეკვატურად დაიცავს ქვეყნის უსაფრთხოებას და მართლწესრიგს. სისტემა, სადაც ადამიანს ექნება კანონის წინაშე თანასწორობისა და დაცულობის განცდა.

სამართლიანი ქვეყანა - ეს ნიშნავს მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ სასამართლო სისტემას.

ეფექტიანი განათლების სისტემა - შესაძლებელი გახდეს ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი და მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღება.

ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის სისტემა - ქვეყნის მასშტაბით თანამედროვე საუკეთესო სტანდარტების შესაბამისი ჯანდაცვის მომსახურების მიღების შესაძლებლობა.

ღია და ტოლერანტული კულტურული გარემო - ტრადიციულობისა და თანამედროვეობის ნაზა-

7 რა თქმა უნდა აქ გარკვეული ტიპის სოციალური პროექტები არ იგულისხმება. მაგ. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების დახმარება სახელმწიფოს პირდაპირი მოვალეობაა. თუმცა ზღვარი გასათვალისწინებელია

ვი კულტურული გარემო. შესაბამისი სტიმულების შექმნა კულტურული დაწესებულებებისა თუ ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარების თვალსაზრისით.

მდგრადი და ეფექტიანი ბუნებრივი გარემო - ბუნებრივი წიაღისეულით, ტყით, წყლით და ა.შ. სარგებლობის სისტემის გამართვა. ბუნებათსარგებლობის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება.

ადეკვატური და არსებულ რეალობას მორგებული საგარეო პოლიტიკა - ევროპულ და ევროატლანტიკურ სისტემებში ინტეგრაციის გაღრმავება, მსოფლიოს სხვადასხვა და მეზობელ ქვეყნებთან პოლიტიკური თუ ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება

ენერგოუსაფრთხოებასა და ენერგოდამოუკიდებლობისკენ სწრაფვა - დივერსიფიცირებული, დერეგულირებული და სწორ სტიმულებზე აგებული ენერგეტიკული გარემოს ფორმირება.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ სწრაფვა - დაბალანსებული, თანმიმდევრული და მიზანმიმართული ღონისძიებების განხორციელება ქვეყნის მიმზიდველობის ზრდისა და მეგობრული გარემოს ფორმირების გზით.

ამოცანების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებები რეფორმები

გასატარებელი რეფორმების/ღონისძიებების განსაზღვრამდე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკა ფაქტობრივად მოიცავს ქვეყნის ყველა სფეროს და მისი განცალკევებულად განხილვა არამართებულია.

ეკონომიკური განვითარების შედეგად მაღლდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც მოიცავს როგორც უშუალოდ ეკონომიკურ ისე სოციალურ, ჯანდაცვის, თავდაცვის, განათლების და ა.შ. სექტორებს. შესაბამისად, ქეყანაში არსებული ყველა მიმართულება, სფერო უნდა იყოს სწორ ეკონომიკურ საფუძველზე დაშენებული. რეფორმები უნდა იყოს მცირე და ეფექტიანი სახელმწიფო მიმართულების შექმნისა და ლიბერალურ პრინციპებზე დაფუძნებული, მაქსიმალურად „თვითკმარი" (ადამიანის/მენეჯერის ზეგავლენაზე ნაკლებად დამოკიდებული) სისტემების შექმნისკენ მიმართული (სადაც ეს შესაძლებელია).

ეფექტიანი სახელწიფო მმართველობის ჩამოყალიბება:

რეფორმები მიმართული უნდა იყოს მცირე, მოქნილი წამოჭრილ პრობლემებზე სწრაფად და ეფექტურად/ეფექტიანად რეაგირებადი საჯარო სამსახურის შესაქმნელად.

სახელმწიფო სამსახურის შენახვის ხარჯი არ უნდა გასცდეს თავდაპირველად მშპ-ს 20%-ს, შემდგომ შემცირდეს მშპ-ს 11% პროცენტამდე. ხოლო რეფორმები უნდა წარიმართოს ისე, რომ შენახვის ხარჯი დავიდეს 7%-მდე.

საჯარო მოხელეთა და საჯარო დაწესებულებების რაოდენობის მაქსიმალურად შემცირება. უნდა მოხდეს ოპტიმიზაცია - ზედმეტი ფუნქციები, დაწესებულებები და თანამდებობები უნდა გიუქმდეს (შეიქმნას დაემატოს ფუნქცია იმ მიმართულებით სადაც გარდაუვლად აუცილებელია).

ფუნქციების და საბიუჯეტო შემოსავლების დეცენტრალიზაცია (რეგიონში აკრეფილი გადასახადის ნაწილი უნდა დარჩეს რეგიონშივე). უნდა იქნას შემოღებულ ე.წ. გუბერნატორების არჩევითობის პრინციპი. განხორციელდეს რეგიონების ეკონომიკური შესაძლებლობების გამოთანაბრებითი ეფექტიანი გეგმის შემუშავებისა და ინსტიტუციონალიზაციის ღონისძიებები.

მაქსიმალურად გაიზარდოს საზოგადოების მხრიდან საჯარო დაწესებულებებისა თუ ჩინოვნიკების საქმიანობის კონტროლი.

რეგიონისა თუ ქვეყნის განვითარების გეგმების შემუშავების პროცესი და ბიუჯეტი უნდა გახდეს მაქსიმალურად საჯარო/გამჭვირვალე და უზრუნველყოფილი იქნას მოსახლეობის ჩართულობა.

შემოღებულ იქნას განსახორციელებელი ღონისძიებების პრიორიტეტულობის პრინციპი, ხოლო რეგიონში განსახორციელებელი პრიორიტეტების ნუსხა შემუშავდეს ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართულობით.

რეფორმები მიმართული უნდა იყოს როგორც კორუფციული გარიგებების შესაძლებლობების შემცირებისკენ, ისე კორუფციული დანაშაულების დროულად პრევენციისა და აღკვეთის მიმართულებით. კორუფციის შემცირების კუთხით გაგრძელდეს/გაღრმავდეს ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფთან (GRECO) თანამშრომლობა.

დაიხვეწოს საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემა.

განხორციელდეს საბიუჯეტო სისტემის დახვეწა - მოხდეს ე.წ. პროგრამულ ბიუჯეტზე სრულად გადასვლა (ბიუჯეტში გაწერილი ყველა თეთრის საჭიროება იქნას დასაბუთებული). ეს გამოიწვევს თავიდანვე, ბიუჯეტის დაგეგმვის საწყის ეტაპზე, არამიზნობრივი ხარჯების აღკვეთის შესაძლებლობას (აღკვეთას). შესაბამისად, აღარ იქნება საჭირო ბიუჯეტის ხარჯვის პროცესში არამიზნობრივი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ხარჯების აღკვეთისთვის დამატებითი სპეციალური ნორმატიული აქტების შემოღება. მაქსიმალურად შემცირდება კორუფციისა და თანხების ფუჭად ხარჯვის ალბათობა.

ეკონომიკა და გარემოს დაცვა:

განხორციელდეს ლიბერალურ (წნეხის გაიოლებაზე/შემცირებაზე) პრინციპებზე ორიენტირებული ეკონომიკური რეფორმები. ქვეყანა ბიზნესის კეთების სიიოლით უნდა მოხვდეს მსოფლიო რეიტინგის პირველ სამეულში. მოხდეს ბიზნესის რეგულირების როგორც ინსტიტუციური ისე სამართლებრივი დახვეწა და ლიბერალიზაცია.

<u>რეფორმები წარიმართოს ისე, რომ ქვეყანა გავიდეს ორ ციფრიან (10% და მეტი) ეკონომიკურ ზრდაზე</u> (ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. როგორც უკვე აღვნიშნეთ ორციფრიანი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება 25-30 წელში გაგვიყვანს დღევანდელი ევროპის განვითარებული ქვეყნების სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობამდე და გაგვხდის ერთ-ერთ ყველზე უფრო სწრაფად მზარდ ქვეყანას მსოფლიოში).

<u>საგადასახადო სისტემის რეფორმა</u> - დარჩეს მხოლოდ ერთი გადასახადი (მაგ. გადასახადი ბრუნვიდან) გაიოლდეს საგადასახადო ადმინისტრირება (ერთი გადასახადი ისედაც გააიოლებს). მაქსიმალურად შეიკვეცოს შემოსავლების სამსახურის როგორც ბიზნესის მაკონტროლებლის ფუნქციები.

<u>საბაჟო სისტემის რეფორმა -</u> საბაჟო ტარიფების მაქსიმალურად განულდეს იმპორტირებულ პროდუქტზე, საბაჟო პროცედურები კიდევ უფრო გამარტივდეს. სამი ფერის ზონებში გატარების პროცედურები დაიხვეწოს - ეს გაზრდის კონკურენციას შიდა ბაზარზე, გამოკვეთავს ქვეყნის უპირატესობებს, თუ რომელი კუთხით განვითარება ჩააყენებს კონკურენტულ უპირატესობაში ქვეყანას, იმპორტირებულ პროდუქტთან შედარებით. გაიზრდება ე.წ. „ლურჯი ოკეანის" ზონების ათვისების (ინოვაციური პროდუქტის შექმნის - ინოვაციური აუთვისებელი ბაზრის სეგმენტის ათვისების) სტიმული.

<u>ფინანსური/საბანკო სისტემის რეფორმა</u> - უნდა მოხდეს რეფორმების გატარება რათა შემცირდეს რისკები საბანკო სფეროსთვის. საბანკო/საფინანსო სფერო გათავისუფლდეს ზედმეტი რეგულირებისაგან. ეს გამოიწვევს უფრო მეტი კაპიტალის მოზიდვის, მეტი ბანკის ბაზარზე შემოსვლის და შესაბამისად კონკურენციის გაზრდის სტიმულირებას. აღნიშნული შეამცირებს საპროცენტო განაკვეთს და უფრო მარტივს და იოლს გახდის ბიზნესის დაკრედიტებას. სახელმწიფოს რეფორმები უნდა იყოს მიმართული საბანკო სისტემის საკრედიტო რეიტინგის BBB-დან BBB+ -მდე და შემდგომი რეიტინგის მოპოვებისაკენ (ეს კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის უცხოურ სავალუტო რესურსს).

შემოღებული უნდა იქნეს ***<u>თავისუფალი საგადამხდელო/სავალუტო სისტემა</u>*** (ყველა ვალუტის საგადამხდელო საშუალებად დაშვება). ეს ფაქტობრივად ნულამდე დაიყვანს სავალუტო რისკს, რაც ინვესტორისთვის დიდ სტიმულს გააჩენს დაბანდოს ამ ქვეყანაში ფული. ასევე, გაუმარტივებს (თითქმის ნულამდე დაიყვანს სავალუტო რისკს) ოპერირებას ქვეყანაში მოქმედ სამეწარმეო სუბიექტებს.

უნდა მოხდეს *ეროვნული ბანკის გაუქმება* და *ე.წ. ორთოდოქსული სავალუტო საბჭოს შემოღება*. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს სახელმწიფოსგან საბანკო სექტორზე წნეხს და მათი დამორჩილების მცდელობებს. გააჩენს სტიმულს ბაზარზე შემოვიდეს მეტი ხარისხიანი ბანკი...

<u>ლიცენზიების და ნებართვის სისტემის დახვეწა</u> - არსებული ნებართვებისა და ლიცენზიების რევიზია და ფუჭი ნებართვების გაუქმება. ლიცენზიების და ნებართვების გაცემის კიდევ უფრო გამარტივება. ამასთან, უნდა მოხდეს (შესაძლებელია სახელმწიფოს დახმარებით), პროდუქტის ხარისხის შემოწმების ლაბორატორიების შექმნა განსაკუთრებით საკვები პროდუქციის მიმართულებით.

<u>ფართომასშტაბიანი და სწორ ეკონომიკურ გათვლებზე დამყარებული სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა</u> - უნდა მოხდეს სახელმწიფოს ხელში არსებული ყველა აქტივის (რაც მისი ფუნქციონირებისათვის არ არის გარდაუვლად აუცილებელი) პრივატიზება

მათ შორის:

სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზება - რაც, მათ შორის, მოიცავს მიწის უკვე არსებული მფლობელებისთვის (ვინც ამუშავებს წლებია მიწას) მიწის საჩუქრად საკუთრებაში გადაცემას.

ტყის მართვის პროგრამის შემუშავება - უნდა მოხდეს ტყის რესურსების პრივატიზება.

წყლის აუზების მართვის კონცეფციის შემუშავება - რაც ლოტებად დაყოფას და პრივატიზებას გულისხმობს შესაბამისი პირობებით[8]

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების

8 ტყის და წყლის რესურსების პრივატიზება არ მოიცავს წყლით ან ტყით სარგებლობის სამომხმარებლო დონეზე აკრძალვას (მაგალითად სოკოს და ფიჩხის შეგროვებას, ანკესით თევზაობას ან ბანაობას და ა.შ.)

სისტემის დახვეწა - მათი მაქსიმალურად ლიბერალურ პრინციპებზე აგების მიმართულებით. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მკვეთრი ლიბერალიზაცია ალბათ ვერ მოხდება, რადგან სახელმწიფო/საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლისთვისაა შექმნილი. თუმცა დღეს არსებული მოდელის უფრო ლიბერალურ, მოქნილ და ეფექტიან ფორმად ჩამოყალიბება შესაძლებელია. კონკურენციის მარეგულირებელი სისტემა კი მაქსიმალურად ლიბერალურ პრინციპებზე უნდა აიგოს. ამ მიმართულებით, რეგულაცია ყველაზე მკაცრი უნდა იყოს სახელმწიფო გადაწყვეტილებების კონკურენციული კუთხით შეფასების/კონტროლის ნაწილში.

ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემის დახვეწა - რესურსებით სარგებლობის კონკურენტული სისტემის შემოღება და სარგებლობის ფორმების დივერსიფიკაცია.

ქვეყნის მდგრად განვითარების რელსებზე ეტაპობრივი გადაყვანა - მდგრადი განვითარება მოიცავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურად ისე განვითარებას, რომ გარემოს მიადგეს მინიმალური ზიანი (არ დაზიანდეს გარემო). თავდაპირველ ეტაპზე, იმისათვის, რომ ქვეყანამ აიღოს სწრაფი განვითარების კურსი მოკლე ვადაში, შესაძლებელია ვერ მოხდეს გარემოს სათანადო დაცვა, თუმცა დროთა განმავლობაში, განვითარების ზრდასთან ერთად უნდა მოხდეს გარემოს დაცვის ღონისძიებების გამკაცრებაც.

სოფლის მეურნეობის სისტემის რეფორმა - განხორციელდება რეფორმა სისტემის რეგულირებისა და ბიუროკრატული ბარიერების მაქსიმალური შემცირების, სუბსიდირების გაუქმებისა და კერძო სექტორის როლის მაქსიმალურად ზრდის მიმართულებით *(შედარებით დეტალურად წარმოდგენილია ქვემოთ)*

ჯანდაცვის სისტემა:

ქვეყნის ტერიტორიასა და მოსახლეობაზე მორგებული ევროპული დონის ჯანდაცვის სისტემა. რეფორმების შედეგად ქვეყნის ყველა მოქალაქეს მიუხედავად მისი ადგილსამყოფელისა უნდა შეეძლოს ნახევარი საათის შუალედში მიიღოს თანამედროვე საუკეთესო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო/ჰოსპიტალური მომსახურება. ქვეყნის ყველა მოქალაქე უნდა იქნას დაზღვეული (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფებს და უმუშევრებს უნდა აზღვევდეს სახელმწიფო. უნდა გაიზარდოს სიღარიბის ზღვარი).

რეფორმის ფარგლებში, ქვეყნის მოთხოვნების/საჭიროებების შესაბამისად, მოხდება: სავადმყოფო ინფრასტრუქტურის განახლება/შექმნა; უბნის/ოჯახის ექიმის ინსტიტუტის განვითარება/დაიხვეწა და შესაბამისად აღჭურვა; ექიმებისა და მათ მიერ გამოწერილი რეცეპტების/დანიშნული მკურნალობის ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნა; საავადმყოფოს, ექიმს, სასწრაფო დახმარებასა და პაციენტს შორის ერთიანი „ონლაინ“ (ელექტრონული - აუდიო-ვიდეო კომუნიკაციის) სივრცის შექმნა; ჯანდაცვის დაზღვევის სისტემის განვითარება/გაუმჯობესება; მედიკამენტების იმპორტის მაქსიმალური დერეგულირება (გამოიწვევს წამლების გაიაფებას) - *შედარებით დეტალურადაა წარმოდგენილი ქვემოთ.*

განათლების სისტემა:

თავისუფლად მოაზროვნე, განათლებულ და სოციალურად ადაპტირებულ პიროვნების შექმნაზე ორიენტირებული განათლების სისტემა - განათლების პროგრამების დეცენტრალიზაცია, ინსტიტუტების პრივატიზაცია. სისტემის თავისუფალი კონკურენციის პირნციპებზე გადაყვანა.

რეფორმის ფარგლებში უნდა მოხდეს: სკოლის ატესტატის წარდგენის ვალდებულების გაუქმება უმაღლეს სასწავლებლებში; კერძო, ცენტრალური რეგულირებისაგან თავისუფალი სკოლების შექმნა (სწავლების სტანდარტების მაქსიმალური დეცენტრალიზაცია სკოლებამდე/უნივერსიტეტებამდე და კერძო სკოლების როლის ზრდა); სკოლის მოსწავლის ვაუჩერიზაცია (განურჩევლად სკოლის კუთვნილებისა - კერძო თუ სახელმწიფო); უნივერსიტეტების მაქსიმალური განსახელმწიფოებრიობა; უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების თუ მისაღები პროცედურების დადგენაში მაქსიმალური თავისუფლების მიცემა - სასწავლო პროგრამების ცენტრალიზებულად რეგულირების მაქსიმალური ლიბერალიზაცია; უმაღლესი სასწავლებლების სახელმწიფო დაფინანსების გაუქმება; პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის განვითარება; განათლების სისტემის მსოფლიო განათლების სისტემასთან თავსებადობის ხელშეწყობა; მსოფლიოს წამყვანი საუკეთესო უნივერსიტეტების საქართველოში შემოსვლის მაქსიმალური წახალისება - *შედარებით დეტალურადაა წარმოდგენილი ქვემოთ.*

სასამართლო სისტემა:

სახელმწიფო წნეხისგან/გავლენისგან თავისუფალი სასამართლო სისტემა - რეფორმები მიმართული უნდა იქნეს მოსამართლის (მათ შორის რეგიონის რაონის მოსამართლის) არჩევითობის

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

პრინციპების დანერგვისაკენ (რაიონულ მოსამართლეს აირჩევს რაიონის/რეგიონის მოსახლეობა). ასევე შესაძლებელი გახდება მოდავე მხარეებმა, ურთიერთთანხმობის შემთხვევაში თითონ აირჩიონ მათთვის სასურველი მოსამართლე (მსგავს შემთხვევაში მოსამართლე, პირველ ინსტანციაზე, შესაძლებელია იყოს ნებისმიერი საქართველოს მოქალაქე რომელიც არ არის ნასამართლევი).

თავდაცვა, სამართალდაცვა და სახელმწიფო უსაფრთხოება:

სახელმწიფო/პოლიტიკური წნეხისაგან/გავლენისაგან თავისუფალი თავდაცვის, სამართალდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის შექმნა - პოლიციის, თავდაცვისა და უშიშროების ორგანოების/ინსტიტუტებისა და საკანონმდებლო ბაზის რეფორმა (მაქსიმალური დეცენტრალიზაცია). არჩევითი პოლიციის უფროსებისა და პროკურორების სისტემის შემოღება (რაიონის/რეგიონის პოლიციის უფროსს და პროკურორს ისევე როგორც მოსამართლეს უნდა ირჩევდეს ადგილობრივი მოსახლეობა).

თავდაცვის სისტემის NATO-ს სტანდარტებთან მაქსიმალური მიახლოება. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ მიმართული ქმედებების განხორციელება. ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმის - MAP-ის მიღებისათვის საჭირო ღონისძიებების აქტიური განხორციელება.

თავდაპირველ ეტაპზე სრულად საკონტრაქტო სისტემაზე, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში თავდაცვის სისტემის ე.წ. შვეიცარიულ მოდელზე გადაყვანა.

კრიზისების მართვისა და უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესება და დახვეწა - ეფექტიანი, არსებულ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე მორგებული და როგორც გლობალური ისე ლოკალური საფრთხეების მაიდენტიფიცირებელი საფრთხეების შეფასების დოკუმენტის შექმნა. მისი აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების (როგორც ინსტიტუციური ისე ნორმატიული) დანერგვა. ასევე, კრიზისების მართვის დოკუმენტის შექმნა და მისი ეფექტურად აღსრულების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება.

ენეგოუსაფრთხოება:

მიწოდების და მოწოდების წყაროების დივერსიფიკაცია, საკუთარი ენერგო წარმოების განვითარება და ხელშეწყობა, ენერგეტიკის რეგულირების სისტემის საფუძვლიანი რეფორმა რეგულაციების შერბილებისა და განვითარების სტიმულების დანერგვის მიმართულებით. განახლებადი ენერგო რესურსების ეფექტიანი ათვისება.

სოციალური დაცვა:

სოლიდარობის პრინციპის დამკვიდრება; სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირების საკვებით და თავშესაფრით უზრუნველყოფა - დახმარების ეტაპობრივი მონეტიზებისკენ სვლა; საპენსიო სისტემის რეფორმა, კერძო საპენსიო დანაზოგების სისტემაზე აგებული, ღირსეულ საპენსიო უზრუნველყოფაზე მიმართული რეფორმების განხორციელება. ზემოთ წარმოდგენილი რეფორმების განხორციელების/მიმართულებების დახვეწის შედეგად მკვეთრად გაიზრდება მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობა (ქვეყნის სტრატეგიის/გეგმის არსი ადამიანების ყოფა ცხოვრების გაუმჯობესებაზეა მიმართული).

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა:

მნიშვნელოვანია კულტურისა და სპორტის სფეროში კერძო სექტორის როლის გაძლიერება და სისტემის მართვის ინსტიტუციური მოდელის დახვეწა; კულტურული და სპორტული ცხოვრების თანაბარი ხელმისაწვდომობა მთელი ქვეყნის მასშტაბით; კულტურისა და სპორტის სფეროში თავისუფალი და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება (იქ სადაც ეს შესაძლებელია).

კულტურისა და სპორტის სფეროში, კრიტიკულად მნიშვნელოვანია შემდეგი ღონისძიებების განხორცილება: კულტურული მემკვიდრეობის (მათ შორის ძეგლების) განუხრელი დაცვა და რეაბილიტაცია; კულტურის დაწესებულებებისა და ანსამბლების მაქსიმალურად თავისუფალ საბაზრო პრინციპებზე გადაყვანა. ქართული კულტურისა და ტრადიციების მსოფლიო პოპულარიზაციის ხელშეწყობა; კულტურისა და სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; კულტურისა და სპორტის ინსტიტუციური რეგულირების რეფორმა კონტროლის მექანიზმების მაქსიმალურად შემცირებისა და საბაზრო პრინციპების დამკვიდრების მიმართულებით; მუზეუმების განვითარების/რეაბილიტაციის პროგრამა - საზოგადოებასა და მუზეუმებს შორის გაუცხოების შემცირება, მუზეუმების ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში სათანადოდ ჩართვა (მუზეუმების სანახაობითი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ფუნქციის აღდგენა, პოპულარიზაცია და ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად გადაქცევა). მუზეუმში დაცული ექსპონატების დაცვისა და კონსერვაციის სათანადო ინფრასტრუქტურის/მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამართვა (ექსპონატთა დაცვისა და კონსერვაციის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პირობების შექმნა).

ქვეყნის ყველა რეგიონში თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და ტექნიკით აღჭურვილი მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსების აშენება (ინვესტორების მოზიდვითა და კერძო კაპიტალის უშუალო ჩართულობით); ე.წ. ქუჩის სპორტის განვითარება [ყველა უბანში, სოფელსა თუ მრავლად დასახლებული პუნქტების ეზოებში სპორტული მოედნების (როგორც ფეხბურთის ისე კალათბურთის, ჩოგბურთის, რაგბის, ფრენბურთის და ა.შ. მოწყობა (იმის მიხედვით რის საშუალებასაც იძლევა უბნის გარემო), სავარჯიშო კუთხეებისა თუ შესაბამისი სპორტული თამაშობების მაგიდების მოწყობა].

მომავალი თაობების/ახალგაზრდობის ვაუჩერიზაცია სხვადასხვა სპორტული სახეობებში ვარჯიშისა თუ კულტურის წრეებში სწავლის მიმართულებით - უნდა მოხდეს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ბავშვების ერთი სახეობის სპორტისა თუ კულტურული წრის 100% - მდე ვაუჩერიზაცია (სპორტზე ან რაიმე წრეზე სიარულის სურვილის შემთხვევაში). ასევე, პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენისა თუ ხელოვანის (მაგ. შეჯიბრებებში გამარჯვებულების) 100% -მდე ვაუჩერიზაცია.

მეტი თვალსაჩინოებისთვის გვინდა გამოვყოთ რამდენიმე სფერო და უფრო დეტალურად წარმოვადგინოთ სფეროს/მიმართულების განვითარების ჩარჩო/ძირითადი პრიორიტეტები

განათლების სისტემის რეფორმა

პრობლემა:

ძირითადად, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არასათანადო ხარისხის განათლების სისტემა; ბავშვის ინტერესებსა და უნარებზე არ არი მორგებული საშუალო განათლება (ყელა სწავლობს ერთი და იგივე პროგრამით); ცენტრალიზებულ მართვაზე/წესებზე დამოკიდებული სისტემა; შეუსაბამო/გაუმართავი განათლების ინფრასტრუქტურა და განათლების პროგრამები

ამოცანა:

შეიქმნას ხარისხიანი ბავშვის უნარებსა და ინტერესებზე მორგებული საშუალო განათლებისა და საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ცოდნასა და თავისუფალ აზროვნებაზე, პროფესიონალად ჩამოყალიბებისკენ (სოციალურად ადაპტირებულ პიროვნების შექმნაზე) მიმართული უმაღლესი განათლების სისტემა.

რეფორმა:

- გაუქმდეს ატესტატის წარდგენის ვალდებულება უმაღლეს სასწავლებელში მისაღებად. აბარებს ყველა ვინც აკმაყოფილებს უმაღლესი სასწავლებლის ცოდნის მოთხოვნას მიუხედავად იმისა იარა თუ არა სკოლაში
- გარდა არსებული საშუალო სკოლებისა რომელიც სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სტანდარტების (მინიმალური მოთხოვნების) მიხედვით ასწავლიან სკოლებში, დაშვებულ იქნას სკოლები, რომლებსაც ექნებათ სრული თავისუფლება (მინიმალური თემატური მოთხოვნებით, მაგ. არ უნდა ასწავლონ უხამსობა და ა.შ.) სწავლების მიმართულებით. მშობელმა გადაწყვიტოს სად ასწავლის თავის ბავშვს (ეს დროთა განმავლობაში გამოიწვევს სახელმწიფო სტანდარტებზე მორგებული სკოლების ჩანაცვლებას თავისუფალ სწავლებაზე მორგებული სკოლებით და გაჩნდება მრავალი ალტერნატივა ბავშვისთვის და არა ერთი. კონკრეტული, ნახევრად სათუო სტანდარტულ გეგმაზე დაფუძნებული სკოლა)
- სკოლის ვაუჩერი არა მარტო საჯარო სკოლაში არამედ კერძო სკოლაშიც უნდა მიყვებოდეს ბავშვს. ეს აღკვეთავს საჯარო სკოლების ხელოვნურად პრივილეგირებულ სიტუაციაში ჩაყენების პრაქტიკას და უბიძგებს საჯარო სკოლებს გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანები
- უმაღლეს განათლებაში ჩემი აზრით საერთოდ არ არის საჭირო ერთიანი მისაღები გამოცდები. ყველა უნივერსიტეტმა გადაწყვიტოს რა კრიტერიუმების საფუძველზე მიიღებს ბავშვს. უნივერსიტეტის ეფექტიანობა მაინც მისი გამოშვებულების დასაქმების მაჩვენებლით განისაზღვრება და შესაბამისად ყველა შეეცდება უფრო კვალიფიციურ უნივერსიტეტში მიმართოს ბავშვი
- უნდა დარჩეს მხოლოდ ერთი სახელმწიფო უმაღლესი უნივერსიტეტი სხვა უნდა განკერძოვდეს და უნდა მიეცეს საშუალება თვითონ შეადგინონ სწავლის გეგმა სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს.
- მაქსიმალურად უნდა შემცირდეს უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსება სახელმწიფოს მიერ. ეს შეამცირებს სახელმწიფოზე დამოკიდებული სასწავლებლების და აკადემიური წრის რაოდენობას რაც უფრო ობიექტურს და მეცნიერება-ორიენტირებულს გახდის ამ სისტემას. უფრო კრიტიკულს სახელმწიფოსადმი (სულ მცირე ლოიალური არ იქნება სახელმწიფო მმართველის მიმართ)
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (ბაღები)[9] უნდა გადავიდეს ვაუჩერულ სისტემაზე და სახელწმიფო ბაღები უნდა გაუქმდეს ეტაპობრივად. ბაღში უფასოდ ბავშვის ტარების მექანიზ-

9 ვფიქრობთ, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები განათლების სისტემის ნაწილია.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მი უნდა მოიშალოს. ბავშვზე გამოიყოფა ვაუჩერი, რომელიც საშუალებას მისცემს მშობელს, რომელ სკოლამდელ დაწესებულებაშიც უნდა იქ წაიყვანოს ბავშვი. ვაუჩერი იქნება მიბმული სიღარიბის ზღვრთან. შესაბამისად, სიღარიბის ზღვრის კრიტერიუმები უნდა გადაიხედოს (კრიტერიუმი უნდა გაიზარდოს). ანუ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ჯერ ვაფინანსებთ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ პირებს უფრო მეტით და მერე თუ გვაქ გათვალისწინებული სახსრები, დაფინანსება გადანაწილდება სხვა სოციალურ ფენებზე.

- ყოვლად გაუმართლებელია ბაღების ასოციაციის და ბაღების მართვის ერთიანი სისტემის არსებობა. უნდა დადგინდეს მინიმალური სტანდარტი როგორ უნდა იყოს მოწყობილი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. მინიმალური სტანდარტის ზემოთ ბაღებს უნდა მიეცეს სრული თავისუფლება. მშობელმა (მშობელთა საბჭომ) და ბაღის ადმინისტრაციამ უნდა განსაზღვროს რა და როგორ ჭირდება აღსაზრდელს.
- დაიწყოს მუშაობა, რომ მსოფლიოს წამყვანმა უნივერსიტეტებმა გახსნან ფილიალების საქართველოში. ამისათვის შეიქმნას შესაბამისი გარემო და განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები.
- პროფესიული სასწავლებლების სიტემის დახვეწა და სწავლების ხარისხის ამაღლებისკენ მიმართული რეფორმების განხორციელება.

ზემოაღნიშნული რეფორმების განხორცილება, ჩვენი აზრით გამოიწვევს, ეტაპობრივად, განათლების სისტემის ეფექტიან ფორმაზე გადასვლას.

სოფლის მეურნეობის სისტემის რეფორმა

პრობლემა:

მოშლილი ინფრასტრუქტურა და მიწის დამუშავებისთვის საჭირო ინვენტარის/თანამედროვე ტექნოლოგიის სიმწირე; თანამედროვეობასთან არაადეკვატური/შეუთავსებელი სისტემა, როგორც ტექნოლოგიურად ასევე ცოდნით; მოყვანილი პროდუქტის სიმწირე სეზონურობა და გასაღების ბაზრების სიმცირე; 5 ჰექტრამდე (ჰექტრებად) დანაწილებული მიწები; მიწების დიდი ნაწილის 80-%-მდე სახელმწიფო საკუთრებაში არსებობა; მიწების დიდი ნაწილის დაუმუშავებლობა. გადამამუშავებელი წარმოების დაბალ ეფექტიანობა/არ არსებობა და ა.შ.

ამოცანა:

შეიქმნას თანამედროვე წარმატებული სტანდარტების შესაბამისი სოფლის მეურნეობის სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება არა სუბსიდიებზე არამედ ყოჩაღ მეწარმეზე/გლეხზე.

რეფორმა:

უნდა ვიცოდეთ, რომ, თუ გვინდა სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება, მაშინ განვითარებასთან ერთად, სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა რიცხვი შემცირდება. შესაბამისად ამ რეფორმას უნდა მოყვეს სხვა რეფორმებიც, იმისათვის, რომ გამოთავისუფლებულმა ხალხმა ნახოს სხვა სამსახური.

- ***სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზება*** *(მათ შორის საჩუქრად გადაცემა მათთვის, ვინც უკვე ამუშავებს არ აქვს მიწის შეძენის საშუალება)* - მიწის სავარგული, რომელსაც არ ექნება ქონების/კერძო საკუთრების სახე, ვერ ჩადებ ბაკში, ვერ გაყიდი ან ვერ მოიხმარ როგორც საკუთრებას, ვერასდროს ვერ გახდება წარმოების ჯაჭვის ეფექტიანი ნაწილი. მიწის პრივატიზება დროთა განმავლობაში გამოიწვევს მიწის ფონდის „ყოჩაღ" ფერმერების ხელში მოხვედრას. არ იქნება საჭირო ხელოვნურად შექმნილი/შეკოწიწებული ფერმერული გაერთიანებების შექმნა სწავლებისა და გადამზადების სახელმწიფო პროგრამების შექმნა და ფერმერების გადამზადება - მიწას დაეპატრონება ის ვინც იცის, რა, რატომ, რისთვის აწარმოოს და როგორ მოახდინოს შექმნილი პროდუქტის რეალიზაცია. მსგავს ფერმერებს წარმოების განვითარებასთან ერთად შემოაქვს შესაბამისი (თანამედროვე წარმატებული სტანდარტების შესაბამისი) ცოდნა მათთან დასაქმებულ/საქმიან კავშირში მყოფ მოსახლეობაში, როლებიც იძენენ თანამედროვე სტანდარტების შესაბამის უნარჩვევებს და ხდებიან კონკურენტუნარიანები ბაზარზე.
- ***გადამამუშავებელი წარმოების განვითარება*** - მაგ. 1. უნდა ავიღოთ გარკვეულ გეოგრაფიულ მდებარეობები/წერტილები ქვეყნის მასშტაბით. 2. დავიწყოთ ინვესტორების მოძიება. ინვესტორს გადავცეთ სარგებლობაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაწილი (მაგალითად 200 ჰექტარი 5 წლის ვადით) იმ პირობით, რომ ის ამ პერიოდში ააშენებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სოფლის მეურეობის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოს. 3. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას საწარმომდე მიიყვანოს ინფრასტრუქტურა - დენი, გაზი, წყალი, გზა. 4. თუ ინვესტორი პირნათლად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას (ააშენებს თანამედროვე საწარმოს), მისთვის სარგებლობაში გადაცემულ მიწას აჩუქებს სახელმწიფო ან მიყიდის ძალიან იაფად (მაგ.

საბაზრო ფასის 20%-ად).

- აუცილებელია სახელწმიფოს აქტიური მუშაობა ინვესტორების მოძიებისათვის და გასაღების ბაზრების დივერსიფიცირებისათვის.
- სასაწყობო და სამაცივრე ხილის შემნახველი ინფრასტრუქტურების შექმნისათვის სტიმულების შექმნა და ინვესტორების მოძიება.
- სასოფლო ინფრასტრუქტურის გამართვა - მათ შორის, სამელიორაციო სისტემის მოწესრიგება, კერძო სექტორის მაქსიმალური ჩართულობით
- სასოფლო სამეურნეო სისტემის მაქსიმალური დერეგულირება.

ჯანდაცვის სისტემის რეფორმა[10]

პრობლემა

- ჯანდაცვის ფიზიკურად ხელმისაწვდომობა შეზღუდულია - ქვეყანაში ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის „თავკომბალებია"; მაგ. ქუთაისი, თბილისი, ბათუმი.
- შესაბამისი, კარგად გამართული ინფრასტრუქტურის მქონე სამედიცინო დაწესებულებების სიმწირე (რეალურად არ გვაქვს საავადმყოფო, შესაბამისი აღჭურვილობა)
- ფაქტიურად არ არსებობს/გაუმართავია პირველადი ჯანდაცვა - ოჯახის ექიმის ინსტიტუტი გაუმართავია (განსაკუთრებით სოფლად არ არსებობს სოფლებში ოჯახის ექიმები)
- დაიგნოსტიკის პრობლემა
- ძვირადღირებული მომსახურება
- უმრავლეს შემთხვევაში, სამედიცინო პერსონალს არ გააჩნია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლება (დაბალი განათლების დონე).

ამოცანა

შეიქმნას ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის ჯანდაცვის სისტემა. საქართველოს ნებისმიერი წერტილიდან პაციენტს მაქსიმუმ ნახევარ საათში უნდა შეეძლოს მაღალი ხარისხის (მათ შორის ჰოსპიტალური) მომსახურების მიღება.

გასატარებელი ღონისძიებები

- განისაზღვროს ადგილები და საჭირო საწოლების რაოდენობა. სადაც აშენდება თანამედროვე სტანდარტების ჰოსპიტალები (ისე რომ პაციენტს საქართველოს ნებისმიერ წერტილში ყოფნისას მაქსიმუმ ნახევარ საათში შეეძლოს ყველა ტიპის სამედიცინო დახმარების მიღება)
- მოძიებულ იქნას ინვესტორები, რომლებიც ამ წერტილებში ააშენებენ თანამედროვე ჰოსპიტალებს. ინტერესი იქნება ერთის მხრივ მის მიერ აშენებული ჰოსპიტალი და მეორეს მხრივ, ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, მისთვის უსასყიდლოდ გადაცემული სამედიცინო დაწესებულება, რომელიც მდებარობს ე.წ. „თავკომბალებში" უსასყიდლოდ გადაცემულ ქონებას/სამედიცინო დაწესებულებას ინვესტორი გამოიყენებს თავისი სურვილისამებრ (უნდა შეუნარჩუნებს პროფილს, უნდა არა) - ეს შესაძლებელს გახდის სახელმწიფო სახსრების დახარჯვის გარეშე (განსაზღვრულ არეალში/წერტილებში) აშენდეს მსოფლიო დონის სამედიცინო დაწესებულებები საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის/ფლანგვის გარეშე.
- შეიქმნას/დაიხვეწოს უბნის/ოჯახის ექიმის ინსტიტუტი. შესაბამისად, ყველა სოფელში (ან შესაძლებელი რამდენიმე სოფელს ერთი ემსახურებოდეს) იქნება ოჯახის ექიმი ყველა პირველადი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი. ლიცენზირებულ ოჯახის ექიმს შეეძლება ბინაზე სტუმრობაც; გამარტივდება და მეტად ხელმისაწვდომი გახდება დანიშნულების გამოწერა (რათა თავიდან იქნეს აცილებული გართულებული პროცესის გამო წამლების ექიმის დანიშნულების გარეშე შეძენის შემთხვევები)
- შეიქმნას ერთიანი „ონლაინ" ბაზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს საავადმყოფო, სასწრაფო და პაციენტი ჩართული იქნან ერთიან „ონლაინ" სისტემაში. ეს შესაძლებელს გახდის განხორციელდეს პაციენტის სავადმყოფოში გადაყვანამდე (არა მარტო გადაყვანამდე, ჩვეულებრივ სიტუაციაშიც) სიტუაციის „ონლაინ" კონტროლი კვალიფიციური ექიმის მიერ.
- შეიქმნას ერთიანი ელექტრონული ბაზა, სადაც დარეგისტრირებული იქნება ყველა ექიმი და ყველა დიაგნოზი, გამოწერილი დანიშნულება თუ ჩატარებული კვლევა განთავსდება ერთიან ელექტრონულ სისტემაში [ექიმთა აღრიცხვა (რეესტრი) ეგრეთ წოდებული რეგისტრაცია. ყველა ექიმს ექნება თავისი უნივერსალური ნომერი (რიგითი ექიმი, სპეციალისტი თუ ა.შ.) რითაც მოხდება ექიმის იდენტიფიცირება]. ეს მაქსიმალურად გამოირიცხავს დავებს - სწორად დანიშნა თუ არასწორად ექიმმა ესა თუ ის მკურნალობა, მინიმუმადე დავა წამლების ექიმების საშუალებით გასაღების შემთხვევები და ა.შ.

10 რეფორმის გეგმის შემუშავებაში დახმარება გაგვიწია ანდრო ბარკალაიამ, რომელსაც მედიცინის სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. 2005 წლიდან იგი როგორც საქართველოს ისე უცხოური ქვეყნების სხვადასხვა კლინიკებში ეწევა/ეწეოდა სამედიცინო საქმიანობას. ბოლო ექვსი წელია იგი მალტის რესპუბლიკაში დავინჩის ჰოსპიტალის ექიმია.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

- ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიება გამოწვევს სამედიცინო მომსახურების გაძვირებას. მაღალი ხარისხის მომსახურება ისედაც ძვირია. ამის კომპენსაციისთვის შემოღებული უნდა იქნას სავალდებულო-საყოველთაო დაზღვევა. ყველა პირი ვალდებული იქნება თავისი სახსრებით დაეზღვიოს. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ადამიანების (ადამიანების ვისაც შემოსავლები არ გააჩნია) დაზღვევის თანხას გადაიხდის სახელმწიფო.
- მოხდეს წამლის შემოტანის/იმპორტის პირობების მაქსიმალური დერეგულირება - თუ წამალი უკვე იყიდება განვითარებული ქვეყნის ბაზარზე, შესაძლებელი უნდა იყოს მისი ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერების/პროცედურების გავლის გარეშე იმპორტი - ადგილწარმოშობისა თუ ამა თუ იმ ქვეყანაში წამლის მედიკამენტების ბაზარზე არსებობის დამდასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.
- შესაძლებელია დარჩეს რამდენიმე მაგალითად ორი ან სამი სახელმწიფო ჰოსპიტალი რომელიც ჩვეულებრივად იქნება ჩართული (როგროც კერძო) პროცესში და საჭიროების შემთხვევაში (კრიზისულ სიტუაციებში) მოემსახურება ადამიანებს უფასოდ (სახელწმიფოს ხარჯზე).

დასკვნა

ამრიგად, წარმოდგენილი ნაშრომით შევეცადეთ დაგვენახებინა/გვეჩვენებინა ქვეყნის განვითარების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი/ფაქტორები. ასევე, წარმოგვედგინა პროგრამა, გეგმა, ძირითადი მიმართულებები, რომელიც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის განვითარების სწორი მიმართულებით სვლას და კრიზების დაძლევას. შევეცადეთ განგვესაზღვრა ძირითადი მიზანი, რომლისკენაც უნდა იქნეს მიმართული ძალისხმევა, რათა მოხდეს განვითარების ტემპის ზრდა და რეალურ შედეგებამდე გასვლა.

დასასრულს გვინდა ვთქვათ, რომ ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ უნივერსალური ფორმულა/განვითარების ხედვა წარმოვადგინეთ. უბრალოდ გადმოვეცით ის ორიენტირები, რეფორმების ჩამონათვალი, ამოცანები რომელთა შესრულება/განხორციელება, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია ქვეყნის სამომავლო განვითარებისა და სწორი სვლისათვის.

REFERENCES

1. Mgeladze Lasha, Public Service Challenges and Ways of Solving Them, “World of Lawyers“ Tbilisi 2018, Book, pp. 256

2. Mgeladze Lasha, National Currency in Georgia, an instrument that impedes or facilitates economic development, Journal The New Economist, 2019, #3-4, pp. 7-20

3. Mgeladze Lasha, The Challenges Georgia Faces in The Fight Against Corruption, Journal Business-Engineering, 2017, #4, pp. 20-25

4. Historical GDP per capita by Country, statistics from the World Bank, https://knoema.com/jesoqmb/historical-gdp-per-capita-by-country-statistics-from-the-world-bank-1960-2018?country=Georgia, Last check 26.12.2021

5. Historical GDP by Country, statistics from the World Bank, https://knoema.com/mhrzolg/historical-gdp-by-country-statistics-from-the-world-bank-1960-2019?country=Georgia, Last check 26.12.2021

6. Veshapidze, S. and Zoidze, G., 2021. Institutional Evolution of Higher Education in Georgia/საქართველოს უმაღლესი განათლების ინსტიტუციური ევოლუცია. The New Economist, 16(2), pp.1-1.

7. Karchava, L. and Kutaladze, E., 2020. Tourism as one of the priority directions in Georgia/ტურიზმი როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საქართველოში. The New Economist, 15(2, 2020), pp.1-1.

8. Lomia, E., 2020. The Evaluation of Russia’s foreign policy towards Georgia following the ‘Rose Revolution’. Journal of Liberty and International affairs, 6(1), pp.112-128.

9. Lomia, E. and Karchava, L., 2021. GEORGIAN ETHNOPOLITICAL CONFLICT AS A SUBJECT OF CONFRONTATION BETWEEN THE USA AND RUSSIA. Journal of Liberty and International Affairs, 7(2), pp.90-102.

10. Pavliashvili, S., 2011. THE WORLD ECONOMIC CRISIS AND GEORGIA. The Caucasus & Globalization, 5(3-4), pp.54-62.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

PERSPECTIVES OF THE DEVELOPMENT OF LIFE INSURANCE IN GEORGIA

Nato Kakakshvili,
Assistant Professor at TSU, Faculty of Economics and Business
Email: Nato.kakashvili@tsu.ge
Tel: 599502696

Khatuna Barbakadze,
Associate Professor at TSU, Faculty of Economics and Business
Email: khatuna.barbakadze@tsu.ge
Tel: 593944409

DOI suffix: 10.36962/NEC62-6303-04202133

ABSTRACT

Problems in the life insurance market must be taken into account by insurance companies, however, the public must also be aware of the benefits that life insurance can bring to them. By using this insurance, people are able to take care of their family financial stability in the event of an unforeseen event.

The aim of the paper is to promote the development of the life insurance market, improve the insurance culture and system, as well as increase public confidence in life insurance, conduct a study of the life insurance market and study the state of its development in Georgia.

Systematic and logical generalization, analysis and synthesis methods of research were used to address this issue.

Conclusion. Among the factors hindering the development of the insurance market, we can single out: Lack of information; Mentality; Economic situation of the population. At the same time it is necessary to develop the investment market, which will give incentives to people to invest in life insurance. In the field of pension and life insurance to develop and introduce new products that will be maximally adapted to different segments of the population. It is very important to popularize life insurance. Improve the control mechanism and control the objectivity and fairness of the contracts concluded in the life insurance service, monitor the extent to which the parties to the contract fulfill their obligations.

It is necessary for insurance companies to adapt their products to different social strata as much as possible and to take into account their capabilities. To develop individual approaches to each customer.

Raise public awareness, raise their qualifications and introduce innovative approaches.

Keywords: *life insurance, pension insurance, term, perpetual and mixed life insurance.*

სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ნატო კაკაშვილი
თსუ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი,
Email: nato.kakashvili@tsu.ge
ტელ: 599502696,

ხათუნა ბარბაქაძე
თსუ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
Email: khatuna.barbakadze@tsu.ge
ტელ: 593944409

ანოტაცია

სიცოცხლის დაზღვევის ბაზარზე არსებული პრობლემები აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ სადაზღვევო კომპანიებმა, თუმცა, საზოგადოებამაც უნდა გააცნობიეროს ის სარგებელი, რაც სიცოცხლის დაზღვევამ შეიძლება მოუტანოს მათ. აღნიშნული დაზღვევის გამოყენებით, ადამიანებს საშუალება აქვთ იზრუნონ მათი ოჯახის ფინანსურ სტაბილურობაზე გაუთვალისწინებელი მოვლენის მოხდენის შემთხვევაში.

აღნიშნული თემის მიზანია ხელი შეუწყოს სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარებას, გაუმჯობესდეს სადაზღვევო კულტურა და სისტემა, ასევე გაიზარდოს მოსახლეობის ნდობა სიცოცხლის დაზღვევის

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მიმართ, განხორციელდეს სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის კვლევა და მისი განვითარების მდგომარეობის შესწავლა საქართველოში. აღნიშნული საკითხის დამუშავებისას გამოყენებულ იქნა კვლევის სისტემური და ლოგიკური განზოგადების, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

დასკვნა. სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების ხელშემშლელ ფაქტორებიდან, შეიძლება გამოვყოთ: ინფორმაციის ნაკლებობა; მენტალიტეტი; მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა.ამასთანავე აუცილებელია განვითარდეს საინვესტიციო ბაზარი,რაც სტიმულს მისცემს ადამიანებს განახორციელონ ინვესტიციები სიცოცხლის დაზღვევის მიმართულებით. საპენსიო და სიცოცხლის დაზღვევის სფეროში შემუშავდეს და დაინერგოს ახალი პროდუქტები, რომლებიც მაქსიმალურად იქნება მორგებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე. მეტად მნიშვნელოვანია სიცოცხლის დაზღვევის პოპულარიზაცია. გაუმჯობესდეს კონტროლის მექანიზმი და გაკონტროლდეს სიცოცხლის დაზღვევის მომსახურებაში დადებული ხელშეკრულებების ობიექტურობა და სამართლიანობა, მოხდეს მონიტორინგი თუ რამდენად ასრულებენ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

საჭიროა სადაზღვევო კომპანიებმა საკუთარი პროდუქტები მაქსიმალურად მოარგონ სხვადასხვა სოციალურ ფენას და გაითვალისწინონ მათი შესაძლებლობები. თითოეული მომხმარებლის მიმართ შეიმუშაონ ინდივიდუალური მიდგომები, კერძოდ: გააუმჯობესონ მომსახურეობის ხარისხი, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ამაღლდეს მათი კვალიფიკაციის დონე და დანერგონ ინოვაციური მიდგომები.

საკვანძო სიტყვები: *სიცოცხლის დაზღვევა, საპენსიო დაზღვევა, ვადიანი, უვადო და შერეული სიცოცხლის დაზღვევა.*

შესავალი

სიცოცხლის დაზღვევას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ადამიანების კეთილდღეობის შენარჩუნებაში და უზრუნველყოს მათი დაცვა გაუთვალისწინებელი რისკებისაგან. სიცოცხლის დაზღვევით ადამიანებს საშუალება ეძლევათ თავი დაიზღვიონ გაუთვალისწინებელი შემთხვევის შედეგად საკუთარი ან მათი ახლობლის გარდაცვალების შემთხვევაში შემოსავლების მოულოდნელი დაკარგვისაგან. მაგალითად, კომპანიის წამყვანი თანამშრომლის, ან ოჯახის მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში, სიცოცხლის დაზღვევის არსებობის პირობებში, შესაძლებელია გარკვეული ანაზღაურების მიღება, რასაც შეუძლია მდგომარეობის ნაწილობრივ შემსუბუქება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოსახლეობამ კარგად გაანალიზოს ის სარგებელი, რაც სიცოცხლის დაზღვევის არსებობამ შეიძლება მოუტანოს. ამასთანავე სადაზღვევო კომპანიებმა უნდა იზრუნონ ადამიანებისათვის ხარისხიანი მომსახურების შეთავაზებაზე.

ძირითადი ნაწილი.

პირადი დაზღვევის ერთ-ერთი გამორჩეული სახეა სიცოცხლის დაზღვევა. სიცოცხლის დაზღვევის დროს სადაზღვევო შემთხვევას დაზღვეულის გარდაცვალება ან გარკვეული ასაკის მიღწევა წარმოადგენს.

სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარებას შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაზე.ქვეყანაში ინვესტიციების განსახორციელებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას სიცოცხლის დაზღვევის პოლისების შედეგად მობილიზებული დანაზოგები. სიცოცხლის დაზღვევის პოლისს გააჩნია გრძელვადიანი ხასიათი,მისი გამოყენების შედეგად მიღებული სახსრები,სახელმწიფოს მხრიდან მოხმარდება კაპიტალური ხარჯების ზრდას და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დაფინანსებას. სიცოცხლის დაზღვევის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კაპიტალის ბაზრის განვითარებას, რადგან განუვითარებელი კაპიტალის ბაზარი სერიოზულ პრობლემებს უქმნის სიცოცხლის დაზღვევის გრძელვადიანი სქემის ჩამოყალიბებას.

სიცოცხლის დაზღვევის არსებობის პირობებში, დაზღვეულის გარდაცვალების, ან გარკვეული ასაკის მიღწევის შემთხვევაში, მზღვეველი სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ ახორციელებს იმ თანხის გადახდას, რაც სადაზღვევო პოლისშია მითითებული. ეს თანხა შეიძლება მიიღოს დამზღვევმა ან სხვა პირმა. იმ შემთხვევაში,თუ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება სხვა პირის მიმართ ხორციელდება, მაშინ აუცილებელია ამ პიროვნების ან მისი კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი დასტური [4. მუხლი 844].

სიცოცხლის დაზღვევისას, დაზღვეული პირის სიცოცხლე წარმოადგენს დაზღვევის საგანს, ხო-

ლო მისი ქონებრივი ინტერესი არის დაზღვევის ობიექტი, რომელიც უკავშირდება დაზღვეულის სიცოცხლეს.ამდენად, სიცოცხლის დაზღვევის პოლისი ეფუძნება კერძო პირის სიცოცხლეს და თანხის ანაზღაურება ხდება ამ პირის გარდაცვალების შემთხვევაში. სიცოცხლის დაზღვევაში გავრცელებული სახეობებია - ვადიანი; უვადო და სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევა; შემოსავლების დაცვის სქემა.

ვადიანი სიცოცხლის დაზღვევის პირობებში, დაზღვევა მოქმედებს მხოლოდ იმ პერიოდის განმავლობაში, რაც ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. ქართული სადაზღვევო კომპანიები ვადიანი სიცოცხლის დაზღვევისას ანაზღაურებენ: უბედური შემთხვევით გამოწვეულ გარდაცვალებას და დაზღვეულის გარდაცვალებას ბუნებრივი მიზეზით.

სიცოცხლის უვადო დაზღვევის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების მიღება არ არის დამოკიდებული დაზღვეულის გარდაცვალების დროზე. დაზღვევის ეს მიმართულება ძირითადად განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, რომელთაც გაჩნიათ შესაძლებლობა და სურვილი დაიცვან საკუთარი ოჯახი მათი გარდაცვალებით გამოწვეული ეკონომიკური ზარალისაგან [9. მუხლი 3]. ამ სახის დაზღვევას არ გააჩნია რაიმე ვადა და მიუხედავად იმისა როდის გარდაიცვლება დაზღვეული, სადაზღვეო კომპანია ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს ოჯახს თანხა. აუცილებელია სადაზღვევო კომპანიებს,რომლებიც მიმართავენ დაზღვევის ამ სახეობას,გააჩნდეთ საზოგადოების მაღალი ნდობა,რადგან იგი წარმოადგენს გრძელვადიან ინვესტიციას. უვადო სიცოცხლის დაზღვევა, საქართველოში ჯერ-ჯერობით არ გვხვდება.

სიცოცხლის დაზღვევის კიდევ ერთ კიდევ ერთ სახეს წარმოადგენს სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევა.აღნიშნული პოლისი იცავს მსესხებლის ოჯახს ფინანსური ვალდებულებებისაგან, სესხის ვადის ამოწურვამდე, მისი მოულოდნელი გარდაცვალების შემთხვევაში. საქართველოში, სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევის ვადა დამოკიდებულია იმ ხელშეკრულებაზე, რაც იდება დამზღვევსა და მზღვეველს შორის. სიცოცხლის დაზღვევის აღნიშნული სახეობა საქართველოში ყველაზე მეტად არის გავრცელებული და მას თითქმის ყველა საკრედიტო ორგანიზაცია იყენებს.

სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევას აქტიურად იყენებს „თიბისი ბანკი“,თავის მხრივ მზღვეველს წარმოადგენს „ჯი პი აი ჰოლდინგი“. დაზღვევის პირობების მიხედვით, თუ დაზღვეული არის 18-დან 55 წლამდე ასაკის პიროვნება და სესხის ჯამური სიდიდე არის ასი ათას აშშ დოლარზე ნაკლები, ან ტოლი დაზღვევა ავტომატურად ხორციელდება, ხოლო თუ სესხების ჯამური მოცულობა აღემატება ასი ათას დოლარს, ამ შემთხვევაში ივსება დაზღვეულის ჯანმრთელობის განაცხადი. მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის სავალდებულო პერიოდი განისაზღვრება 6 თვის ვადით [8].

სიცოცხლის დაზღვევაში ასევე გვხვდება შერეული დაზღვევაც, რომელიც შემდეგ სახეებს მოიცავს: გარკვეულ ასაკამდე მიღწევის დაზღვევა, გარდაცვალების დაზღვევა, უბედური შემთხვევის შედეგად გამოწვეული გარდაცვალების დაზღვევა. სიცოცხლის დაზღვევის შერეული პაკეტის დროს დამზღვევი ახორციელებს საკუთარი თავის დაზღვევას, მაგრამ ამავე დროს უთითებს სადაღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში ვინ მიიღებს თანხას. რაც შეეხება დაბრუნებადი სიცოცხლის დაზღვევას, სადაზღვევო შემთხვევის წარმოქმნის პირობებში, დაზღვეულს, ან მის კანონიერ მემკვიდრეებს უბრუნდებათ გაზრდილი შენატანი სადაზღვევო კომპანიის მხრიდან. გარდაცვალების შემთხვევაში ეს თანხა შეადგენს მთლიანი შენატანების 300%-ს. I ან II ჯგუფის ინვალიდობის წარმოშობის დროს, თანხა განისაზღვრება როგორც საერთო შენატანების მოცულობის 200%, ხოლო III ჯგუფის ინვალიდობის შემთხვევაში შენატანების მთლიანი ოდენობის 150%, მაგრამ თუ სადაზღვევო შემთხვევას ადგილი ჰქონდა საწყის 6 თვეში, მაშინ დამზღვევი იღებს საერთო შენატანების მხოლოდ 100%-ს.

სიცოცხლის დაზღვევის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ასევე შემოსავლების დაცვის სქემა. დაზღვევის ეს სახეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის ვისაც გააჩნიათ მაღალი შემოსავლები და არსებობს რაიმე რისკი,აღნიშნული შემოსავლების დაკარგვის, გაუთვალისწინებელი შემთხვევის შედეგად. თუ ადგილი ექნება სადაზღვევო შემთხვევას, დაზღვეული იღებს გარკვეულ თანხას. სიცოცხლის დაზღვევის ეს მიმართულება საქართველოში არ გვხვდება.

სიცოცხლის დაზღვევის სახეებთან ერთად მნიშვნელოვანია განვიხილოთ **საპენსიო დაზღვევა,** რომლის საშუალებითაც პენსიაზე გასვლის შემდეგ შესაძლებელია უზრუნველოფილი იქნას დაზღვეულისათვის აუცილებელი სახსრები, შრომისუნარიანობის პერიოდში დაგროვებული შემოსავლებით. ამ დროს სადაზღვევო შემთხვევას

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

წარმოადგენს არა დაზღვეულის გარდაცვალება, არამედ მისი ცოცხლად დარჩენა პენსიაზე გასვლის მომენტისათვის.

კერძო საპენსიო დაზღვევა საქართველოში რეგულირდება საქართველოს კანონით „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ". კერძო საპენსიო დაზღვევის გამოყენების შემთხვევაში, საჭიროა ხელშეკრულების გაფორმება საპენსიო სქემის დამფუძნებელსა და მეანაბრეს შორის,რომლის საფუძველზეც თითოეულ მათგანს ენიჭება გარკვეული ვალდებულებები, რაც გულისხმობს იმას, რომ მეანაბრეს აქვს ვალდებულება საპენსიო შენატანების განხორციელების, ხოლო საპენსიო სქემის დამფუძნებელი ვალდებულია უზრუნველყოს მეანაბრე არასახელმწიფო პენსიით [5. მუხლი 4]. საპენსიო დაზღვევის განვითარებაში მნიშვნელოვანია 2019 წლის 1 იანვრიდან, ამოქმედებული კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ", რომლის მიხედვით, საპენსიო სქემაში გაწევრიანება სავალდებულოა ყველა იმ დასაქმებულისათვის, რომელიც შემოსავლებს ხელფასის სახით იღებს. აღნიშნული ვალდებულება არ ეხება დასაქმებულებს, რომელთაც კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდათ 60 წელი (მამაკაცების შემთხვევაში), ხოლო 55 წელი (ქალების შემთხვევაში). დაგროვებითი საპენსიო სქემის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულის საპენსიო ანგარიშზე დარიცხული ხელფასის 2% გადარიცხოს, 2% ირიცხება თავად დასაქმებულის ანგარიშიდან, ხოლო 2%-ს სახელმწიფო რიცხავს,თუ წლიური შემოსავლების სიდიდე არ გადააჭარბებს 24 000 ლარს. თუ დასაქმებულის წლიური შემოსავლების ოდენობა გადაცდება 24 000 ლარს, დასაქმებულის საპენსიო ანგარიშზე სახელმწიფოს მხრიდან ირიცხება მისი ხელფასის 1%, ხოლო თუ დარიცხული ხელფასის წლიური სიდიდე, 60 000 ლარს გადაცდება, სახელმწიფო წყვეტს დასაქმებულის საპენსიო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვას [6]. საპენსიო ანგარიშზე არსებული თანხა დაცულია კანონით, წარმოადგენს ხელშეუხებელ საკუთრებას და არ ექვემდებარება ყადაღას, ინკასოს, ან რომელიმე აღსრულების სხვა საშუალებას. საპენსიო ასაკის მიღწევამდე, დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში, საპენსიო ანგარიშზე არსებული თანხა მემკვიდრეობით გადაიცემა.

დაგროვებითი საპენსიო სქემის საშუალებით შესაძლებელია კაპიტალის საინვესტიციო ბაზის ჩამოყალიბება და ქართული კაპიტალის ბაზრის განვითარება. საპენსიო აქტივების მოცულობამ, 2021 წლის მაისის მდგომარეობით შეადგინა 1,420 მილიარდი ლარი, საიდანაც დარიცხული სარგებელი იყო 148.8 მილიონი ლარი. საპენსიო აქტივები ქართულ კომერციულ ბანკებშია განთავსებული და 11% წლიური ეფექტური სარგებელი ერიცხება. აქტივების 38% განთავსებულია სარგებლიან მიმდინარე ანგარიშებზე,ხოლო 62% სადეპოზიტო სერთიფიკატებში.საპენსიო აქტივები ინვესტირებულია ლარში. ამ დროისათვის უკვე 800-მდე ადამიანმა ისარგებლა დაგროვებითი პენსიით. ყოველთვიურად დაახლოებით 11 000 ადამიანი უერთდება სქემას და მათი რაოდენობა თანდათან იზრდება. კარგად განვითარებული დაგროვებითი საპენსიო სისტემა ნიშნავს მოსახლეობის დაზოგვისადმი მიდრეკილების ზრდას, უმუშევრობის დონის შემცირებას და პენსიონერებისათვის ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნას.

სიცოცხლის დაზღვევის პოლისი შეიძლება იყოს როგორც კორპორატიული, ასევე საცალო და სახელმწიფო. საქართველოში ინდივიდუალური პირების დაზღვევა ძირითადად იურიდიული პირების შუამავლობით ხორციელდება, რადგან კორპორატიული რისკის დონე შედარებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ცალკეული პიროვნებების დაზღვევასთან დაკავშირებული რისკები.

2020 წელს სიცოცხლის დაზღვევის სფეროში მოზიდულმა საერთო სადაზღვევო პრემიამ შეადგინა 50,42 მილიონი ლარი, ხოლო 2019 წელს 45,7 მილიონი ლარი. სიცოცხლის დაზღვევის მიმართულებით შეინიშნება მოზიდული სადაზღვევო პრემიის დაახლოებით 10%-იანი ზრდა. აღნიშნულ პერიოდში ბაზრის წილი სადაზღვევო კომპანიების მიხედვით შემდეგნაირად იყო განაწილებული:

- თიბისი დაზღვევა -5 1%;
- ალდაგი - 28%;
- ჯიპიაი - 8%;
- იმედი L - 7%;
- არდი - 2%;
- სხვა სადაზღვევო კომპანიები - 4% [7].

რაც შეეხება სიცოცხლის დაზღვევის სფეროში მოზიდული პრემიის წილს მთლიან სადაზღვევო პრემიაში,2020 წლის განმავლობაში ამ მაჩვენებელმა 7,56% შეადგინა. სადაზღვევო კომპანიების ბრუტო მოგებამ, სიცოცხლის დაზღვევის სფეროში, 2020 წლის განმავლობაში შეადგინა 31,66 მლნ ლარი,ხოლო ნეტო მოგება იყო 29,65 მლნ ლარი.

ქართულ სადაზღვევო ბაზარზე იმ კომპანიებისათვის, რომლებიც მომხმარებელს სთავაზობენ სიცოცხლის დაზღვევის მომსახურებას, მოქმე-

დებს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა, რაც გულისხმობს იმას,რომ თუ სადაზღვევო კომპანიას სურს მომხმარებელს შესთავაზოს სიცოცხლის დაზღვევის მომსახურება, აუცილებელია გააჩნდეს საწესდებო კაპიტალის სავალდებულო მინიმალური სიდიდე, რომელიც შემდეგნაირად იცვლებოდა წლების მიხედვით:

- 2 200 000 ლარი - 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;
- 4 200 000 ლარი - 2019 წლის 1 იანვრიდან;
- 7 200 000 ლარი -2 022 წლის 1 იანვრიდან.

აღნიშნული მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნებში შეადგენს 3 200 000 ევროს.

აღსანიშნავია, რომ მინიმალური კაპიტალის მოთხოვნაში ცვლილებები ძალაში უნდა შესულიყო 2021 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მძიმე პანდემიური მდგომარეობის გამო ვალდებულება ერთი წლით გადავადდა.

ერთ-ერთი მსხვილი სადაზღვევო კომპანია, რომელიც გამოირჩევა სიცოცხლის დაზღვევის მიმართულებით მოზიდული სადაზღვევო პრემიის სიდიდით, არის „სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი". მის მიერ განხორციელებულ სიცოცხლის დაზღვევის მომსახურებაში ძირითადი ნაწილი უკავია სიცოცხლის დაზღვევის საცალო პაკეტს,კორპორატიული პოლისები ამ კომპანიაში საკმაოდ მცირე წილს იკავებს. სიცოცხლის დაზღვევის კორპორატიული პაკეტი, ძირითადად გვხვდება კომბინირებულად უბედური შემთხვევისაგან დაზღვევასთან ერთად. ქართულ სადაზღვევო ბაზარზე მომხმარებელს სიცოცხლის დაზღვევის საცალო და კორპორატიულ მომსახურებას სთავაზობს ასევე სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი". მან პირველმა შესთავაზა მომხმარებელს სიცოცხლის ონლაინ დაზღვევის მომსახურება. სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"-ის მიერ განხორციელებულ სიცოცხლის დაზღვევის მომსახურებაში ჭარბობს კორპორატიული პოლისები,რომელსაც იყენებენ კომპანიები საკუთარი თანამშრომლების მიმართ და გულისხმობს იმას,რ ომ თუ დამზღვევი კომპანიის თანამშრომელი ბუნებრივი მიზეზით ან უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვლება, მისი სამართალმემკვიდრეები მიიღებენ გარკვეული ოდენობის სადაზღვევო ანაზღაურებას, რაც ხელშეკრულებით იქნება განსაზღვრული. „ჯიპიაი ჰოლდინგი" მიმართავს ასევე სიცოცხლის დაზღვევის კერძო და სახელმწიფო პოლისებსაც.

ქართულ სადაზღვევო ბაზარზე სიცოცხლის დაზღვევაში მოზიდული სადაზღვევო პრემიის სიდიდისა და გაფორმებული პოლისების რაოდენობის მიხედვით 2020 წელს ლიდერობდა თიბისი დაზღვევა, რადგან აღნიშნული კომპანია ახორციელებს თიბისი ბანკის მსესხებლების სესხზე მიბმულ სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევას, რაც სავალდებულო ხასიათს ატარებს.თიბისი დაზღვევაში, სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევის მაქსიმალური თანხა, შეადგენს 500 000 აშშ დოლარს, რაც იმას გულისხმობს,რომ მზღვეველი არ აანაზღაურებს ამ სიდიდეზე მეტ თანხას, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი იყო დარჩენილი მსესხებლის საკრედიტო ვალდებულებები სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის.

თიბისი დაზღვევამ 2019 წლიდან, პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, მოსახლეობას შესთავაზა სპეციალური დაზღვევის პაკეტი, კერძოდ - „COVID-19-ის გართულებებისაგან დაზღვევა", რომელსაც შეუძლია დაზღვეულის ან მისი ოჯახის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა, თუ მას აღნიშნული ვირუსი მძიმე ფორმებში განუვითარდა. თუ პიროვნებას სურს მიიღოს დაზღვევის აღნიშნული პოლისი, მან ერთჯერადად უნდა გადაიხადოს 19 ლარი.

დაზღვეულს აქვს ვალდებულება, რომ ხელშეკრულების გაფორმებამდე ხელი მოაწეროს სპეციალურ დოკუმენტზე, რაც ადასტურებს იმას, რომ დაზღვევის გაფორმების მომენტისათვის მას არ ჰქონდა „COVID19", ან არ ელოდებოდა ჩატარებულ ტესტზე პასუხს. ამასთანავე აუცილებელია, რომ დაზღვეულს არ ჰქონდეს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები. დაზღვევით სარგებლობა შეუძლიათ 18-დან 65 წლამდე ასაკის პირებს,რომელთათვისაც მოქმედებს 20 დღიანი მოცდის პერიოდი,რაც იმას გულისხმობს, რომ თუ სადაზღვევო შემთხვევას ადგილი ექნება ხელშეკრულების გაფორმებიდან ოცი კალენდარული დღის ვადაში,სადაზღვევო ანაზღაურება მზღვეველის მიერ არ იქნება გაცემული.

რაც შეეხება სადაზღვევო ანაზღაურებას,მის გაცემაზე მოქმედებს შემდეგი პრინციპი:მოსარგებლე მიიღებს 10 000 ლარს,თუ ვირუსის გართულების გამო საჭირო გახდა დაზღვეულის ჰოსპიტალური მომსახურება, ხოლო თუ იგი გარდაიცვლება, „COVID 19"-ის გამო, მისი ოჯახი მიიღებს სადაზღვევო ანაზღაურებას 50 000 ლარის ოდენობით.

სადაზღვევო კომპანია იმედი L-ში ფაქტობრივად თანაბრად არის წარმოდგენილი სიცოცხლის დაზღვევის კერძო, კორპორატიული და სახელმწიფო პოლისები. იმედი L სთავაზობს მომხმარებელს

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

სიცოცხლის დაზღვევის ვადიან პოლისს თვეში 12 ლარად, ამასთანავე დაზღვეულს ამ პოლისით სარგებლობის შემთხვევაში სხვა დამატებითი მომსახურების მიღებაც შეუძლია. უბედური შემთხვევით გამოწვეულ გარდაცვალებაზე მზღვეველი მოსარგებლეზე გასცემს 5000 ლარს.

ხშირ შემთხვევაში განვითარებულ ქვეყნებში სიცოცხლის დაზღვევის სფეროში მოზიდული სადაზღვევო პრემიები შეადგენს მთლიანი სადაზღვევო პრემიების დაახლოებით ნახევარს და მეტს, მაშინ როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოში 2020 წელს შეადგენდა მხოლოდ 7,56%-ს, რაც იმითაც არის განპირობებული, რომ ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ სიცოცხლის ვადიანი და საკრედიტო დაზღვევა მოქმედებს. მსოფლიოში სიცოცხლის დაზღვევის მიმართულებით მოზიდული პრემიები შეადგენდა მთლიანი სადაზღვევო პრემიების თითქმის ნახევარს.

მსოფლიო სადაზღვევო ბაზარზე სიცოცხლის დაზღვევის მიმართულებით მოზიდული სადაზღვევო პრემიების მიხედვით ქვეყნების ათეული 2020 წლის განმავლობაში შემდეგნაირად გამოიყურებოდა (იხ. ცხრილი N1) [20]:

როგორც ცხრილიN1-დან ჩანს სიცოცხლის დაზღვევაში მოზიდული პრემიების მიხედვით ლიდერობდა აშშ, ჩინეთი და იაპონია,ხოლო ყველაზე მაღალი პროცენტული წილი გააჩნდა ტაივანს, იაპონიას და იტალიას.

დღეისათვის მსოფლიოში სიცოცხლის დაზღვევას უკავია ყველაზე მაღალი პროცენტული წილი დაზღვევის სხვა სახეებთან შედარებით. პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე პოპულარული ხდება სიცოცხლის ონლაინ დაზღვევა.უპირატესობა არის ის, რომ განაცხადი შეიძლება შეივსოს ინტერნეტით და არ გახდეს საჭირო მრავალგვერდიანი ფორმის შევსება და ადგილზე მისვლა.

მსოფლიოს მასშტაბით სიცოცხლის ონლაინ დაზღვევის გამორჩეული კომპანია: სადაზღვევო კომპანია Bestoy-არის ერთ-ერთი გამორჩეული კომპანია, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს სიცოცხლის ონლაინ დაზღვევის მომსახურებას. მომხმარებლებს შეუძლიათ გააფორმონ 10, 15, 20, 25 ან 30 წლიანი სადაზღვევო ხელშეკრულება. მაქსიმალური სადაზღვევო ანაზღაურება შეადგენს 1,500,000 აშშ დოლარს. მინიმალური სადაზღვევო პრემია იწყება 16 დოლარიდან თვეში.

სადაზღვევო კომპანია Ethos-მომხმარებლებს სთავაზობს სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებას 10-დან 30 წლამდე.ეს კომპანია იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც დანერგა სიცოცხლის ონლაინ დაზღვევის მომსახურება და არ ითხოვდა პოლისის გაფორმებამდე დაზღვეულის სამედიცინო შემოწმებას.ყოველგვარი სამედიცინო შემოწმების გარეშე ადამიანებს შეუძლიათ დააზღვიონ საკუთარი სიცოცხლე 1,000,000 აშშ დოლარად, ხოლო თუ ისინი გაივლიან სამედიცინო შემოწმებას,მაშინ სადაზღვევო ანაზღაურების ღირებულება შეიძლება უფრო გაიზარდოს.

სიცოცხლის ონლაინ დაზღვევის კომპანია Fabric-ი 25-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობის დაზღვევას მიმართავს.მინიმალური სადაზღვევო პრემია შეადგენს თვიურად 6 აშშ დოლარს, ხოლო

ცხრილიN1

მსოფლიოს 10 წამყვანი ქვეყანა მოზიდული სადაზღვევო პრემიების მიხედვით (მლნ $)

	ქვეყანა	სიცოცხლის დაზღვევაში მოზიდული პრემია	არასიცოცხლის დაზღვევაში მოზიდული პრემია	სიცოცხლის დაზღვევაში მოზიდული პრემიის პროცენტული წილი მთლიან დაზღვევაში
1	აშშ	628,522	1,831,601	26%
2	ჩინეთი	329,432	287,967	53%
3	იაპონია	341,328	118,019	74%
4	დიდი ბრიტანეთი	264,221	102,022	72%
5	საფრანგეთი	167,588	94,694	64%
6	გერმანია	101,550	142,301	42%
7	სამხრეთ კორეა	94,483	80,037	54%
8	იტალია	124,133	43,705	74%
9	კანადა	53,317	79,840	40%
10	ტაივანი	97,423	20,401	83%

სადაზღვევო ანაზღაურება მერყეობს 100 000-დან 5 000 000 აშშ დოლარამდე.

Haven Life-მომხმარებლებს, რომელთა ასაკი არ აღემატება 59 წელს, სთავაზობს სიცოცხლის დაზღვევის მომსახურებას, სადაც სადაზღვევო ანაზღაურება შეიძლება იყოს 3 000 000 აშშ დოლარი. თუ დაზღვეულის ასაკი არის 60-დან 64 წლის ჩათვლით, მაშინ მაქსიმალური ანაზღაურება განისაზღვრება 1 000 000 დოლარით.

Ladder-არის სიცოცხლის ონლაინ დაზღვევის მიმართულებით მომუშავე ერთ-ერთი უახლესი კომპანია, რომელიც აზღვევს 20-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობას. სადაზღვევო ანაზღაურება მერყეობს 100 000-დან 8 000 000 აშშ დოლარამდე,რაც წარმოადგენს სიცოცხლის ონლაინ დაზღვევის სფეროში ერთ-ერთ უმაღლეს მაჩვენებელს [21].

იმისათვის, რომ სიცოცხლის დაზღვევის პოლისი ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის, აუცილებელია დამზღვევისათვის ნაკლებად საგრძნობი იყოს მისი ფასი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საკმაოდ დიდი როლი ეკისრება სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების გაძლიერებას სადაზღვევო სფეროში. სიცოცხლის დაზღვევის ღირებულების განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სადაზღვევო კომპანიებს შორის ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფას, რაც შექმნის უკეთეს მომსახურების პირობებს და კიდევ უფრო ხელსაყრელს გახდის მომხმარებლისათვის დაზღვევის ამ სახეობის გამოყენებას.

დასკვნა

სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების ხელშემშლელ ფაქტორებიდან, შეიძლება გამოვყოთ:

- ინფორმაციის ნაკლებობა - საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი არ არის ინფორმირებული დაზღვევის და კონკრეტულად სიცოცხლის დაზღვევის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია,რომ მეტი ინფორმაცია მიეწოდოს საზოგადოებას სიცოცხლის დაზღვევასთან დაკავშირებით,რაშიც დიდი როლი ეკისრება როგორც სადაზღვევო კომპანიებს,ასევე სახელმწიფოსაც;
- მენტალიტეტი - მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი არ ენდობა სადაზღვევო კომპანიებს. ხშირად ისინი თავს იკავებენ განახორციელონ გრძელვადიანი ინვესტიციები სიცოცხლის დაზღვევის სფეროში .ამასთანავე საქართველოში დაზღვევის კულტურა არ არის კარგად განვითარებული,რაც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს სიცოცხლის დაზღვევისგანვითარებაზე;
- მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა - სიცოცხლის დაზღვევას უმეტესად მიმართავს მოსახლეობის საშუალო და მდიდარი ფენა,რომლებიც ცდილობენ, რომ შემოსავლების გარკვეული ნაწილი მემკვიდრეებს შემოუნახონ, ან განახორციელონ შემოსავლების ინვესტირება მომავალში დამატებითი სახსრების მიღების მიზნით.საქართველოში მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია იმის მატერიალური შესაძლებლობა, რომ განახორციელოს ინვესტირება სიცოცხლის დაზღვევაში,რაც ხელს უშლის დაზღვევის ამ მიმართულების განვითარებას. საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს სიცოცხლის დაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა. ამასთანავე საჭიროა განვითარდეს საინვესტიციო ბაზარი,რაც სტიმულს მისცემს ადამიანებს განახორციელონ ინვესტიციები სიცოცხლის დაზღვევის მიმართულებით. აუცილებელია საპენსიო და სიცოცხლის დაზღვევის სფეროში შემუშავდეს და დაინერგოს ახალი პროდუქტები, რომლებიც მაქსიმალურად იქნება მორგებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე. ასევე მნიშვნელოვანია სიცოცხლის დაზღვევის პოპულარიზაცია.საჭიროა გაუმჯობესდეს კონტროლის მექანიზმი და ჩამოყალიბდეს შესაბამისი ორგანო,რომელიც გააკონტროლებს სიცოცხლის დაზღვევის მომსახურებაში დადებული ხელშეკრულებების ობიექტურობას და სამართლიანობას, ასევე დააკვირდება რამდენად ასრულებენ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

ქართულ სადაზღვევო ბაზარზე სადაზღვევო კომპანიების მხოლოდ გარკვეული ნაწილი სთავაზობს მომხმარებლებს ინდივიდუალურ მომსახურებას. საქართველოში ინდივიდულური პირები ძირითადად ეზღვევიან იურიდიული პირების შუამავლობით, რაც იმით არის გამოწვეული,რომ კორპორატიული რისკი შედარებით უფრო ნაკლებია სადაზღვევო კომპანიებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვთვლით, რომ საქართველოში სიცოცხლის დაზღვევის ბაზარი განვითარების საკმაოდ მნიშვნელოვან და ამავე დროს რთულ საფეხურზეა. ამასთან, დაკავშირებით ვთვლით, რომ სადაზღვევო კომპანიებმა საკუთარი პროდუქტები მაქსიმალურად მოარგონ სხვადასხვა სოციალურ ფენას და გაითვალისწინონ მათი შესაძლებლობები.თითოეული მომხმარებლის

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მიმართ შეიმუშაონ ინდივიდუალური მიდგომები. კერძოდ: გააუმჯობესონ მომსახურეობის ხარისხი, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ამაღლდეს მათი კვალიფიკაციის დონე და დანერგონ ინოვაციური მიდგომები. ამასთანავე სადაზღვევო კომპანიებმა მომხმარებლებს უნდა შესთავაზონ სიცოცხლის დაზღვევის უკეთესი პირობები,რათა გაიზარდოს საზოგადოების დაინტერესება დაზღვევის ამ სახეობის მიმართ.

სახელმწიფომ კი მაქსიმალურად უზრუნველყოს სადაზღვევო კომპანიებს შორის ჯანსაღი კონკურენცია და შეუქმნას მათ ისეთი პირობები და გარემო, რაც საშუალებას მისცემთ წარმატებით და ეფექტიანად განახორციელონ საკუთარი საქმიანობა. სიცოცხლის გრძელვადიანი დაზღვევის განხორცილებისათვის საჭიროა სადაზღვევო კომპანიების გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობა, რაშიც დიდი როლი ეკისრება სახელმწიფოს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა.

REFERENCES:

1. Shatirishvili J. Kakashvili N. Insured event Tb.2012;
2. Tsertsvadze A. Khantadze G. Vekua d. Insured event Tb.2016;
3. Verulava T. Fundamentals of insurance Tb. 2018;
4. Civil Code of Georgia (26.06.1997);
5. Law of Georgia “On Non-State Pension Insurance” (30.10.1998);
6. Law of Georgia “On funded pension” (06.08.2018);
7. State Insurance Supervision Service of Georgia, statistical data, 2020–2021.
8. Terms of life insurance for retail customers of TBC Bank retail loan products.
9. https://kapitali.ge/dazghveva/sicocxlis-dazgveva/#i
10. https://www.pensions.ge
11. https://aldagi.ge/ka/skhva-produktebi/36/sitsotskhlis-dazgveva
12. https://mygpi.ge/life
13. https://tbcinsurance.ge/ka/home/conditions
14. https://imedil.ge/Home/HealthInsurance
15. https://bm.ge
16. http://www.transparency.ge/
17. http://commersant.ge/
18. https://matsne.gov.ge/
19. https://openknowledge.worldbank.org
20. Swiss Re, *sigma* No. 4/2020.
21. https://thecollegeinvestor.com/24133/online-life-insurance-companies/

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

DEVELOPING TENDENCIES OF FOREIGN DIRECT INVESTMENTS

Sofiko Dzhvarsheishvili
Affiliate Assistant at the Alterbridge - International University of Management & Communication.
PhD student at the faculty of economics and business at Iv. Javakhishvili Tbilisi State University
E-mail: Sofiko.dzhvarsheishvili@tsu.ge

DOI suffix: 10.36962/NEC62-6303-04202141

ABSTRACT

The formation process of foreign direct investment theories began in the second half of the twentieth century, it was period that the importance of foreign direct investment (FDI) in international capital movement increased, and this period was characterized by the rapid growth of multinational enterprises, which, in turn, is a major source of FDI. Scientific and technological progress has become the basis for decisions of transnational companies to invest capital in to different parts of the world and to coordinate and control its many branches from one country. During this period scientists actively began to develop theories and mathematical models of foreign direct investments, which meant studying the genesis of FDI, as well as analyzing their impact on the economy of both the host and the issuer countries. The analysis of foreign direct investment theories is closely related to the study of the activities of multinational corporations. Among them are some paradigms containing interesting discoveries that view the foreign direct investment as a contributing factor for the economic growth of the host country and its industrial development. In this article, the author consider the key theories and models of foreign direct investment:

1. The Product Life Cycle Theory, which is developed by Vernon; 2. Transnational companies and monopolistic computation theory, which is developed by Hymer; 3. Generalized theory of economic development, which is developed by Akamatsu; 4.The competitive advantage of nation's theory, which is developed by Porter; 5.The eclectic paradigm and country's investment development theory, which is developed by Dunning; 6.Differential model of capital distribution between countries by Leontiev.

The theories and models provide a basic range of motives of investors' behavior in the world market. It also makes it possible to analyze what impact foreign direct investment has on the economy of the recipient country and what forecast the recipient country's economy will have.

Keywords: *Globalization, Foreign Direct Investment, Economic Growth, Multinational Corporations, Analysis of Basic Theories and models.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარების ტენდენციები

სოფიკო ჯვარშეიშვილი
მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო
სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის
აფილირებული ასისტენტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
ელ-ფოსტა: Sofiko.dzhvarsheishvili@tsu.ge

ანოტაცია

უცხოური ინვესტიციების თეორიების ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო მე-XX საუკუნის მეორე ნახევარში, ზუსტად ამ დროთა მონაკვეთში გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში, ეს ის პერიოდია, რომელიც ხასიათდება მულტინაციონალური საწარმოების სწრაფი ზრდით, რაც, თავის მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი წყაროა. სამეცნიერო ტექნოლოგიური პროგრესი გახდა იმის საფუძველი, რომ ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა გადაწყვიტეს თავისი წარმოების გარკვეული ნაწილი გაეტანათ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში და ერთი ქვეყნიდან გაეწიათ თავისი მრავალი ფილიალების, როგორც კოორდინაცია, ასევე კონტროლი. ზუსტად აღნიშნულ პერიოდში მეცნიერებმა აქტიურად დაიწყეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიების ასევე მოდელების შემუშავება, რაც გულისხმობდა მათი გენეზისის შესწავლას და ასევე მათი გავლენის გაანალიზებას, როგორც კაპიტალის მიმღები ასევე გამცემი ქვეყნის ეკონომიკაზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თორიების ანალიზი მჭიდროდ არის დაკავშირებული მულტინაციონალური კორპორაციების საქმიანობის შესწავლასთან. მათ შორის გარკვეული პარადიგმები შეიცავს საინტერესო აღმოჩენებს, რომელიც განიხილავს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, როგორც მიმღები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და ინდუსტრიული განვითარების ხელშემწყობ ფაქტორს. წინამდებარე სტატიაში ავტორის მიერ განხილულია ვ.ლეონტიევის მოდელი და ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საკვანძო თეორიები:

1. *ვერნონის საქონლის საერთაშორისო წარმოების ციკლის თეორია;*
2. *ხაიმერის ტრანსეროვნული კომპანიები და მონოპოლური კონკურენციის თეორია;*
3. *აკამაცუს განზოგადებული ეკონომიკური განვითარების თეორია;*
4. *პორტერის ერის კონკურენტული უპირატესობის თეორია;*
5. *დანინგის ეკლექტიკური პარადიგმა და ქვეყნის ინვესტიციური განვითარების თეორია.*

განხილული მოდელი და თეორიები გადმოგვცემს მსოფლიო ბაზარზე არსებული ინვესტორების ქცევის მოტივების ძირითად სპექტრს. ასევე, შესაძლებელს ხდის , რომ გავაანალიზოთ, თუ როგორი გავლენა აქვს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე და თუ როგორი პროგნოზი შიძლება ჰქონდეს რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკას.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ეკონომიკური ზრდა, მულტინაციონალური კორპორაციები, ძირითადი თეორიების და მოდელების ანალიზი.*

შესავალი

გლობალიზაციის პროცესებმა და საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებამ, ხელი შეუწყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გააქტიურებას. მეცნიერებმა დაიწყეს გამოკვლევა იმისა თუ როგორი გავლენა აქვს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. არაერთ ემპირიულ კვლევებზე დაყრდნობით იყო განმტკიცებული მოსაზრება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლებიც მიმართულია განვითარებად ქვეყნებში ხელს უწყობს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას, ასევე არის საპირისპირო მოსაზრებებიც. წინამდებარე სტატიაში ავტორი წარმოგიდგენთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როგორც თეორიებს ასევე მათემატიკურ მოდელს, რაც, თავის მხრივ, მოგვცემს შესაძლებლობას, რომ ღრმად გავაანალიზოთ უცხოელი ინვესტორის ქცევის ძირითადი ეკონომიკური

მექანიზმები, როგორც მიკრო ასევე მაკროდონეზე.

1.საქონლის საერთაშორისო წარმოების ციკლი

ერთ-ერთი საბაზისო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორია არის ვერნონის „საქონლის საერთაშორისო წარმოების ციკლის“ თეორია, რომელიც შეიქმნა 1966 წელს. [10] მან ეს თეორია განავითარა საქონლის საციცოცხლო ციკლის მრუდის საფუძველზე. საქონლის საერთაშორისო წარმოების ციკლის თეორია გვიჩვენებს დინამიკურ ურთიერთობას საერთაშორისო ვაჭრობასა და უცხოურ ინვესტიციებს შორის, გვიხსნის ქვეყნებს შორის საქონლის ურთიერთგაცვლის პროცესს და იმ მიზეზებს, რის საფუძველზეც ხდება ქვეყნებს შორის დარგობრივი გადაადგილება. თეორიაში, ნაჩვენებია თუ როგორ გადაწყვეტილებას იღებს აშშ-ს კორპორაციები იმისათვის, რომ განათავსონ თავისი პროდუქციის წარმოება საზღვარგარეთ. აღნიშნული თეორია ხსნის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკის მოტივაციას, განმარტავს საქონლის ქვეყნებს შორის გაცვლას და ადგენს მთელი მრეწველობის გადაადგილების მიზეზებს.

უცხოეთში ახალი წარმოების გახსნასთან ერთად უცხოური კომპანიები ხშირად აბანდებენ თანხებს უკვე არსებულ წარმოებაში, რაც თავისმხრივ კომპანიას აძლევს საშუალებას, რომ გამოიყენოს უკვე არსებული საქონლის გასაღების ბაზრები.

ვერნონი თავის თეორიაში ამტკიცებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება მნიშვნელოვანია მხოლოდ იმ ფირმებისათვის, რომლებიც აწარმოებენ ინოვაციურ პროდუქტს მხოლოდ სასიცოცხლო ციკლის გარკვეულ ეტაპებზე, როგორიც არის სიმწიფე და ვარდნა. პროდუქტის გაცნობა - ეს ის სტადიაა, რომელიც ვითარდება ქვეყნის შიდა ბაზარზე ანუ ხდება პროდუქტის შესვლა შიდა ბაზარზე და მომხმარებლის მიერ მისი გაცნობა. როდესაც ახალი სახის პროდუქტი იქმნება, ყალიბდება რიგი პრობლემები, რომელიც დამოკიდებულია წარმოების ტექნოლოგიაზე, მოთხოვნის ელასტიურობაზე და ა.შ. აღნიშნულ სიტუაციაში ფირმა - მწარმოებელი უპირატესობას ანიჭებს წარმოებაზე კონტროლის გაწევას თავიანთ ტრადიციულ შიდა ბაზარზე და ახლოს ყოფნას უშუალოდ მის მომხმარებელთან. ციკლის ამ ეტაპზე კომპანია ამჯობინებს, რომ არ გაიტანოს მზა პროდუქტი საზღვარგარეთ. თუმცა, როდესაც პროდუქტის წარმოება აღწევს ზრდის და სიმწიფის ეტაპს, მზარდი კონკურენციის თავიდან აცილების და ბაზარზე გაფართოების მიზნით, კომპანიას შეუძლია

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ ეტაპზე, კომპანია არის პროდუქტის ექსპორტიორი ხოლო ქვეყნები - რეციპიენტები იმპორტიორები. ბოლო სტადიაზე, როცა წარმოება მცირდება ხდება საქონლის საწარმოო ციკლის სრული სტანდარტიზაცია. სასიცოცხლო ციკლის ბოლო ფაზაზე ფირმა-ინვესტორის საბაზისო ქვეყანა ხდება საქონლის იმპორტიორი, ხოლო ქვეყანა-რეციპიენტი-ექსპორტიორი. ვერნონის თეორიის გაანალიზების საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციის განხორციელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნის შიდა ბაზარზე იზრდება კონკურენცია, როგორც აღვნიშნეთ ეს საქონლის სასიცოცხლო ციკლის მეორე ან მესამე ფაზაში ხდება, ამ პირობებში კომპანიას უხდება კონკურენტებთან ბრძოლა, რაც მათი დასუსტების ერთგვარი საფუძველია, აღნიშნული პროცესის თავიდან არიდება შესაძლებელია, როდესაც კომპანია ახალ ბაზარს ითვისებს.

2.ტრანსეროვნული კომპანიები და მონოპოლიური კონკურენცია

მეოცე საუკუნის 60-იან წლებში ხაიმერმა გაანალიზა ის მიზეზები, რის საფუძველზეც ტრანსეროვნული კომპანიები ახდენენ ინვესტირებას უცხოეთში. მან დაადგინა, რომ უცხოელი ინვესტორები ცდილობენ გამოიყენონ თავისი მონოპოლური ძალაუფლება არასრულყოფილ ბაზრებზე დამატებითი შემოსავლის მისაღებად, ასევე მან გამოავლინა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიცია პირდაპირ კავშირშია პოლიტიკურ, სავალუტო და სხვა რისკებთან. ხაიმერის მიხედვით, ინვესტორი - მონოპოლისტი, რომლის მიზანია სასაქონლო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება, ახორციელებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას. [4] მისი მოსაზრებით იმისათვის , რომ ფირმამ განახორციელოს დაბანდება უცხოურ ბაზარზე, უნდა ჰქონდეს ადგილობრივ კომპანიებთან შედარებით უპირატესობები, როგორიცაა: 1.სავაჭრო ნიშანი; 2. კომპანიის მართვის გამოცდილება; 3. მასშტაბურ წარმოებაზე დიდი ეკონომია; 4. ახალი ტექნოლოგიები;

ხაიმერი თვლიდა, რომ უცხოელმა ინვესტორებმა უნდა აითვისონ არასრულყოფილი ბაზრები და მოახდინონ ინვესტიცია საზღვარგარეთ, რაც,

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

თავის მხრივ, უფრო მეტ რისკებთან და ხარჯებთან არის დაკავშირებული ვიდრე იგივე ინვესტიციის განხორციელება თავიანთ ქვეყანაში.

კინდლბერგერმა 1969 წელს გააფართოვა ეს კონცეფცია, თავის ნაშრომებში ის იკვლევდა ტრანსეროვნული კომპანიების შინაგან ბუნებას და მიზეზებს, რომლიც ფირმებს საშუალებას აძლევდა განეხორციელებინათ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მან გამოყო ტრანსეროვნული კომპანიების უპირატესობის ოთხი ძირითადი მიზეზი [6]:

1. სასაქონლო პოლიტიკასთან დაკავშირებული უპირატესობა: მარკეტინგის ტექნოლოგია, იმიჯი და საქონლის დიფერენციაცია;

2. წარმოების ფაქტორებთან დაკავშირებული უპირატესობა: წარმოების კონტროლი, საკუთარი ტექნოლოგიების არსებობა, კადრების კვალიფიკაციის დონე, ფინანსური რესურსების მოზიდვა;

3. უპირატესობა მასშტაბის ეკონომიის სფეროში;

4. სახელმწიფოს ჩაურევლობა კომპანიის საქმიანობაში.

თუმცა ეს უპირატესობები არ არის გადამწყვეტი ფაქტორი უცხოეთში წარმოების ორგანიზებისათვის. კომპანიას ასევე შეუძლია ჩაატაროს ექსპანსია საერთაშორისო ბაზარზე მზა პროდუქციის ექსპორტის სახით ან ლიცენზიის გაყიდვით საქონლის წარმოებაზე დამატებითი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც კომპანიის სიდიდე, ანუ პერსონალის რაოდენობა და კომპანიის მოგების მოცულობაა.

3. განზოგადებული ეკონომიკური განვითარების თეორია

ამ ასპექტით აკამაცუმ გამოყო სამი დარგობრივი განვითარების ფაზა:

1. დარგი ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნებს და შედეგად კომპანიები იწყებენ უცხოური პროდუქციის იმპორტირებას, რაც თავისმხრივ ზრდის იმპორტის მოცულობას;

2. უცხოური კომპანიები იწყებენ მიმღებ ქვეყანაში თავისი პროდუქციის წარმოებას, იზრდება წარმოების მოცულობა და ამავე დროს მცირდება იმპორტი;

3. წარმოების მოცულობა მეტია, ვიდრე ქვეყნის მოთხოვნილება, შესაბამისად უცხოური კომპანიები იწყებენ ჭარბი წარმოებული პროდუქციის ექსპორტირებას სხვა ქვეყნებში. [7]

აკამაცუს თეორიის საფუძველზე კოჟიმამ გამოყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ორი სახეობა: პროსავაჭრო და ანტისავაჭრო. პროსავაჭრო - ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციაა, რომელიც გადაადგილდება ერთი შიგა არაპერსპექტიული დარგიდან მეორე უცხოურ დარგში, რომელსაც აქვს კარგი კონკურენტული უპირატესობები; ანტისავაჭრო პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მიმართულია უცხოურ დარგებში, რომელთაც არ აქვთ არანაირი უპირატესობები და აქვთ მხოლოდ ის მიზანი, რომ ჩაანაცვლოს იმპორტი. [8]

შემდგომ აღნიშნული თეორია განავითარა თ.ოზავამ, იგი ამტკიცებდა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განვითარებად ქვეყნებში აძლიერებს ეკონომიკურ პროგრესს. ასეთ ქვეყნებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საფუძველზე შეუძლიათ განავითარონ თავიანთი წარმოება ახალი ტექნოლოგიების დახმარებით, დროის ეკონომიის მეშვეობით გააძლიერონ ეკონომიკური ზრდა, რაც აუცილებელი პირობაა კონკურენტუნარიანი სექტორის ჩამოყალიბებისათვის. [5]

4. ერის კონკურენტული უპირატესობები

პორტერი თავის ნაშრომში "ერის კონკურენტული უპირატესობა"(1990) გამოყოფს ოთხ ფაქტორს, რაც განსაზღვრავს ტრანსეროვნული კომპანიების კონკურენტულ უპირატესობებს [9]:

1. კორპორატიული სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენცია;

პორტერი ხაზს უსვამს კომპანიის მართვის სტრატეგიის უპირატესობებს. იგი თვლის, რომ კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია სტრატეგიის ნაციონალურ თავისებურებებზე, ე.ი. ქვეყნის იმ პირობებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფირმის მართვის თავისებურებას და კონკურენტული ბრძოლის ხასიათს.

2. ფაქტორების: ადამიანურის, ფიზიკურის, ცოდნის, კაპიტალის, ინფრასტრუქტურის და ა.შ. მდგომარეობა; იგი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო არ არის მემკვიდრე არამედ იგი ქმნის უფრო მნიშვნელოვან ფაქტორებს როგორიცაა კვალიფიციური სამუშაო ძალა, სამეცნიერო ტექნიკური ბაზა, ინფრასტრუქტურა და შესაბამისად ამით შეუძლია, რომ დასძლიოს არახელსაყრელი გეოგრაფიული პირობები;

3. მოთხოვნის შემადგენელი ნაწილი, როგორიცაა: ქვეყანაში მოთხოვნის მოცულობა, მისი ზრდის ტემპი, მომხმარებლების დახასიათება; პორტერი აღნიშნავს, რომ ქვეყანა ღებულობს კონკურენტულ უპირატესობებს იმ მრეწველობებში სადაც შიდა ბაზარზე უზრუნველყოფილია კომპანიებისათვის

მომხმარებელზე შედარებით ნაადრევი და ნათელი წარმოდგენა.

4. მეოთხე კონკურენტული უპირატესობის სახით პორტერმა გამოყო დარგობრივი მრავალფეროვნება.

პორტერი მუშაობდა შემდეგ საკითხებზე როგორიცაა ქვეყნების და რეგიონების კონკურენტუნარიანობა. მისი მოსაზრებით მსოფლიო ბაზარზე კონკურენციას უწევენ არა ქვეყნები არამედ ფირმები. იგი თვლიდა, რომ თუ არსებობს კონკურენტული კომპანიები, მაშინ ისინი ქმნიან კონკურენტუნარიან დარგებს, და ისინი თავის მხრივ ხელს უწყობენ სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე. პორტერის თეორიის მიხედვით ეროვნული კეთილდღეობა არ არის მემკვიდრეობითი, ის შრომის შედეგად იქმნება, იგი ამბობს, რომ შრომის მწარმოებლურობის გაზრდის მიზნით აუცილებელია ინოვაციების მუდმივი პროცესი და მათი საწარმოებში დანერგვა.

აღნიშნულ დეტერმინანტებზე პორტერის მოსაზრებით გავლენას ახდენს ორი დამოუკიდებელი ძალა, როგორიცაა: „მთავრობა“ და „შემთხვევა“. მთავრობა თამაშობს აქტიურ როლს იმისათვის, რომ შექმნას კონკურენტული უპირატესობები, ხოლო შემთხვევა (გარე შოკები) განსაზღვრავენ მოულოდნელ ცვლილებებს მსოფლიო ბაზარზე, როგორიცაა მოთხოვნის ცვლილება, ომი, ბუნებრივი კატასტროფები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება შესაძლებელია მაშინ როდესაც ქვეყანის წარმოებებში მიღწეულია კონკურენტული უპირატესობები.

5. ელეკტიკური პარადიგმა

დანინგმა ჩამოაყალიბა ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, რომლის შემადგენელი ნაწილი ელეკტიკური პარადიგმაა.[1] ეს თეორია გვიხსნის კომპანიის ინვესტიციური მოქმედების სახეობებს და მოდელებს. ამ პარადიგმის საფუძველზე დროის ყველა მომენტში უცხოური აქტივების მოცულობა, რომელსაც აკონტროლებს მრავალეროვნული კომპანია, განისაზღვრება სამი ობიექტური მიზეზით, ანუ უპირატესობით [2]:

<u>1. საკუთრების ფლობის უპირატესობა</u> : ეს არის უცხოელი ინვესტორებისთვის საკუთრების ფლობის სპეციფიკური უპირატესობის სისტემა ნაციონალურ ოპერატორებთან მიმართებით, რომლებიც ძირითადი კონკურენტებია;

<u>2. ადგილმდებარეობის უპირატესობები:</u> ადგილობრივი ფაქტორების წარმოების და გასაღების ბაზრის სისტემა და სპეციფიკური პირობები, რომლებსაც სთავაზობენ ცალკეული ქვეყნები უცხოელ ინვესტორებს, მაგალითად, ბაზრის დაცვის კონიუქტურა და კონტროლის სხვა მრავალი შესაძლებლობა;

<u>3. ინტერნალიზაციის უპირატესობები,</u> რაც ნიშნავს კერძო უპირატესობების კონტროლს. ამ უპირატესობების ანალიზის საფუძველზე დანინგმა დაასკვნა, ის, რომ კომპანიისთვის უცხოეთში ინვესტირების სტიმულია საკუთრების ფლობის უპირატესობა, მაგრამ ინვესტორისთვის კონკრეტული ქვეყნის ასარჩევად პირდაპირი ინვესტირებისთვის მნიშვნელოვანია ადგილმდებარეობის უპირატესობები;

6. ქვეყნის ინვესტიციური განვითარების თეორია

აღნიშნული თეორია ჩამოაყალიბა დანინგმა 1979 წელს და გამომდინარეობს იმ მოსაზრებიდან, რომ ქვეყნის გადაწყვეტილება პირდაპირი უცხოური ინვესტიციის განხორციელების თაობაზე განისაზღვრება მისი ეკონომიკური განვითარების დონით.[3] ქვეყნები თავის განვითარებაში გადიან ხუთ ფაზას. ვიდრე ყველა ფაზას განვიხილავდეთ, საჭიროა განვმარტოთ ტერმინი -„ინვესტიციის ნეტო ექსპორტი“, რომელიც გვიჩვენებს „ქვეყნიდან გასული პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოცულობასა“ და „ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოცულობას“ შორის სხვაობას. როცა „ინვესტიციის ნეტო ექსპორტი“ დადებითია, ეს ნიშნავს, რომ მოცემული ქვეყანა საზღვარგარეთ უფრო მეტ კაპიტალს აბანდებს, ვიდრე თვითონ იზიდავს. როცა უარყოფითია - ნიშნავს, რომ ქვეყანა არის „ინვესტიციის ნეტო იმპორტიორი“.

განვითარების პირველ ფაზაში ქვეყანა იწყებს ინვესტიციების იმპორტირებას იმ რაოდენობით, რა რაოდენობაც მას ხელს შეუწყობს გააფართოვოს წარმოება. იმპორტი მთავრდება მეორე ფაზის დასასრულს. დანინგმა განსაზღვრა , რომ ნეტო- იმპორტიორი ქვეყნები არიან ისინი, რომელთაც აქვთ მაღალი წილი მომპოვებელ დარგებში, რომლებიც მუშაობენ ძველ ტექნოლოგიებზე და რომლის წარმოებაც თავის მხრივ შრომატევადია. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ჩნდება თავისუფალი ფინანსური რესურსი და ფართოვდება წარმოება, კომპანიები იწყებენ კაპიტალის ექსპორტს, რასაც მესამე ფაზა ქვია. ქვეყანა მეოთხე

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ფაზაში ყალიბდება, როგორც ნეტო–ექსპორტიორი, მეხუთე ფაზიდან ქვეყანაში კაპიტალის იმპორტირება უფრო მეტია ვიდრე ექსპორტირება.

7. ქვეყნებს შორის კაპიტალის გადანაწილების დიფერენციალური მოდელი (ვ. ლეონტიევის მოდელი)

ლეონტიევის მოდელის მიხედვით [11] გამოვლენილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკის გრძელვადიან განვითარებაზე. აღნიშნული მოდელი განიხილავს ქვეყნების ორ ჯგუფს: განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს, რომლებს შორისაც კავშირი დამყარებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით. ლეონტიევის მოდელში აღსანიშნავია, ის რომ ინვესტორ ქვეყნებს მიეკუთვნება განვითარებული ქვეყნები, ხოლო რეციპიენტ ქვეყნებს განვითარებადი. მოდელი დამყარებულია ორ მარტივ პრინციპზე:1. მულტიპლიკატორის პრინციპზე, რომელიც შემდეგი განტოლებით არის წარმოდგენილი $I(t)=sY(t)$, სადაც Y არის მთლიანი წარმოება (განვითარებული ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტი), I –ინვესტიციების მოცულობა, s – არის ინვესტირების ნორმა, ინვესტიციების მულტიპლიკატორი. 2. აქსელერატორის პრინციპი, რომელიც შემდეგი განტოლებით არის წარმოდგენილი $Y(t) = I(t)/b$, სადაც b არის ინვესტიციების აკსელერატორი ან კაპიტალის მოცულობის ზრდის კოეფიციენტი. მულტიპლიკატორის და აქსელერატორის პრინციპის კომბინირება გვაძლევს საშუალებას მივიღოთ საბოლოოდ დიფერენციალური განტოლება , რომელიც განვითარებულ ქვეყნებში აღწერს გამოშვების დინამიკას, რომელის შემდეგი განტოლებით არის გამოსახული : $\dot{Y}(t) - (s/b)Y(t)=0$ (1) აღნიშნული განტოლების ამოხსნად ითვლება ექსპონენციალური ზრდის ფუნქცია: $Y(t) = Y(0)e^{(s^*/b^*)t}$ (2) . კაპიტალის მოცულობა, რომელიც განვითარებული ქვეყნებიდან მიედინება განვითარებად ქვეყნებში , არის მუდმივი და აღნიშნულია h რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის გარკვეულ ნაწილს შეადგენს, რომელიც კაპიტალის ექსპორტირებას განიცდის. ამ შემთხვევაში დაბანდებული კაპიტალის H(t) მოცულობა ტოლია : $H(t) = hYe^{(s^*/b^*)t}$ (3) განვითარებადი ქვეყნების ჯგუფისათვის წარმოდგენილია ასევე ანალოგიური დამოკიდებულება:1. მულტიპლიკატორის მოდიფიცირებული პრინციპი, რომელიც შემდეგი განტოლებით არის წარმოდგენილი $I^*(t) = s^*Y^*(t)+hY(0)e^{(s/b)t}$, სადაც ვარსკვლავით აღნიშნულია განვითარებადი ქვეყნებისათვის ანალოგიური პარამეტრები და ცვლადები, აღნიშნულ შემთხვევაში განვითარებადი ქვეყნების ინვესტიციები შესდგება : შიდა და გარე ინვესტიციებისაგან, გარე ინვესტიციები კი, თავისმხრივ, განვითარებული ქვეყნებიდან მოედინება. 2.აქსელერატორის პრინციპი, რომელიც შემდეგი განტოლებით არის წარმოდგენილი $Y^*(t) = I^*(t)/b^*$. ამ ორი პრინციპის კომბინაციის შედეგად მივიღებთ დიფერენციალურ განტოლებას, რომელიც აღწერს განვითარებად ქვეყნებში გამოშვების დინამიკას: $Y^*(t)- (s^*/b^*)Y^*(t) - (h/b^*)Y(0)e^{(s^*/b^*)t}=0$ (4) როდესაც $s^*/b^*\neq s/b$, მაშინ მივიღებთ განტოლებას:

$Y^*(t)=[Y^*(0) - H(0)/b^*(s/b- s^*/b^*)]e^{(s^*/b^*)t}+ [H(0)/b^*(s/b-s^*/b^*)]e^{(s/b)t}$ (5)

აღნიშნულიდან გამომდინარე, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდა პირდაპირ არის დაკავშირებული განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპებზე და საწყის კაპიტალზე, რომლსაც განვითარებული ქვეყნები აბანდებენ განვითარებად ქვეყნებში ანუ ახორციელებენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას.

დასკვნა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიების და მოდელების შესწავლა ძალზედ მნიშვნელოვანია მსოფლიოს ეკონომიკისათვის. საერთაშორისო ინვესტიციების გადანაწილების პროცესში ჩართულია თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება დადებით გავლენას ახდენს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მიმღებ სახელმწიფოს აქვს ძლიერი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართულია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობაზე. იმ ქვეყნებში სადაც სახელმწიფოს არ აქვს მიზანმიმართული ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა, უცხოური ინვესტიციების დაბანდება არ ითვალისწინებს ქვეყანა -რეციპიენტის სტაბილურ ზრდას, რაც ხშირად იწვევს დისბალანსს ქვეყნის რეგიონალური განვითარებაში, რასაც, თავისმხრივ, მოყვება მიმღებ ქვეყანაში სოციალური დაძაბულობა. ამდენად, მზარდი კონკურენციის პირობებში მაღალტექნოლოგიური ინვესტიციების მოზიდვისათვის ისარგებლებენ მხოლოდ ის ქვეყნები, რომლებიც განიხილავენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, როგორც ერთ-ერთი მიმღები ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტულ ფაქტორს. განხილული თეორიები და მოდელი გვიხსნის საერთაშორისო კაპიტალის გადაადგილების მოტივებს, რომლების

ძირითადი ამოცანაა, რომ დადგინდეს მიზეზები თუ რის საფუძველზე ფირმა იღებს გადაწყვეტილებას, რომ გააფართოვოს თავისი ბიზნესი და გაიტანოს იგი საზღვარგარეთ, და თუ როგორი გავლენა აქვს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას მიმღები ქვეყნის განვითარებაზე. მრავალი მოსაზრებების მიუხედავად წარმოდგენილი მეცნიერები ერთსულოვნები არიან იმაში, რომ უცხოელი ინვესტორი აბანდებს თავის კაპიტალს საზღვარგარეთ იმისათვის, რომ ორგანიზაციას შესძინოს უკეთესი პირობები, შეძლებისდაგვარად შეამციროს საწარმოო ხარჯები, გააუმჯობესოს საწარმოს ადგილმდებარეობა, რაც თავის მხრივ აძლევს ორგანიზაციას ახალი ბაზრების ათვისების საშუალებას და ხდის კონკურენტუნარიანს საერთაშორისო მასშტაბით. ყველა ემპირიული გამოკვლევის შედეგი გვიჩვენებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის საერთო ერთიანი თეორიული ახსნა არ არსებობს, რადგანაც თითოეულ მეცნიერს აქვს თავისი ინდივიდუალური მიდგომა და თავისი სპეციფიკური თეორიული ანალიზი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით.

REFERENCES:

1.Dunning J., Trade, location of Economic Activity and the MNE: Search for an Electic Approach// "The International Location of Economic Activities", London 1977, pp. 395-418.

2.Dunning J. Explaining changing Patterns of International Production: In Defense of the Eclectic Theory// Oxford Bulletin of Economics and Statistics, Nov.1979, vol.41.

3.Dunning J. The Product Cycle Hypothesis in a new international Environment//Oxford Bulletin of Economics and Statistics, November 1979, vol.41.

4.Hymer S., The International Operations of National Firms: A Study of Direct Foreign Investment// Cambridge: MIT Press, PhD dissertation, 1960, Massachusetts Institute of Technology.

5.Kasahara S. The Asian Developmental State and the Flying Geese Paradigm. November 2013 36 p. URL: http://unctad.org/en/PublicationsLibrary/osgdp20133_en.pdf (accessed 1.05.2016)

6.Kindleberger C. , Restrictions on Direct Investment in Host Countries//Discussion Paper for the University of Chicago Workshop on International Business, March 1969.

7.Kojima K., A Macroeconomic Approach to Foreign Direct Investment// Hitotsubashi Journal of Economics, June 1973, vol.14.

8.Kojima K., International Trade and Foreign Investment: Substitutes of Complements// Hitotsubashi Journal of Economics, June 1975 vol.16.

9.Porter M., The Competitive Advantage of Nations// London 1990

10.Vernon R., International Investment and International Trade in the Product Cycle//Quarterly Journal of Economics, May 1966, Vol.80;

11.Леонтьев В. Темпы долговременного экономического роста и перевод капитала из развитых в развивающиеся страны (в кн.: "Леонтьев В. Экономические эссе. Теории, исследования, факты и политика". М.: Политиздат. 1990),

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

THE JAPANESE ECONOMIC MIRACLE AND THE ROLE OF GOVERNMENT IN THE PROCESS OF ITS ACHIEVEMENT

Vasil Khizanishvili,
PHD in Economics, I.Gogebashvili, Telavi
State University, invited lecturer,
E.mail: Basil.khizanishvili@yahoo.com,
Cell: 593 146 416

DOI suffix: 10.36962/NEC62-6303-04202148

ABSTRACT

The Japanese economic miracle is known as the record period of Japanese economic growth between the end of World War II and the end of the Cold War (1945–1991).

One of the reasons for Japan's rapid recovery from post-war trauma was the government's successful economic reform. The government institution that dealt mainly with industrial policy in Japan was the Ministry of Industry. One of the most important economic reforms was the introduction-adaptation of the "Inclined Production Mode".

This success has been largely ensured to the interventionist policy of the Government of Japan and, in part, to the assistance provided by the United States in the form of the „Marshall Plan".

Keywords: *role of government, protectionism, reconstruction, US aid ("Marshall plan"), Japanese economic miracle.*

იაპონური ეკონომიკური სასწაული და მთავრობის როლი მისი მიღწევის პროცესში

ვასილ ხიზანიშვილი, სოციალურ მეცნიერებათა
დოქტორი ეკონომიკაში, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი,
ელ.ფოსტა: Basil.khizanishvili@yahoo.com,
მობ: 593 146 416

ანოტაცია

იაპონური ეკონომიკური სასწაული ცნობილია, როგორც იაპონიის ეკონომიკის ზრდის რეკორდული პერიოდი, მეორე მსოფლიო ომისა და ცივი ომის დამთავრებას შორის(1945–1991). ომის შემდგომი ტრავმიდან იაპონიის სწრაფი გამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი იყო მთავრობის წარმატებული ეკონომიკური რეფორმა. სამთავრობო ინსტიტუცია, რომელიც იაპონიაში ძირითადად ეხებოდა ინდუსტრიულ პოლიტიკას, იყო მრეწველობის სამინისტრო. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმა იყო "წარმოების მიდრეკილი მოდუსის"("Inclined Production Mode") შემოღება-ადაპტირება. აღნიშნული წარმატება ძირითადად უზრუნველყოფილი იქნა იაპონიის მთავრობის ინტერვენციონისტური პოლიტიკით და ნაწილობრივ, შეერთებული შტატების მხრიდან „მარშალის გეგმის" სახით გაწეული დახმარებით.

საკვანძო სიტყვები: მთავრობის როლი, პროტექციონიზმი, რეკონსტრუქცია, აშშ-ის დახმარება („მარშალის გეგმა"), იაპონური ეკონომიკური სასწაული.

შესავალი

იაპონია, აქსისის დანარჩენი წევრი სახელმწიფოების (გერმანია, იტალია) მსგავსად, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, აღმოჩნდა უაღრესად რთული შიდა და გარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევების წინაშე. აღნიშნული სირთულეების დაძლევა შესაძლებელი გახდა ქვეყნის მთავრობათა მიერ შესაბამისი ზომების გატარებით განვითარების სხვა და სხვა ეტაპზე, რამაც საბოლოოდ უზრუნველყო კიდეც იაპონიის ეკონომიკური წარმატების მიღწევა. ეკონომიკური ბუმის დროს, იაპონია (აშშ-ის შემდეგ), ეკონომიკის მოცულობით სწრაფად იქცა მეორე ქვეყნად მსოფლიოში. 1990-იან წლებში, დემოგრაფიულმა სიტუაციამ იაპონიაში განიცადა სტაგნაცია, და სამუშაო ძალის რიცხოვნება უკვე აღარ იზრდებოდა, როგორც ეს ხდებოდა გასულ ათწლეულებში, მიუხედავად იმისა, რომ ერთი-ერთეული მუშაკის პროდუქტიულობა (შრომის ნაყოფიერება ერთეულ მუშაკზე) რჩებოდა მაღალი.[1]

ეკონომიკური სასწაული შეიძლება დაიყოს ოთხ ეტაპად: აღდგენა (1946–1954), მაღალი ზრდა (1955–1972), ზომიერი/სტაბილური ზრდა (1972–1992) და დაბალი/უმნიშვნელო ზრდა (1992–2017).[2]

აღნიშნული ეკონომიკური სასწაული, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, იაპონიის (დასავლეთ გერმანიასთან და იტალისათან ერთად) მიერ „ცივი ომიდან" მიღებული სარგებლის შედეგია. აღნიშნული წარმატება ძირითადად უზრუნველყოფილი იქნა იაპონიის მთავრობის ინტერვენციონისტური პოლიტიკით და ნაწილობრივ, შეერთებული შტატების მხრიდან „მარშალის გეგმის" („Marshall Plan") სახით გაწეული დახმარებით.[3]

იაპონური ეკონომიკის განმასხვავებელ მახასიათებლებს „ეკონომიკური სასწაულის" წლებში მოიცავდა: მწარმოებლების, მიმწოდებლების, დისტრიბუტორებისა და ბანკების თანამშრომლობა მჭიდროდ დაკავშირებული ჯგუფებით, სახელწოდებით კეირეცუ (A keiretsu იაპონ.: 系列), მძლავრი საწარმოების კავშირებსა და იაპონური შრომის ორგანიზაციის ((Japanese labour organization ანუ, იაპონ. Shuntō (春闘), რომელიც ჩვეულებრივ ითარგმნება როგორც „spring [wages] offensive" / „გაზაფხულის [სახელფასო] იერიში". საუბარია ხელფასთან დაკავშირებულ ყოველწლიურ მოლაპარაკებათა თაობაზე, საწარმოთა პროფ. კავშირებსა და დამსაქმებლებს შორის. მრავალი ათასი ასეთი პროფ. კავშირი ერთდროულად აწარმოებს მოლაპარაკებებს, სწორედ მარტის დასაწყისიდან.)) კარგ ურთიერთობას სამთავრობო ბიუროკრატიასთან და მთელი სისცოცხლის მანძილზე გარანტირებულ დასაქმებას (Shūshin koyō / 終身雇用 - მუდმივი დასაქმება იაპონიაში.) პროფ. კავშირული კუთხით ძლიერ ორგანიზებულ მსხვილ კორპორაციებსა და ფაბრიკებში.

ძირითადი ნაწილი

მიუხედავად იმისა, რომ იაპონია, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ხიროსიმასა და ნაგასაკში ატომური დაბომბვისა და სხვა მოკავშირეთა საჰაერო თავდასხმების შედეგად მძიმედ დაზარალდა, მან მეორე მსოფლიო ომის ტრამვა სწრაფად მოიშუშა და მოახერხა 1960-იან წლებში, (შეერთებული შტატების შემდეგ) მსოფლიოში უდიდესი ეკონომიკური ერთეული გამხდარიყო[4], თუმცა, სამი ათწლეულის შემდეგ, ქვეყანამ განიცადა ე.წ. „ზრდის რეცესია", რადგან შეერთებულმა შტატებმა განახორციელა ეკონომიკური პროტექციონიზმის პოლიტიკა, იაპონური წარმოების შევიწროებისა და იაპონური იენის იძულებითი გაუფასურების მიზნით. შემდგომი რეპრესიების თავიდან ასაცილებლად, იაპონიამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საკუთარი ტექნოლოგიური მიღწევების ხარისხი და მასშტაბი, და გაზარდა იენის ღირებულება, რადგან იენის დევალვაცია ქვეყანაში შექმნიდა დამატებით (ფინანსურ-ეკონომიკურ) საფრთხეებს და მას მოუტანდა შესაძლო მძიმე შედეგებს ვაჭრობაში.[5]

ომისშემდგომი ტრავმიდან იაპონიის სწრაფი გამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი იყო მთავრობის წარმატებული ეკონომიკური რეფორმა. სამთავრობო ორგანო, რომელიც იაპონიაში ძირითადად ეხებოდა ინდუსტრიულ პოლიტიკას, იყო მრეწველობის სამინისტრო.[6] ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმა იყო "წარმოების მიდრეკილი მოდუსის" ("Inclined Production Mode") შემოღება-ადაპტირება, რომელიც პირველ რიგში ფოკუსირებულია იმგვარი ნედეულის გადამუშავებაზე, როგორიც არის ფოლადი, ქვანახშირი და ბამბა ((傾斜 産 „keisha seisan hoshiki", ანუ „პრიორიტეტული წარმოების მეთოდი" ("priority production method"). მასში იგულისხმება განსხვავებული ფასის, რაოდენობისა და იმპორტის კონტროლი, რამაც ხელი შეუწყო წარმოების ზრდას მრეწველობის რამდენიმე სასიცოცხლო დარგის, განსაკუთრებით, ქვანახშირის, ფოლადისა და ტექსტილის მიმართულებით)). მაგ., იმ დროს, საფეიქრო წარმოება მოიცავდა მთლიანი სამრეწველო პროდუქციის 23.9%-ზე მეტს.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

წარმოების სტიმულირებისთვის იაპონიის მთავრობამ მხარი დაუჭირა სამუშაო ძალის ახალ რეკრუტირებას (მუშების, განსაკუთრებით ქალების დაქირავებას). ქალთა რეკრუტირების გაზრდით, იაპონიამ შეძლო ნგრევიდან აღდგენის პროცესის სრულყოფილი მართვა. რეკრუტირების კანონმდებლობა მოიცავდა სამ კომპონენტს: მშრომელთა რეგიონალურ რეკრუტირებაზე (დაქირავებაზე) დაფუძნებულ რესტრუ ქციას (შეზღუდვა) და რელოკაციას (გადაადგილება), ახალ სკოლადამთავრებულთა პირდაპირი რეკრუტირების (სამუშაოზე აყვანის) აკრძალვას, და საშუალო განათლების არმქონე (სკოლის გარეშე მყოფი/არასასკოლო) სამუშაო ძალის პირდაპირ რეკრუტირებას, [რაც წარმოებდა] შრომის სამინისტროს მიერ ცალსახად დეტალური რეგულაციების შესაბამისად.[7]

მეორე მიზეზი, რის გამოც იაპონიამ მეორე მსოფლიო ომისგან სწრაფად მოიკეთა, იყო კორეის ომის დაწყება.[8] კორეის ომი მიმდინარეობდა მხარეში (Chōsen (朝鮮)), რომელიც იაპონიის იმპერიას ანექსირებული ჰქონდა 1945 წლამდე. რამდენადაც შეერთებული შტატები მონაწილეობდა კონფლიქტში კორეის ნახევარკუნძულზე, მან ეკიპირების (აღჭურვილობის) შესყიდვის მიზნით მიმართა იაპონიის ეკონომიკას, რადგან მატერიალურ-ტექნიკური (ლოჯისტიკის) უზრუნველყოფა აშშ-დან მალევე იქცა მნიშვნელოვან პრობლემად სამხედროებისთვის. სულ მალე, იაპონიის მრეწველობამ, კორეაში მებრძოლი ამერიკული სამხედრო ძალებისთვის უზრუნველყო საჭირო საბრძოლო და მატერიალურ-ტექნიკური მასალების მიწოდება. მოთხოვნამ სტიმული მისცა იაპონიას, წყნაროკეანური ომის დესტრუქციიდან (ნგრევიდან) მიეღწია ჩქარი აღდგენისთვის და საფუძველი ჩაეყარა იმ სწრაფი ექსპანსიისთვის (გაფართოებისთვის), რომელიც ამას უნდა მოჰყოლოდა.

აშშ-ის მხარდაჭერისა და შიდა ეკონომიკური რეფორმის მიღწევის შემდეგ, 1950-იანი წლებიდან 1970-იან წლებამდე, იაპონიამ შეძლო შორს გაჭრილიყო. გარდა ამისა, იაპონიამ ასევე დაასრულა ინდუსტრიალიზაციის პროცესი და გახდა აღმოსავლეთ აზიის პირველი განვითარებული ქვეყანა. იაპონიის ეკონომიკამ პროგრესს უფრო სწრაფად მიაღწია, ვიდრე არსებობდა ამის მოლოდინი.[9]

ამ პერიოდის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს ჰაიატო იკედას (Hayato Ikeda) ადმინისტრაციის სახელმწიფო პოლიტიკის გავლენა, რაც აისახებოდა ფართო მოხმარებასა და ექსპორტის სიდიდეში.

1954 წელს სრულად ამოქმედდა ეკონომიკური სისტემა, რომელიც იაპონიის საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს (MITI : Ministry of International Tarde and Industry) მიერ იქნა დამუშავებული 1949 წლიდან 1953 წლამდე. პრემიერ მინისტრმა ჰაიატო იკედამ, რომელსაც, ეკონომიკური პოლიტიკის ცნობილი მეცნიერი, სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ჩალმერს ჯონსონი „იაპონიის ეკონომიკური სასწაულის ყველაზე მნიშვნელოვან ინდივიდუალურ არქიტექტორს“ უწოდებს, გაატარა ძლიერი ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა. ამ პოლიტიკამ განაპირობა „ზე-ჭარბი კრედიტების/გადაკრედიტების“ ('over-loaning') წარმოქმნა (პრაქტიკა, რომელიც დღემდე გრძელდება), რაც იმაში მდგომარეობს, რომ იაპონიის ბანკი გასცემს სესხებს ქალაქის ბანკებზე, რომლებიც, თავის მხრივ სასესხო მომსახურებას უწევენ (აკრედიტებენ) სამრეწველო კონგლომერატებს. ვინაიდან, იმ დროს იაპონიაში არსებობდა კაპიტალის დეფიციტი, სამრეწველო კონგლომერატები საკუთარი (ფინანსური) შესაძლებლობების იქით, ხშირად მათი წმინდა ღირებულების (ნეტო აქტივების) მიღმა, სასესხო ვალდებულებათა დასაფარავად კვლავ სესხულობდნენ, რაც იმას იწვევდა, რომ ქალაქის ბანკები იაპონიის ბანკიდან დიდი ოდენობის სესხებს იღებდნენ, რამაც იაპონიის ეროვნულ ბანკს, მასზე დამოკიდებულ ადგილობრივ ბანკებზე სრული კონტროლის შესაძლებლობა მისცა.

გადაჭარბებული დაკრედიტების სისტემამ (The system of over-loaning), კომბინირებულმა მთავრობის მიერ ანტიმონოპოლური კანონების შემსუბუქებასთან (მოკავშირე ძალების უმაღლესი მთავარსარდალის [The Supreme Commander for the Allied Powers /SCAP კონტროლის ნარჩენი]), ასევე განაპირობა კონგლომერატული ჯგუფების (სახელწოდებით კეირეცუ/Keiretsu) ხელახლა წარმოქმნა-გამოჩენა, რომლებიც ასახავდნენ ომისდროინდელ კონგლომერატებს ანუ ზაიბაცუს (zaibatsu). ბიზნესმენების, მასარუ იბუკასა (Masaru Ibuka) და აკიო მორიტას (Akio Morita) თაოსნობით, Sony-ს ეკონომიკური გაუმჯობესების შედეგად, კეირეცუმ შეძლო ეფექტურად მოეხდინა რესურსების ალოკაცია (გადანაწილება) და საერთაშორისო დონეზე გამხდარიყო კონკურენტუნარიანი.[10]

კეირეცუს კონგლომერატების წარმატების საფუძველს წარმოადგენენ ქალაქის ბანკები, რომლებიც გულუხვად გასცემენ სესხებს და სხვადასხვა ინდუსტრიებში ახდენენ კროს-აქციული ჰოლდინგების (cross-share holdings) ფორმალიზებას

(გამარტივება-პოპულარიზებას). კეირეცუმ ხელი შეუწყო ორივე, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ინტეგრაციას და გამორიცხა უცხოური კომპანიების არსებობა იაპონური ინდუსტრიაში. კეირეცუს მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა MITI-სთან და ერთმანეთთან აქციების ჯვარედინი განთავსებით (the cross-placement of shares), გარე მიტაცება-დაპატრონებისგან (take-overs) უზრუნველყოფდა მათ დაცვას. მაგალითად, იაპონიის განვითარების ბანკის (Japan's Development Bank) ფინანსების 83% გამოყოფილი იქნა ისეთ სტრატეგიულ დარგებზე, როგორიცაა: გემთმშენებლობა, ელექტროენერგია, ნახშირი და ფოლადის წარმოება.[11] კეირეცუ გადამწყვეტი აღმოჩნდა პროტექციონისტული ზომებისთვის, რომელმაც დაიცვა იაპონიის ნორჩი ეკონომიკა.

კეირეცუ ასევე ხელს უწყობდა (და ახალისებდა) დამოკიდებულების შეცვლას იაპონელ მენეჯერებს შორის, რომლებიც ჰგუობდნენ დაბალი მოგების მიღებას მოკლევადიან პერსპექტივაში (in the short-run), რადგან კეირეცუ ნაკლებად ეხებოდა სააქციო დივიდენდებისა (stock dividends) და მოგების გაზრდას და უფრო მეტად, - პროცენტის გადახდას (interest payments). მოცემული კომპანიის დაახლოებით, მხოლოდ აქციათა ორი მესამედი იქნა გაყიდული, რითაც კეირეცუმ შეარბილა საბაზრო ფლუქტუაცია (რყევები) და თავის (კეირეცუს) მენეჯერებს ნება დართო აქცენტი გადაეტანათ გრძელვადიან დაგეგმარებასა და ბაზრის წილის მაქსიმიზირებაზე, ნაცვლად იმისა, რომ ფოკუსირება მოეხდინათ მოკლევადიან მოგებაზე.

იკედას ადმინისტრაციამ ასევე შემოიღო სავალუტო განაწილების პოლიტიკა (the Foreign Exchange Allocation Policy/ die Devisenallokationspolitik), იმპორტის კონტროლის სისტემა (a system of import controls), რომელიც შეიქმნა (და მიმართულია) უცხოური საქონლისგან იაპონური ბაზრების წალეკვის თავიდან ასაცილებლად. MITI იყენებდა სავალუტო განაწილებას (ვალუტის გამოყოფას/ ასიგნებას the foreign exchange allocation) ეკონომიკის სტიმულირებისთვის, ექსპორტის პოპულარიზაციით, ინვესტიციების მართვითა და წარმოების შესაძლებლობების მონიტორინგით. 1953 წელს, MITI– მა, საექსპორტო კავშირის სისტემის (the export-link system) გადასინჯვის გზით გადახედა უცხოური ვალუტის გამოყოფის პოლიტიკას (Foreign Exchange Allocation Policy), შიდა მრეწველობის განვითარებისა და ექსპორტის სტიმულირების მიზნით. მოგვიანო რევიზია (გადახედვა/გადასინჯვა), რომელიც ეფუძნება წარმოების შესაძლებლობებს ვალუტის გამოყოფაზე, მიზნად ისახავს უცხოური დემპინგის (foreign dumping) თავიდან აცილებას.

სწრაფი ეკონომიკური ზრდის პერიოდმა 1955-1961 წლებს შორის, გზა გაუხსნა ოქროს სამოციანებს, მეორე დეკადას, რომელიც ზოგადად უკავშირდება იაპონიის ეკონომიკურ სასწაულს. 1965 წელს იაპონიის ნომინალური მშპ შეფასდა 91 მილიარდი აშშ დოლარზე მეტი ოდენობით. თხუთმეტი წლის შემდეგ, 1980 წელს, ნომინალური მშპ გაიზარდა რეკორდულ, 1.065 ტრილიონ დოლარამდე.

პრემიერ-მინისტრ (ყოფილი MITI-ის მინისტრი) იკედას ხელმძღვანელობით, იაპონიის მთავრობამ წამოიწყო ამბიციური „შემოსავლების გაორმაგების, ანუ ორმაგი შემოსავლის გეგმა" („income-doubling plan" / 所得倍增). იკედამ, გასავლების/ (დანა) ხარჯების წასახალისებლად შეამცირა საპროცენტო განაკვეთები და გადასახადები კერძო აქტიორებისთვის. გარდა ამისა, FILP (The Fiscal Investment and Loan Program)-ის მიერ წარმოდგენილი ფინანსური მოქნილობის წყალობით, იკედას მთავრობამ სწრაფად გააფართოვა სამთავრობო ინვესტიციები იაპონიის ინფრასტრუქტურაში. კერძოდ ესენია: ავტობანების (საავტომობილო მაგისტრალების), ჩქაროსნული მატარებლების, მეტროების, აეროპორტების, პორტებისა (საპორტო მოწყობილობის) და კაშხლების მშენებლობა. იკედას მთავრობამ ასევე გააფართოვა მთავრობის ინვესტიციები იაპონიის ეკონომიკის წინათ უგულვებელყოფილ საკომუნიკაციო სექტორში. თითოეულმა ამ მოქმედებამ გააგრძელა იაპონიის ტენდენცია მმართული ეკონომიკის კუთხით, რაც განასახიერებდა კიდეც, შერეულ ეკონომიკურ მოდელს.

იკედას მხრიდან ეკონომიკაში სახელმწიფოს ინტერვენციისა და რეგულირების ერთგულების პარალელურად, მისი მთავრობა ბიძგს აძლევდა და მიისწრაფვოდა ვაჭრობის ლიბერალიზაციისკენ. 1960 წლის აპრილისთვის ვაჭრობის იმპორტი იყო ლიბერალიზებული 41 პროცენტით (შედარებისთვის: 22 პროცენტით - 1956 წლისთვის). იკედა გეგმავდა ვაჭრობის 80 პროცენტამდე ლიბერალიზაციას სამი წლის განმავლობაში. თუმცა, მის გეგმებს შეხვდა სასტიკი წინააღმდეგობა ორივე სფეროდან, როგორც სასესხო ინდუსტრიის (რომელიც ყვაოდა უზომო დაკრედიტებით), ისე ნაციონალისტური საზოგადოებრიობის მხრიდან, რომლებიც უფრთხოდნენ უცხოელთა მიერ საწარმოთა ხელში ჩაგდებას. იაპონური პრესა ლიბერალიზაციას ადარებდა „შავი ხომალდების მეორე გამოჩენას",

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

„იაპონური კუნძულების დაუცველობას, ვეებერთელა უცხოური კაპიტალისტური ძალების (სახელმწიფოთა) თავდასხმის პირისპირ“ და „იაპონიის ეკონომიკის მომზადებას, ეროვნულ კაპიტალსა და უცხოურ კაპიტალს შორის სისხლისმღვრელი ბრძოლისთვის.” იკედას ორმაგი შემოსავლის გეგმა (income-doubling plan), მეტწილად ეს იყო საპასუხო რეაქცია ამ მზარდი ოპოზიციისა და ლიბერალიზაციის შესახებ ფართოდ გავრცელებული პანიკის მიმართ, საზოგადოებრივი პროტესტის ჩახშობის მიზნით. იკედას მოტივები მაინც პრაგმატული იყო და ეყრდნობოდა საგარეო პოლიტიკას. ის ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე გადავიდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილი (და დაცული) იქნა ბაზარი, რაც ხელს უწყობდა (და უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა) იაპონიის პროდუქტებსა და კომპანიებს.

იკედამ, უცხოურ დახმარებათა განაწილებისთვის ასევე შექმნა მრავალი მოკავშირე/მონათესავე უცხოური დახმარების სააგენტო (Foreign Aid Distribution Agencies), რათა საერთაშორისო წესრიგში იაპონიის მონაწილეობის მზადყოფნის დემონსტრირება მოეხდინა და ხელი შეეწყო ექსპორტის სტიმულირებისთვის. ამ სააგენტოების შექმნა იყო არა მხოლოდ მცირე კონცესია (დათმობა) საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, არამედ საზოგადოებისათვის გარკვეული შიშის გაქრობაც ვაჭრობის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით. იკედა ხელს უწყობდა იაპონიის გლობალურ ეკონომიკურ ინტეგრაციას, 1955 წელს GATT-ში, 1964 წელს კი IMF-სა და OECD-ში გაწევრიანებით. როდესაც იკედამ თანამდებობა დატოვა, მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ GNP) ფენომენალური 13.9 პროცენტიანი მაჩვენებლით გაიზარდა.

1973 წელს, იაპონიამ პირველი ნავთობის ფასის შოკი (the first oil-price shock) განიცადა (1973 წლის ნავთობის კრიზისი). ნავთობის ფასი ბარელზე 3 დოლარიდან 13 დოლარამდე გაიზარდა. ამ პერიოდის განმავლობაში, იაპონიის ინდუსტრიული წარმოება შემცირდა 20% -ით, რადგან (ქვეყნის) საწარმოო (მიწოდების) სიმძლავრემ ვერ შეძლო ეფექტური რეაგირება მოთხოვნის სწრაფ ზრდაზე, ხოლო კაპიტალში (მანქანა-მოწყობილობებში, ეკიპირებაში/აღჭურვილობებში) ინვესტიციების ზრდა, ხშირად იწვევს არასასურველ შედეგებს - მცირდება მიწოდება და იზრდება ნედლეულის ფასი.[12] გარდა ამისა, მეორე ნავთობის შოკმა 1978 და 1979 წლებში (ხელახლა) გაამწვავა ვითარება, რადგან ნავთობის ფასი კვლავ გაიზარდა ბარელზე 13 დოლარიდან 39.5 დოლარამდე. ორი ნავთობის კრიზისის სერიოზული გავლენის მიუხედავად, იაპონიამ მოახერხა გაეძლო (მათით გამოწვეული) შედეგებისთვის და მოეხდინა პროდუქციის კონცენტრაციაზე წარმოების ფორმიდან, ტექნოლოგიებზე კონცენტრაციის წარმოების ფორმაზე ტრანსფერი (გადატანა).

ფაქტობრივად, ტრანსფორმაცია იყო ნავთობის კრიზისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის შედეგი. როდესაც ნავთობის ფასი ათჯერ გაიზარდა, გაიზარდა წარმოების (მოპოვების თვითღირებულების) ხარჯებიც. ნავთობის კრიზისის შემდეგ, იაპონია, ხარჯების დაზოგვის მიზნით, იძულებული გახადა პროდუქციის წარმოება გადაეწყო გაცილებით ეკოლოგიურ ფორმებსა და ნავთობის უფრო ნაკლებ მოხმარებზე. ნავთობის კრიზისის შემდეგ, ინდუსტრიული ცვლილების გამომწვევ ყველაზე დიდ ფაქტორს წარმოადგენდა ფასების ზრდა ენეგრომატარებლებზე, მათ შორის ნედლ ნავთობზე.[13] შედეგად, იაპონია გადაერთო ტექნოლოგიაზე კონცენტრირებულ პროგრამაზე (a technology-concentrating program), რომელიც უზრუნველყოფდა მისი ეკონომიკის სტაბილურ ზრდას და ამოირიცხა იმ ქვეყნების სიიდან, რომლებიც ნავთობის კრიზისის დროს მძიმედ დაზიანდნენ.

საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ (The Ministry of International Trade and Industry - MITI) მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, იაპონიის ომისშემდგომ აღდგენა-განახლებაში. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, არცერთ სამთავრობო რეგულაციას ან ორგანიზაციას არ გააჩნდა უფრო მეტი ეკონომიკური ეფექტი, ვიდრე MITI-ს. ”იაპონიის ეკონომიკური ზრდის განსაკუთრებული ტემპი, ფორმა და შედეგები,” - წერს ჩალმერს ჯონსონი, - ”გაუგებარია MITI-ს წვლილზე მითითების გარეშე” (Johnson, vii). MITI დაარსებული იქნა 1949 წელს, რომლის თავდაპირველი როლი მდგომარეობდა სამრეწველო რაციონალიზაციის პოლიტიკის წარმართვაში (1950), რაც გულისხმობდა ცალკეული დარგების ძალისხმევის კოორდინირებას, SCAP-ის დეფლაციური რეგულაციების შედეგების გასანეიტრალებლად. ამგვარად, საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ, იაპონიის მთავრობასა და მრეწველობის კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის ფორმალიზება მოახდინა (ანუ, მათ შორის არსებულ კოოპერაციას მისცა მყარი ფორმა). პოლიტიკის მასშტაბები (მოცულობა და ხარისხი) იყო სწორედ ისეთი, რომ, თუ MITI-ს სურდა „ფოლადის წარმოების გაორმაგება, ნეო-ზაიბაცუს (the neo-zaibatsu) უკვე გააჩ-

ნდა (სათანადო) კაპიტალი, სამშენებლო აქტივი, საწარმოო მანქანა-დანადგარების შემქმნელები/მწარმოებლები, სხვა აუცილებელი ფაქტორები, რომლებიც უკვე ხელმისაწვდომი იყო შიდა („სახლის") პირობებში. სამინისტრო სხვადასხვა დარგს, მათ შორის (ახლადაღმოცენებულ) კეირეცუს, კოორდინაციას უწევდა კონკრეტული მიზნისკენ, ჩვეულებრივ, - ეროვნული წარმოების მიზნებისა და კერძო ეკონომიკური ინტერესთა გადაკვეთის წერტილის (თანხვედრის) მიმართულებით.

MITI-მა ასევე გაზარდა ინდუსტრიული უსაფრთხოება, ტექნოლოგიის იმპორტის (ჩა)მოცილებით სხვა საქონლის იმპორტისგან. საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უცხოური კაპიტალის შესახებ კანონი (MITI's Foreign Capital Law) უფლებამოსილებას ანიჭებდა სამინისტროს, ეწარმოებინა მოლაპარაკებები/განეხილა პირობები ტექნოლოგიის იმპორტის ფასის და პირობების თაობაზე. ტექნოლოგიური კონტროლის ამ ელემენტმა საშუალება მისცა მას, ხელი შეეწყო იმ ინდუსტრიებისთვის, რომლებსაც ის თვლიდა პერსპექტიულად. იმპორტირებული ტექნოლოგიის დაბალი ღირებულება იძლეოდა სწრაფი ინდუსტრიული ზრდის შესაძლებლობას. პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ახალი ეკიპირების (აღჭურვილობის), მენეჯმენტისა და სტანდარტიზაციის გზით.

1952 წლის აგვისტოში, ეკონომიკური სტაბილიზაციის საბჭოსა და ვალუტის კონტროლის საბჭოს (the Economic Stabilization Board and the Foreign Exchange Control Board) გაუქმებით, MITI-მა მოიპოვა ყველა იმპორტის რეგულირების შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის სტაბილიზაციის საბჭოში MITI უკვე დომინირებდა, ასიდა/იოშიდას მთავრობებმა (the Ashida/Yoshida Governments) იგი გარდაქმნეს ეკონომიკური განხილვის სააგენტოს (the Economic Deliberation Agency) მარტივ „სააზროვნო რეზერვუარად (ცენტრად)" ("think tank"), არსებითად MITI-ს გაუჩნდა სრული კონტროლის შესაძლებლობა იაპონიის ყველა იმპორტზე. სავალუტო ბიუჯეტზე ძალაუფლებაც აგრეთე უშუალოდ MITI- ს გადაეცა.

იაპონიის განვითარების ბანკის (the Japan Development Bank) დაარსებით, MITI-მა კერძო სექტორი, გრძელვადიანი ზრდისთვის ასევე უზრუნველყო იაფი კაპიტალით. იაპონიის განვითარების ბანკმა დაუშვა წვდომა ფისკალურ ინვესტიციებსა (the Fiscal Investment) და სასესხო გეგმებზე (the Loan Plan) (კერძო და ეროვნული დანაზოგების დიდი გაერთიანება / a massive pooling of individual and national savings). ამ დროისთვის, FILP-ი აკონტროლებდა მსოფლიოში უდიდესი კომერციული ბანკის ოთხჯერ მეტ დანაზოგებს. ამ ფინანსური სიძლიერით FILP-მა შეძლო შეენარჩუნებინა იაპონიის სამშენებლო კომპანიების უჩვეულოდ მაღალი რაოდენობა (ორჯერ მეტი სამშენებლო კომპანია, ვიდრე სხვა მსგავსი მშპ-ის მქონე ქვეყანაში).

დასკვნა

მეორე მსოფლიო ომში იაპონია ძლიერ დაზიანდა. მიუხედავად ამისა, ქვეყნის სწრაფად აღდგენის უნარიანობამ, „იაპონური ეკონომიკური სასწაულით" მაინც გააოცა მაშინდელი მსოფლიო. მთლიანობაში, ომისშემდგომი პერიოდის განმავლობაში, მთელ მსოფლიოში შეინიშნება გარკვეული ინდუსტრიული ზრდა იმ ქვეყნებში, რომლებმაც განიცადეს სამრეწველო წარმოების მკვეთრი ვარდნა ომით მიყენებული ზიანის გამო. მაგალითად, იაპონიამ, დასავლეთ გერმანიამ და იტალიამ, მიაღწიეს უკიდურესად სწრაფ (ეკონომიკურ) აღდგენას. იაპონიაში, 1946 წელს სამრეწველო წარმოება, ომამდელ პერიოდთან შედარებით შემცირდა 27.6%-ით , მაგრამ აღდგა 1951 წელს და 1960 წელს 350% -ს მიაღწია.[**14**]

რეკონსტრუქციის (აღდგენის) პერიოდში და 1973 წლის ნავთობის კრიზისამდე, იაპონიამ შეძლო დაემთავრებინა თავისი ინდუსტრიალიზაციის პროცესი, ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებითა და მოხმარების მნიშვნელოვანი ზრდით. 1955 წლიდან 1970 წლამდე, ურბანული ოჯახების საშუალო ყოველთვიური მოხმარება გაორმაგდა.[**15**] გარდა ამისა, შეიცვალა იაპონიაში მოხმარების პროპორციებიც. შემცირდა ყოველდღიური საჭიროებები ისეთ სასაქონლო ერთეულებზე, როგორიცაა საკვები, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. ამის საპირისპიროდ, გაიზარდა ავეჯის, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო და სამკითხველო (წიგნები, ჟურნალ-გაზეთები) საშუალებების მოხმარება. ხარჯვითმა წილმა მკვეთრად იმატა აგრეთვე დასვენებისა და გართობის აქტივობებში. მოხმარების დიდმა ზრდამ ხელი შეუწყო მშპ-ს ზრდას, რადგან ის წარმოადგენდა სტიმულს წარმოებისათვის.

იაპონიის ფინანსური გაჯანსაღება გაგრძელდა SCAP-ის წასვლისა და კორეის ომით წარმოქმნილი ეკონომიკური ბუმის შენელების შემდეგაც. იაპონიის ეკონომიკა გადაურჩა ღრმა რეცესიას, რაც გამოწვეული იყო ა.შ.შ.-იდან სამხედრო შესყიდვების დანაკარგით და აგრძელებდა რენტაბელურ დი-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ნამიკას. 1960-იანი წლების ბოლოს იაპონია აღდგა მეორე მსოფლიო ომის ფერფლიდან, რათა მიეღწია გასაოცრად სწრაფი და სრულყოფილი ეკონომიკური აღმავლობისთვის. ნოქს კოლეჯის (Knox College) პროფესორის მიკისო ჰანე (Mikiso Hane), ამ პერიოდის ფენომენს აღწერს ხატოვნად: „აყვავების (კეთილდღეობის) უდიდესი წლები იაპონიამ იხილა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მზის ქალღმერთი (Sun Goddes) ჩაიკეტა ქვის კარის მიღმა, მისივე ძმის, სუსანო-ო-ს (Susano-o) მცდარი საქციელის გასაპროტესტებლად".[16] ქვეყნის მთავრობამ ხელი შეუწყო ომისშემდგომი იაპონიის ეკონომიკურ სასწაულს, კერძო სექტორის ზრდის სტიმულირებით. პირველ რიგში, შემოღებული იქნა ინსტიტუციური რეგულაციები და პროტექციონიზმი, რითაც ეფექტურად მოხდა ეკონომიკურ კრიზისებთან გამკლავება, ხოლო მოგვიანებით, ქვეყანა ვაჭრობის გაფართოებაზე ორიენტირდა.

REFERENCES:

1. Japanese economic miracle, From Wikipedia, the free encyclopedia
2. Liu, Haoyuan. " 日德战后经济奇迹 (Japanese and Germany Postwar Economic Miracle)". Finance World.
3. Nakamura, Takafusa (1981). «3: Rapid Growth». The Postwar Japanese Economy: Its Development and Structure (book). trans. Jacqueline Kaninski. Tokyo: University of Tokyo Press. p. 56
4. "Ranking of the World's Richest Countries by GDP (1967) – Classora Knowledge Base". en.classora.com. Retrieved 8 December 2017.
5. Nanto, Dick Kazuyuki (1976). The United States' role in the postwar economic recovery of Japan. Massachusetts: Harvard University Press. p. 258.
6. Organisation for Economic Co-operation and Development (1972). The industrial policy of Japan. Paris. p. 45.
7. Macnaughtan, Helen (2005). Women, work and the Japanese economic miracle : the case of the cotton textile industry, 1945–1975. New York: Routledge Curzon. p. 11.
8. "朝鲜战争影响下的日本经济（Japanese Economy Under the Influence of Korean War". 百度文库.
9. The Oriental Economist (1967). Japan Economic Year Book. p. 23.
10. Thomas, Vladimir (5 March 2017). the world transformed 1945 to the present (second ed.). Michael H.hunt. p. 211.
11. Johnson, Chalmers (1982). MITI and the Japanese Miracle: The Growth of Industrial Policy, 1925-1975. Stanford University Press. p. 211.
12. Business Intercommunications Inc. (1973). White Papers on Japanese Economy, 1973. p. 16.
13. Business Intercommunications Inc (1978). White Paper on Japanese Economy, 1978. p. 96.
14. Ichiro, Nakayama (1964). Industrialization of Japan. Tokyo. p. 7.
15. Jump up to: a b Yamamura (1987). The Political Economy of Japan. Stanford: Stanford University Press. p. 102
16. Hane, Mikiso. Eastern Phoenix: Japan Since 1945. Boulder: Westview Press, 1996.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

FOR THE ISSUE OF UNEMPLOYMENT AND EMPLOYMENT

Jamlet Janjghava,
Prof.Georgian Technical University**,** Prof. Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of social and political sciences , Prof.Georgian National University (Seu)
E.mail: jamlet@i.ua, **Cell:** 577 55 33 92

Sofiko Guledani,
PhD student at Iv. Javakhishvili, Tbilisi State University, Faculty of Economics and business

DOI suffix: 10.36962/NEC62-6303-04202155

ABSTRACT

One of the major problems of a market economy is unemployment, when a large part of the employable population cannot find work, becomes "redundant" and, as a rule, they form a reserve army of the unemployed.

Losing a job is one of the most frustrating events in a person's life. Most people rely on their own income to maintain a standard of living. At the same time, people receive not only income from labor, but also get a sense of personal perfection.

Losing a job means lowering your standard of living, worrying about the future, losing self-esteem. Therefore, it is not surprising that politicians in the process of fighting for a seat often talk about how their proposed policies will help create new jobs and tackle unemployment problems. Raising this issue is important today, when Georgia's unemployment rate has reached a historic high and Georgians are trying to sell their votes in the elections for 20-50 GEL. Unbelievable things were happening during the last election: bribery, threats, blackmail, physical or moral terror - these were the hallmarks of the last election. Why? The main reason for this is of course poverty and hardship, which is a result of the unemployment in the country.

The following main types of unemployment are distinguished: frictional, structural and cyclical unemployment, although there are other types (forms) of unemployment that exist in the modern economy.

The essence of frictional, structural, cyclical, seasonal, regional, hidden, demographic, institutional, voluntary and suspended unemployment and socio-economic consequences are explained through statistics.

As for the employment problem. It has been shown that in modern Georgia, as time goes on, the share of the employed population in the labor force is decreasing more and more. In 2007, 321,3 thousand people were employed in the public sector, while 1,256 1 thousand of our citizens were employed in the non-governmental sector. Recently, the number of employees in the public sector has greatly increased, however, by 2020 the number of employees in the non-governmental sector has decreased to 947,1 thousand. The answer is clear: the private sector does not create jobs.

It is also interesting to find employment by economic activity, for example: agriculture, forestry and fish farming had 202 thousand employees in 2020, while these data in 2017 were 246 thousand.

The number of people employed in wholesale and retail trade, repair of cars and motorcycles has increased. E.g. In 2017, their number was 174 thousand employees, and in 2020 this number increased to 188 thousand.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

All this shows that we are a nation mainly employed in the field of trade and not a producing nation. The number of car and motorcycle mechanics has greatly increased. This shows that mostly our citizens are buying old, depreciated cars and motorcycles, that need major repairs.

In addition, the number of employees in the field of transport and warehousing has positive dynamics. In 2017, 70,1 thousand people were employed here, and in 2020, their number increased to 79,2 thousand.

Employment in economic activities, various sectors of the economy, rural and urban employment in different age groups are shown, as well as the number of self-employed.

Keywords: *Unemployment, employed, market economy, income, economic activities, unemployment problems.*

უმუშევრობისა და დასაქმების საკითხისათვის

ჯამლეტ ჯანჯღავა,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის, (სეუ)პროფესორი
ელ.ფოსტა: jamlet@i.ua,
მობ: 577 55 33 92

სოფიკო გულედანი,
თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

ანოტაცია

საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა- უმუშევრობა, რომლის დროს შრომი უნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ პოულობს სამუშაოს, იქცევა „ზედმეტ“ მოსახლეობად და როგორც წესი ისინი ქმნიან უმუშევართა სარეზერვო არმიას. სამუშაო ადგილის დაკარგვა ერთ-ერთი ყველაზე უსიამოვნო მოვლენაა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში. ადამიანი უმრავლესობა საკუთარი შრომით შემოსავლებზე ამყარებს ცხოვრების დონის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ იმედებს. ამასთან, ადამიანები შრომისაგან არა მხოლოდ შემოსავალს, არამედ არამედ პიროვნული სრულყოფილების გრძნობასაც იღებენ.

სამუშაო ადგილის დაკარგვა ცხოვრების დონის შემცირებას, მომავალზე წუხილს, საკუთარი თავის პატივისცემის დაკარგვას ნიშნავს ამიტომაც არ გვიკვირს, რომ პოლიტიკოსები სავარძლისადმი ბრძოლის პროცესში ხშირად საუბრობენ, თუ როგორ შეუწყობს ხელს, მათ მიერ შემოთავაზებული პოლიტიკა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და უმუშევრობის პრობლების დაძლევას.

ამ საკითხის წამოწევა მნიშვნელოვანის დღეს, როცა საქართველომ უმუშევრობის დონემ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და ქართველი ყველა გზებით ცდილობას 20-50 ლარად გაყიდოს თავისი ხმა არჩევნებზე. წარმუდგენელი რამ ხდებოდა ბოლო არჩევნებზე. მოსყიდვა, მუქარა, შანტაჟი, ფიზიკური თუ მორალური ტერორი - ეს იყო ბოლო არჩევნების დამახასიათებელი თვისება.რა იყო ეს- ამის ძირითადი მიზეზი- რა თქმა უნდა სიღარიბე და გაჭირვებაა, რომელიც არის შედეგი უმუშევრობისა, რომელიც ქვეყანაში არის.

გამოყოფენ უმუშევრობის შემდეგ ძირითად სახეებს, ესენია: ფრიქციული, სტრუქტურული და ციკლური იმუშევრობა, თუმცა არსებობს უმუშევრობის სხვა სახეები (ფორმები), რომლებიც არსებობენენ თანამედროვე ეკონომიკაში.

ამის მერე, სტატისტიკური მონაცემების მეშვეობით, განმარტებულია ფრიქციული, სტრუქტურული, ციკლური, სეზონური, რეგიონალური, ფარული, დემოგრაფიული, ინსტუტუციონალური, ნებაყოფილეებითი და შეჩერებული უმუშევროვის არსი და სოციალურ -ეკონომიკური შედეგები.

რაც შეეხება, დასაქმებია პრობლემას. ნაჩვენები რომ, თანამედროვე საქართველოში რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო მცირდება დასაქმებული მოსახლეობის ხვედრითი წილი სამუშაო ძალაში 2007 წელს სახელმწიფო სექტორში დასაქმებული იყო 321,3 ათასი ადამიანი, ხოლო არასახელმწიფო სექტორში დასაქმებული იყო 1,2561 ათასი ჩვენი მოქალაქე. იმ დროს როცა სახელმწიფო სექტორში, ბოლო პერიოდში

ძალიან გაიზარდა მოსამსახურეთა რიცხვი. 2020 წ. 947,1 ათასამდე შემცირდა არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ოდენობა.პასუხი არის ცალსახად, ჩვენთან კერძო სექტორი არ ქმნის სამუშაო ადგილებს.

ასე საინტერესოა, დასაქმება ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით მაგ: სოფლის, სატყეო და თევზის მეორნეობაში 2020 წელს იყო 202 ათასი დასაქმებული, როცა ეს მონაცები 2017 წელს 246 ათასი იყო . გაზრდილია საბითუმო და საცალო ვაჭრობის, ავტომობილებისა და მოტოციკლეტების რემონტზე დასაქმებული ადამიანების რიცხვი. მაგ. 2017 წელს მათი რაოდენობა იყო 174 ათასი დასაქმებული, ხოლო 2020 წელს ეს რიცხვი 188 ათასამდე გაიზარდა. ყოველივე ეს აჩვენებს, რომ ჩვენ ვართ ძირითადში ვაჭრობის სფეროში დასაქმებული ერი და არა მწარმოებელი ერი. ძალიან არის გაზრდილი ავტომანქანების და მოტოციკლეტების ხელოსნების რიცხვი, ეს აჩვენებს იმას, რომ ძირითადში ჩვენ მოქალაქეები ყიდულობენ ძველ, ამორტიზირებულ მანქანებს და მოტოციკლებს, რომლებიც საჭიროებენ სერიოზულ რემონტს.

ასევე, დადებითი დინამიკა აქვს ტრანსპორტის და დასაწყობების სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობას. 2017 წელს აქ დასაქმებული იყო 70,1 ათასი ადამიანი, ხოლო 2020 წელს მათი რიცხვი 79,2 ათასამდე გაიზარდა.

ასევე, მოცემული დასაქმების მონაცემები ეკონომიკის სხვა დარგებში. ასევე ნაჩვებებია დასაქმება ეკონომიკური საქმიამობის, ეკონომიკის სხვადასხვა დარგების, სქესობრივ ჭრილში დასაქმება, სოფლად და ქალაქად დასაქმება, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. ასევე, მოცემულია თვითდასაქმებულთა რაოდენობა.

საკვანძო სიტყვები: *უმუშევრობა, დასაქმებული, საბაზრო ეკონომიკა, შემოსავალი, ეკონომიკური საქმიანობა, უმუშევრობის პრობლემა.*

შესავალი

საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლებაა უმუშევრობა, რომლის დროს შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ პოულობს სამუშაოს, იქცევა «ზედმეტ» მოქალაქედ და როგორც წესი, ქმნის უმუშევართა სარეზერვო არმიას.

სამუშაო ადგილის დაკარგვა ერთ-ერთი ყველაზე უსიამოვნო მოვლენაა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში. მოსახლეობის უმრავლესობა საკუთარი შრომით მიღებულ შემოსავლებზე ამყარებს ცხოვრების დონის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ იმედებს. ამასთან დასაქმებული ადამიანი, არა მხოლოდ შემოსავალს იღებს,არამედ თავს პიროვნულადაც სრულყოფილად გრძნობს.

სამუშაო ადგილის დაკარგვა ცხოვრების დონის შემცირებას, მომავალზე წუხილს, საკუთარი თავის პატივისცემის დაკარგვას ნიშნავს.ამიტომაც არ გვიკვირს, როდესაც პოლიტიკოსები «სავარძლისთვის» ბრძოლისას ხშირად საუბრობენ, თუ როგორ შეუწყობს ხელს მათ მიერ შემოთავაზებული პოლიტიკა ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და უმუშევრობის პრობლების დაძლევას.

სახელმწიფოს ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული უმუშევრობის დონე.ადამიანებს, რომლებსაც სურთ შრომა, მაგრამ ვერ შოულობენ სამუშაოს, ვერ შეაქვთ შექმნაში თავიანთი წვლილი მთლიანი შიდა პროდულტის შექმნაში. იმის მიუხედავად, უმუშევრობის გარკვეული დონის არსებობა გარდაუვალია რეალურ ეკონომიკაში, სადაც კი ათასობით ფირმა და მილიონობით მშრომელია, უმუშევრობის დონე მაინც არსებობს. ასე რომ, რაც უფრო მეტადაა მოსახლეობა დასაქმებული ამა თუ ქვეყანაში, მით უფრო მეტია ამ ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტი და მით უფრო მეტადაა განვითარებული სახელმწიფო.

ამ საკითხის განხილვა მნიშვნელოვანია დღეს, როცა საქართველოში უმუშევრობის დონემ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და ქართველი ყველა გზით ცდილობს 20-50 ლარად გაყიდოს თავისი ხმა არჩევნებზე. წარმოუდგენელი რამ ხდებოდა ბოლო არჩევნებზე.მოსყიდვა, მუქარა, შანტაჟი, ფიზიკური თუ მორალური ტერორი - ეს ყველაფერი იყო ბოლო არჩევნებისთვის დამახასიათებელი სიტუაცია. ამის ძირითადი მიზეზი, რა თქმა უნდა სიღარიბე და გაჭირვებაა, რომელიც არის შედეგი ქვეყანაში არსებული უმუშევრობისა.

ამ სტატიაში ჩვენ სტატისტიკური მაჩვენებლებით შევეცდებით მიმოვიხილით, რა ხდება ამ მიმართულებით საქართველოში, როგორია უმუშევრობა და დასაქმების დონე ჩვენს ქვეყანაში.

როგორც ვთქვით, უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის თანხმლები სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა. უმუშევრობის პირობებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნაწილი ვერ იყენებს თავის

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

სამუშაო ძალას. შრომის ბაზარზე დარღვეულია მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობა. ამიტომ იქმნება სამუშაო ძალის სიჭარბე.

გამოყოფენ უმუშევრობის შემდეგ ძირითად სახეებს, ესენია: ფრიქციული, სტრუქტურული და ციკლური და სხვა სახის უმუშევრობას. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ფრიქციული უმუშევრობა – ეს არის უმუშევრობა, რომელიც წარმოიშობა მომუშავის ერთი სამუშაო ადგილიდან მეორეზე გადასვლისას, რომელიც ძირითადში არის ნებაყოფილებითი პროცესი და განპირობებულია რამდენიმე მიზეზით:

1. **ახალი სამუშაო ადგილის ძიებით;** (რომელიც არის უფრო შემოსავლიანი);
2. **მომხიბლავი ახალი სამუშაო პირობებით ;**
3. **ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით;**
4. **ოჯახური მდგომარეობის შეცვლით;**

თანამედროვე საქართველოში,საბედნიეროდ, მომრავლდა ისეთი შემთხვევები,როცა ახლად შექმნილი ოჯახები უარს ამბობენ არსებულ სამუშაოზე და ახალ სამუშაოს ირჩევენ, რომელიც უფრო მომხიბლავია,რაც იძლევა ვაკანტური ადგილების სწორად განსაზღვრის საშუალებას. სწორი ინფორმაციის მიღების შემდეგ ისინი ნებაყოფილებით ტოვებენ არსებულ სამუშაო ადგილებს.

რაც შეეხება სტრუქტურულ უმუშევრობას, იგი არის არანებაყოფლობითი ფორმით და ძირითადად მიმდინარეობს, მაშინ, როცა დასაქმებული ვერ პასუხობს კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და სამუშაოდან თავისუფლდება უშუალოდ ორგანიზაციის ხელმძღვანელების მიერ. ასეთ დროს დასაქმებულს ეუბნებიან, რომ იგი ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს და ამის გამო დაითხოვეს სამსახურიდან. აქვე ამატებენ, რომ შესაბამისი კვალიფკაციის ამაღლების შემდეგ დააბრუნებენ სამსახურში. მაგ. როცა საქართველო გადავიდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე და შემოვიდა კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამები, ძალიან ბევრი მოქმედი,საბჭოთა კავშირის დროინდელი ბუღალტერი, ახალი რეალობის გამო, გაათავისუფლეს სამსახურიდან. განსაკურთებით უმუშევართა რაოდენობა გაიზარდა იმ ობიექტებში, რომელთა პრივატიზება თავის დროზე კანონის დარღვევით განხორციელდა, არ შენარჩუნდა სავალდებულო, საწარმოს პროფილი. ამის შედეგად კი მუშაკები მასობრივად დაითხოვეს სამსახურებიდან.

ციკლური უმუშევრობა კი გამოწვეულია უმუშევრობის გადახრით მისი ბუნებრივი დონიდან. ცნობილია, რომ უმუშევრობის ბუნებროვი დონე კი არის ის დონე, რომელიც ბუნებაში არსებობს და იგი ბოლო მონაცემებით შეადგენს 4-5.5 პროცენტს. ციკლის ეს სტადია ხასიათდება ერთობლივი დანახარჯების დაბალი დონით, როცა საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა მცირდება, მნიშვნელოვნად ეცემა წარმოებისა და დასაქმების დონე, იზრდება დასაქმებულთა გამოთავისუფლების მასშტაბები, შესაბამისად, უმუშევრობის დონე მკვეთრად იზრდება.

გარდა ამისა, საქართველოში არსებობს სეზონური უმუშევრობა მრავალ დარგში (მაგ. სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა, მშენებლობა) სხვადასხვა მიზეზის გამო წარმოება არის სეზონური. მაგალითად, ტურიზმის სფეროში მომუშავე ადამიანების დიდი ნაწილი დასაქმებულია ზაფხულში, ხოლო სხვა სეზონზე სამუშაო თითქმის არ აქვს. იგივე შეიძლება ითქვას შემოდგომაზე, როცა სასოფლო-სამეურმეო სამუშაოებზე მოქალაქეები არიან დასაქმებულნი, ხოლო სხვა პერიოდში ისინი რჩებიან სამუშაო ადგილის გარეშე.

აგრეთვე, არსებობს რეგიონალური უმუშევრობა. არცთუ იშვიათად ადგილი აქვს ქვეყნის ცალკეული რეგიონების მიხედვით სპეციფიკური, ბენებრივი-ეკონომიკური პირობების (მცირე მიწიანობის, სამუშაო ადგილების უკმარისობა და ა.შ). მაგ. ასეთი რეგიონებს განეკუთვნება: რაჭა- ლეჩხუმი, სვანეთი, მთიანი აჭარა და სხვა. თუმცა, ეს პრობლემა ნაწილობრივ გადაწყდა სვანეთში, როცა გაიხსნა სამთო -სათხილამურო კურორტი.

ასევე ბუნებაში არსებობს ფარული უმუშევრობა. მისი არსი ისეთია, რომ ეკონომიკური კრიზისის დროს, ნაწილობრივი დატვირთვით ფუნქციონირებს საწარმოები. ასეთ დროს საწარმოები კი არ ათავისუფლებენ მუშაკებს,არამედ გადაჰყავთ ისინი არასრულ სამუშაო რეჟიმზე ან უშვებენ უხელფასო შვებულებაში.ისინ ამით ფორმალურად კვლავ რჩებიან დასაქმებულებად, თუმცა ისინი,ფაქტობრივად,უმუშევრები არიან.

ბუნებაში ასევე არსებობს დემოგრაფიული უმუშევრობა უნდა ვთქვათ ის, რომ ამ ფორმის უმუშევრობა საქართველოს დიდი ხნის განმავლობაში არ ემუქრება, რადგან უახლოეს პერიოდში შეუძლებელია ჩვენს ქვეყანაში მოხდეს დემოგრაფიული აფეთქება და მოსახლეობის ბუნებრივი მატება.

დემოგრაფიული უმუშევრობის დროს ძალიან მაღალია მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება არსებული სამუშაო ძალის რაოდენობას. მოკლედ, რომ ვთქვათ

მოსახლეობის რაოდენობა და სამუშაო ადგილების რაოდენობა არის დაუბალანსებელი მაგ. დემოგრაფიული უმუშევრობის კლასიკური ნიმუში არის სახელმწიფო მიანვარი (იგივე ბირმა) ამ ქვეყანაში თავის დროზე მოხდა დემოგრაფიული აფეთქება, ძალიან მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნის მოსახლობა, ხოლო ეკონომიკა მოუმზადებელი იყო ამ სიტუაციისათვის, რამაც გამოიწვია უმუშევრობის ზრდა.

ასევე, არსებობს ინსტიტუციონალური უმუშევრობა. იგი დაკავშირებულია სამუშაო ძალის მოუქნელ მუშაობასთან. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ადგილები არის, მოსახლეობას ეს ინფორმაცია არ მიეწოდება და სამუშაო ადგილები აუთვისებელია.

არსებობს ასევე, ნებაყოფილებითი უმუშევრობა როცა სხვადასხვა გარემოების გამო, თავისი ფიზიკური წყობის, არაშრომითი შემოსავლის გამო, ადამიანებს არ სურთ ჰქონდეთ რეგულარული სამუშაო. სახელმწიფო კანონებზე დაყრდნობით, ზედმეტ მოსახლეობად თუ ზედმეტ მოქალაქედ არიან მიჩნეულები. შეჩერებული უმუშევრების კატეგორიას მიეკუთვნებიან ის ადამიანები, რომლებსაც დაკარგული აქვთ მუდმივი სამუშაო, შეგუებულნი არიან არსებულ მდგომარეობას და ასრულებენ არარეგულირებად სამუშაოს და სჯერდებიან მიზერულ ანაზღაურებას.

ზოგადად უმუშევრობა განიხილება როგორც უმწვავესი, სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, მისი დონე მეტწილად ასახავს სახელმწიფოების განვითარების ხარისხს. ამ პროცესს საზოგადოებისთვის მოაქვს საკმაოდ ნეგატიური შედეგი, ცალკეული ქვეყნების სოციალურ- ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

უმუშევრობის ყველაზე ნეგატიური შედეგი არის მთლიანი შიდა პროდუქტის შედარებით დაბალი დონის მოცულობა, როცა მოსახლეობის დიდ ნაწილს ვერ შეაქვს თავისი წვლილ საქონლისა და მომსახურების დოვლათის შექმნაში.

უმუშევრობა თავის ნეგატიურ კვალს ტოვებს ისეთ სოციალურ ფენომენში, როგორიც არის დანაშაული, თავისი ყველანაირი გამოვლინებებით: ყაჩაღობა, ქურდობა, ძარცვა, ძალადობა ოჯახური კონფლიქტები. არცთუ მარტივადაა საქმე ოჯახური ღალატის მიმართულებით. უმრავლეს შემთხვევაში ოჯახის ერთი -ერთი წევრი სამუშაოდ მიდის სხვა რეგიონში ან სხვა ქვეყანაში და არცთუ იშვიადად ქმნის ახალ ოჯახს, რაც მთავარია, ბავშვები წლობით რჩებიან მშობლების ყურადღებისა და მზრუნველობის გარეშე.

ერთი-ერთი ნეგატიური მოვლენა უმუშევრობისა არის ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული ვითარება. ასეთ დროს, ძალიან მცირდება ქორწინება, იზრდება განქორწინებების რიცხვი, რომელიც მოსახლეობის რიცხოვნობას თავის დაღს ასვამს.

უმუშევრობა უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ბოლო პერიოდში ძალიან არის მომატებული სისხლის მომოქცევის სისტემის, გულის, ენდოკრინოლოგიური დაავადებები, რომლებიც დაკავშირებულია ნერვულ დაძაბულობასა და არასრულფასოვან კვებასთან. ეს ყველაფერი არის უმუშევრობისა და არასრულფასოვანი ცხოვრების წესით გამოწვეული. ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი ბოლო 25 -30 წლის განმავლობაში ექიმთან არ არიან ნამყოფი, ისინი უმუშევრები და შესაბამისად სოციალური პრობლემის წინაშე არიან.

ბოლოს უნდა აღვნიშნო სრულიად ახლა ფენომენი, რომელიც ახლახან აღმოცენდა საქართველოში- ეს არის საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული უმსგავსოება- მოსყიდვა, შანტაჟი, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა, რომელიც უკავშირდება ძირითადად სიღარებესა და უმუშევრობას.

ასევე, ისიც უნდა ითქვას, რომ უმუშევრობასაც აქვს რამდენიმე დადებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტორიც, ესენია:

1. არსებობს მუდმივი კონკურენცია მომუშვეთა შორის.
2. არსებობს შრომის მწარმოებლობის სტიმულირების მომენტები.
3. დასაქმებულთა სოციალური სტატუსის იზრდება.

- ამრიგად, განვიხილეთ უმუშევრობის არსი, მისი სახეები და წარმოქმნის მიზეზები. იმის მიუხედავად გრძელვადიანია თუ მოკლევადიანია უმუშევრობა, იგი მაინც თამაშობს ნეგატიურ როლს ქვეყნის ეკონომიკურად განვითარების საქმეში,თუმცა მასაც კი გააჩნია დადებითი მომენტები, რომლებიც გამოიხატება იმით, რომუმუშევრობა ქმნის გარკვეულ რეზერვებსა და ზრდის მომუშავეთა კონკურენციას.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმუშევრობა იყო და არის განვითარებადი ქვეყნებისთვის, მისი აღორძინებისთვის უმთავრეს პრობლემა. მეტი სიცხადისათვის უნდა მოვიყვანოთ საქართველოს მაგალითი. უმუშევრობის დონე 2010 წელს იყო 27,2 პროცენტი, რომელიც 2012 წელს უმნიშვნელოდ შემცირდა და შეადგინა 26.7 %, 2020 წელს მიაღწია 18.5 პროცენტს. ეს ყველაფერი უკავშირდება კო-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ვიდ პანდემიას. მთელი მსოფლიო იყო ჩაკეტილი და მოსახლეობა ვერ მიდიოდა საზღვარგარეთ, ვერც ევროკავშირის ქვეყნებსა და ვერც ა.შ.შ-ში.

ძალიან საინტერესოა უმუშევრობის მონაცემები გენდერულ ჭრილში.2012 წელს კაცების 25 % იყო უმუშევარი, ეს მაჩვენებელი შემცირდა 2016 წელს 17,6 % -მდე, ხოლო 2020 წელს შეადგინა 16,2 %. რაც შეეხება, ქალებს, 2010 წელს იყო 28,9 %, ხოლო 2020 წელს ეს მონაცები შემცირდა და შეადგინა 20,2 %.

ძალიან საინტერესოა, როგორ ნაწილდება ეს მონაცემები ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის. 2010 წელს სამუშაო ძალის 29,8 % იყო უმუშევარი ქალაქში. ეს მონაცემი დაეცა 2020 წელს და შეადგინა 20,3 %. რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას, უმუშევრებში მათი წილი იყო 23,3 %, ხოლო 2020 წელს კი -15,8 %. უმუშევრობის დონე სოფლად 5 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე ქალაქებში. ის ფაქტი, რომ დიდ ქალაქებში თვითდასაქმულთა დიდი ნაკადია,ამ დროს ისინი სოფელში რომ დასაქმებულიყვნენ, ეს სხვაობა კიდევ უფრო მეტი იქნებოდა. ჩვენ არ ვუტყდებით საკუთარ თავს, რომ ვართ აგრარული მეურნეობის, მიწათმოქმედი ქვეყანა.

საინტერესოა უმუშევრობის მონაცემები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. 20-24 წლის ახალგაზრდებში ეს მონაცემი შეადგენს 38,3 %, ხოლო 25 -29 ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდები უფრო მეტად პოულობენ სამსახურს. 2020 წელს უმუშევარი იყო 23,2 %.ასევე დიდია 35-39 წლის ახალგაზრდების ხვედრითი წილი დაუსაქმებელ ადამიანებში. 2020 წელს ის შეადგენდა 20,8 პროცენტს.

საქართველოს საბაზრ ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად დასაქმების ზრდა და უმუშევრობის დონის შემცირება წარმოადგენს, რაც შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ზოგადად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში კერძო სექტორის შემდგომი განვითარება და ზრდა უმუშევრობის შემცირების ყველაზე ეფექტიანი მექანიზმია. ამასთან, უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად.

ჩვენ განვიხილეთ, უმუშევრობის არსი და მისი სოციალურ ეკონომიკური შედეგები. ახლა ასევე საინტერესოა, დასაქმის არსი და რა ხდება ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში. უნდა ითქვას, რომ მოსახლეობა ბუნებაში იყოფა აქტიურ და პასიურ მოსახლეობად. შრომის საერთაშორისო ბიუროს თანახმად, აქტიური მოსახლეობას მოიცავს ანაზღაურებად სამუშაოს მქონე პირების დასაქმების დონეს.არსებობს უმუშევრობის განსაზღვრის სამი გზა: 1. როგორც ფიქსირებული მოსახლეობის აქტიური პირებისა და ფიქსირებული კატეგორიის მთლიანი მოსახლეობის თანაფარდობა; 2. როგორც სამუშაო მქონე აქტიური მოსახლეობისა და მთლიანი მოსახლეობის თანაფარდობა; 3. როგორც სამუშაოს მქონე პირებისა და აქტიური მოსახლეობის თანაფარდობა. თუ პირველი თანაფარდობა არის არის 50 %, ეს იმის ნიშნავს, რომ მოცემულ ქვეყანაში აქტიურ მოსახლეობას შედგენს 50 %-ი.თუ მეორე თანაფარდობა არის 45%-ი, მაშინ სამუშაოს მქონე პირთა რაოდენობა არის მთლიანი მოსახლეობის 45 %-ი. მესამე თანაფარდობა თუ, ვთქვათ, არის 95 %, მაშინ ყოველ 100 შრომისუნარიანი პირიდან დასაქმებულია 95 პირი, ანუ უმუშევრობის დონე არის 5 %. საინტერესოა, საქართველოში დასაქმებულთა განაწილების პროცესი საკუთრების ფორმების მიხედვით.

2007 წელს სახელმწიფო სექტორში დასაქმებული იყო 321,3 ათასი ადამიანი, ხოლო არასახელმწიფო სექტორში — 1,2561 ათასი ჩვენი მოქალაქე. იმ დროს, როცა სახელმწიფო სექტორში ბოლო პერიოდში ძალიან გაიზარდა მოსამსახურეთა რიცხვი, 2020 წ. 947,1 ათასამდე შემცირდა არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა. პასუხი არის ცალსახა, ჩვენთან კერძო სექტორი არ ქმნის სამუშაო ადგილებს.

ასევე, საინტერესოა დასაქმება ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით. მაგ. სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში 2020 წელს იყო 202 ათასი დასაქმებული, როცა ეს მონაცები 2017 წელს 246 ათასია.

გაზრდილია საბითუმო და საცალო ვაჭრობის, ავტომობილებისა და მოტოციკლეტების შემკეთებელთა რაოდენობა. მაგ, 2017 წელს ამ სფეროში დასაქმებული იყო 174 ათასი ადამიანი, ხოლო 2020 წელს ეს რიცხვი 188 ათასამდე გაიზარდა. ყოველივე ეს აჩვენებს, რომ ჩვენ ვართ ძირითადში ვაჭრობის სფეროში დასაქმებული ერი და არა მწარმოებელი.როგორც ვხედავთ, ძალიან არის გაზრდილი ავტომანქანებისა და მოტოციკლეტების ხელოსნების რიცხვი. ეს აჩვენებს იმას, რომ ძირითადში ჩვენი მოქალაქეები ყიდულობენ ძველ, ამორტიზებულ მანქანებს, რომლებიც საჭიროებს სერიოზულ რემონტს.

ასევე დადებითი დინამიკა აქვს ტრანსპორტისა და და საწყობების სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობას. 2017 წელს აქ დასაქმებული იყო 70,1 ათასი ადამიანი, ხოლო 2020 წელს მათი რიცხვი 79,2

ათასამდე გაიზარდა.

ასევე, გაზრდილია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ადამიანების დასაქმების რიცხვი. თუმცა ეს ციფრები არის არასწორი, რადგან ამ სფეროში დიდია იმ ადამიანების წილი, რომლებიც არ არიან სათანადო ორგანოებში რეგისტრირებულნი და უკანონოდ არიან დასაქმებულნი.

ეკონომიკის სფეროში, დარგების მიხედვით, დასაქმებული 1241,8 ადამიანიდან 83,3 ათასი არის მენეჯერის პოზიციაზე, ტექნიკოსებისა და დამხმარე სპეციალისტის პოზიციაზე დასაქმებულია ყველაზე მეტი 217,7 ათასი ადამიანი, ასევე საკმაოდ ბევრია მომსახურებისა და გაყიდვის სფეროებში დასაქმებული პირები, ხოლო სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში- ყველაზე მეტი 221, 4 ათასი ადამიანი. რაც შეეხება ხელოსნებსა და მონათესავე სფეროს მუშაკების რაოდენობა — 93,4.

დასაქმებულებიდან 26, 2% არის ქალი, ხოლო მამაკაცი- 36, 4% ქალაქში არაფორმალურად არის დასაქმებული 30,2 %, ხოლო სოფლად — მოსახლეობის 35,6 %. მნიშვნელოვანია სამუშაო ძალის მაჩვენებლების გენდერის მიხედვით, სულ დასაქმებულია 15 და მეტი წლის დაახლოებით 1 მილიონ 620 ათასი ადამიანი, რომელთაგან დასაქმებული- 566 ათასი, დაქირავებული- 440 ათასი, თვიდასაქმებული -145 ათასი, ხოლო უმუშევარი -150 ათასი ადამიანი. მოკლედ, დასაქმების დონე ქალებისა არის 35 პროცენტი, ხოლო რაც შეეხება მამაკაცებს, იგივე მაჩვენებელი გამოიყურება შემდეგნაირად: 15 წელს გადაცილებულ მოსახლოებაში დასაქმებულია მილიონ 420 ათასი ადამიანი. ეკონომიკურად აქტიური სამუშაო ძალა არის 720 ათასი, დასაქმებულია 609 ათასი, თვითდასაქმებულია დაახლოებით 140 ათასი, ხოლო უმუშევარია 111 ათასი. საბოლოოდ, დასაქმების დონე მამაკაცებში არის 50 პროცენტი.

ასევე, საინტერესოა დასაქმების მაჩვენებლები ქალაქებისა და სოფლების მიხედვით. ქალაქებში იყო დასაქმებული (15 და მეტი წლის) 1 774,2 ადამიანი. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა კი არის 946 ათასი, რომელთაგან 718,2 ათასი ადამიანი არის დასაქმებული, გაურკვეველი ადამიანების რიცხვი შეადგენს 0.8 ადამიანს, ხოლო უმუშევართა რაოდენობა არის 227,8. აქტიურად მოქმედი სამუშაო ძალა არის 55,2 %, ხოლო დასაქმების დონე არის 41.9 %.

რაც შეეეხება, სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას, 2021 წელს იგი შეადგენდა 1317,9 ადამიანს, მათ შორის ეკონომიკურად აქტიური არის 1317,9 ათასი.

მათ შორის ქვეყანაში ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას შეადგენს 496.5 ათასი ადამიანი, ხოლო დაქირავებით დასაქმებული არის 238,6 ათასი, ხოლო თვითდასაქმებული- 257,6 ათასი.

დასკვნა

აღსანიშნავია, რომ გაურკვეველი ფორმით არის დასაქმებულები 0.2 ათასი ადამიანი. უმუშევრობის დონე სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში არის 19 %, ხოლო დასაქმების დონე — 37.7 %. აქვე მინდა აღვნიშნო, როგორც ქალაქად ასევე სოფლად, ჩემის აზრით, ძალზე შემცირებულია იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც არიან თვითდასაქმებული. მაგალთად, რეპეტიტორების, მუსიკის მასწავლებლების, ე.წ «მაკლერები», ძიძების ნაწილი არ არის რეგისტრირებული სათანადო ორგანოებში და შესაბამისად არ არიან გადასახადის გადამხდელები. ჩვენ შევეცადეთ სტატისტიკური მასალების გამოყენებით გვეჩვენებინა ბოლო 15 წლის განმავლობაში, როგორ მცირდებოდა დასაქმებულებისა და იზრდებოდა უმუშევრობის რიცხოვნობა. ამ სიტუაციაში ყველაზე შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ სულ იზრდება ემიგრაციაში წასული ჩვენი თანამემამულეების რიცხვი, რომელთა დიდი ნაწილი სამომავლოდ სავარაუოდ არ დაბრუნდება საქართველოში.

REFERENCES:

1. Gregory Menkiu, Principles of Economics, Tbilisi, 2008
2. Prof. leo chikava, concise course of economic theory, Tbilisi 2008
3. kakhniashvili jemal. MAKROEKONOMICS, siaxle,Tbilisi, 1996
4. Prof.parmen lemonjaba, prof.anzor abralava, dani, principles of Economics tb.2009
5. Applied economics. Marisi.tbilisi.1997
6. Statistical materials. National Statistics Office., Employment and Unemployment. 2021.
7. Tamta Shvangiradze, Unemployment in the Footsteps of Georgia's Employment Policy.
8. Avaliable from: https://cutt.ly/2IkSe0H (Accessed 17 of November 2021).
9. Karchava, L., 2014. Again about the investment environment in Georgia Or what kind of investor do we need?/ისევ საინვესტიციო გარემოს შესახებ საქართველოში ანუ როგორი ინვესტორი გვჭირდება? The New Economist, 9(3, 2014), pp.1-1.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

IMPACT OF THE COVID-19 PANDEMIC ON PUBLIC PROCUREMENT IN GEORGIA

(On the example of simplified procurement)

Ana Chagelishvili,
PhD student in Business Administration, Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
E-mail: Chagelishviliana@yahoo.com

Natia Ssurmanidze,
Prof. PhD.
Doctor of Economics, Assistant Professor Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University,
E-mail: natia.surmanidze@gttu.edu.ge

DOI suffix: 10.36962/NEC62-6303-04202162

ABSTRACT

Georgian public procurement accounts for a significant share of the country's gross domestic product each year. One of the goals of public procurement policy is to reduce the share of simplified procurement in total procurement. Crises are particularly conducive to the implementation of simplified procurement to address emergencies, which in turn carry the risk of corruption and less transparency. That is why studying the impact of the Covid-19 pandemic on simplified procurement is interesting and topical. The purpose of this paper is to study the impact of the Covid-19 pandemic on simplified procurement by 2020. The theoretical-methodological basis of the research is the analysis of official statistics, official reports, various normative acts, and the latest scientific publications. The unified electronic system of the LEPL State Procurement Agency is used to achieve certain research objectives. The findings and recommendations will be interesting and useful for any stakeholder, especially for procuring organizations.

Keywords: Covid-19 pandemic; Public procurement; Simplified procurement.

Covid-19 პანდემიის გავლენა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებზე (გამარტივებული შესყიდვების მაგალითზე)

ანა ჩაგელიშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნათია სურმანიძე
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
გურამ თავართქილაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ანოტაცია

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის მნიშვნელოვან წილს იკავებს ყოველწლიურად. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ერთ-ერთ მიზანს კი მთლიან შესყიდვებში გამარტივებული შესყიდვების წილის შემცირება წარმოადგენს. კრიზისული სიტუაციები განსაკუთრებით

უწყობს ხელს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ვითარების აღმოსაფხვრელად გამარტივებული შესყიდვების განხორციელებას, რომლებიც თავის მხრივ კორუფციისა და ნაკლები გამჭვირვალობის რისკს შეიცავს. სწორედ ამიტომ Covid-19 პანდემიის გავლენის შესწავლა გამარტივებულ შესყიდვებზე საინტერესო და აქტუალურია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს Covid-19 პანდემიის გავლენის შესწავლა 2020 წლის განმავლობაში განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვებზე.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ოფიციალური სტატისტიკის, ოფიციალური ანგარიშების, სხვადასხვა ნორმატიული აქტებისა და უახლესი სამეცნიერო პუბლიკაციების ანალიზი. კვლევის გარკვეული ამოცანების მისაღწევად კი გამოყენებულია სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს" ერთიანი ელექტრონული სისტემა.

მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები საინტერესო და სასარგებლო იქნება ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის, განსაკუთრებით კი შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის.

საკვანძო სიტყვები: *Covid-19 პანდემია; სახელმწიფო შესყიდვები; გამარტივებული შესყიდვა.*

INTRODUCTION

The spread of the Covid-19 pandemic has affected almost every area of human activity, including public procurement. In Georgia, in this area, among other problems, there was a problem of abundance of simplified procurement before the pandemic, however, it was characterized by a declining trend and created a positive picture of the future. Urgent procurement is more important when considering simplified procurement, and in the latter - emergency procurement in further agreement with the State Procurement Agency. Unlike a tender, the reluctance of a simplified public procurement stems from its simple procedure, possible irrational spending of funds, non-transparency, risk of corruption, or other threats. That is why one of the goals of public procurement policy is to reduce the share of simplified procurement in total procurement, which is characterized by an increasing trend after the spread of the Covid-19 pandemic. It should be noted that in the early stages of the pandemic, there was a cessation[1] of tendering procedures by procuring entities and an increase in simplified procurement instead to address the urgent situation (Sisoshvili G., 2020) (IDFI, 2020).

METHODOLOGY

The main objective of this research is to analyze the impact of the Covid-19 pandemic on simplified procurement by 2020. To achieve abovementioned objective, the research proceeds through a qualitative approach with a systematic literature, official statistical information and reports, various normative acts review. To get some of information the unified electronic public procurement system was used as a research platform and official statistical information was obtained from the 2020 annual report of the State Procurement Agency.

The findings and recommendations will be interesting and useful for any stakeholder, especially for state procuring organizations.

OFFICIAL STATISTICS AND ANALYSIS RELATED TO SIMPLIFIED PROCUREMENT

Confirmation of the start of the active fight against the Covid-19 pandemic in Georgia was the approval of the Government of Georgia Decree N164 of January 28, 2020 "Operational Response Plan for New Coronavirus Diseases". The mentioned act determined the procurement of services/goods necessary for the provision of the planned measures to be carried out by the procuring organizations as a matter of urgency and/or through the simplified procurement in accordance with Article 101, Paragraph 3, Subparagraph "d"[2] of the Law of Georgia on State Procurement. As a result of the deteriorating epidemic situation in the country, the list of objects to be procured through urgent necessity and/or simplified procurement in accordance with Article 101, Paragraph 3, Subparagraph (d) of the Law of Georgia on State Procurement has been further increased. It should also be noted that according to Article 18, Paragraph 10 of the "Rules of Isolation and Quarantine" approved by the Resolution of the Government of Georgia 23 322 of May 23, 2020, the buyers were given the right to purchase the necessary

1 Which is mainly due to the long deadlines set by law for tender procedures.
2 Uninterrupted conduct of events of state and public importance for a limited period of time

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



Diagram №1. Simplified Procurement (State Procurement Agency 2020 Activity Report, 2021, p: 11)



Diagram №2. Distribution of bids submitted in the e-Procurement System Simplified Procurement Agreement e-module on the basis of the application (State Procurement Agency 2020 Activity Report, 2021, p: 50)

services/goods for the implementation of a number of medical measures and/or " Pursuant to Article 101, Paragraph 3, Subparagraph "d" of the Law of Georgia on State Procurement, through simplified procurement with the consent of the State Procurement Agency. With the issuance of these acts, it was already clear that there would be an increase in both quantitative and monetary procurement. In 2020, 5,158,143,556 GEL was procured in Georgia, which is equal to 10.4% of GDP. The share of simplified procurement from this amount is GEL 1,070,086,317, of which more than half comes from agricultural subsidies issued by the state, various medical equipment, and pharmaceutical products purchased in the process of dealing with the pandemic, as well as public procurement in compliance with the monetary[3] threshold. (See Diagram №1) (State Procurement Agency 2020 Activity Report, 2021).

By 2020, the volume of simplified procurement accounted for 21% of the total, which is 3% higher than in 2019. (State Procurement Agency 2020 Activity Report, 2021). According to the 2020 activity report published by the State Procurement Agency in 2021, 5,756 applications for simplified procurement were submitted to the State Procurement Agency in 2020 through the SMP module, and their distribution according to the grounds is as follows: (see Diagram № 2) Urgency - 2,837 announcements, exclusive - 936 announcements, quality deterioration - 104 announcements, smooth running of the event for a limited time - 245 announcements, agreement after urgent purchase - 1,634 announcements. (State Procurement Agency 2020 Activity Report, 2021)

It is noteworthy that out of 5,752 out of 5,756 applications submitted through the SMP module, 91% were approved, 368 applications were rejected by the purchaser, 143 applications were considered, and 23 applications were rejected. (See Diagram №3) (State Procurement Agency 2020 Activity Report, 2021).

CONCLUSIONS AND RECOMMENDATIONS

As official public procurement statistics show, the share of simplified procurement in total procurement

3 State procurement of homogeneous objects worth up to 5,000 GEL is meant.

Diagram №3. Detailed statistics of bids submitted in the e-procurement simplified e-procurement agreement e-module (State Procurement Agency 2020 Activity Report, 2021, p: 51)

Basis of purchase	Access	Rejection	Not discussed	Back requested	Total
An urgent need	2, 521	19	83	214	2, 837
Exclusive authority	866	2	25	43	936
Hold the event smoothly for a limited time	215	-	3	27	245
Avoid quality deterioration	75	2	8	19	104
Agreement with urgent need after purchase	1, 545	-	24	65	1, 634
Total	5, 222	23	143	368	5, 756

has been declining over the years, however, the spread of the pandemic has changed the picture and by 2020, simplified procurement has already increased by 3% compared to 2019. It is logically expected that in 2021 there will also be an increased rate. While the increase in the share of simplified procurement in total procurement is not a positive result, the benefits that this procurement has brought in the fight against the Covid-19 pandemic are also noteworthy. It is through these simplified procurements that the epidemiological situation in the country has been dealt with and managed. It should be noted that with the increase in the number of simplified procurements, the number of approvals issued by the State Procurement Agency also increased (91%) in 2020, which is well above the 2019 figure (86%). As a recommendation, given the unpredictability and uncontrollability of the Covid-19 pandemic, as well as the priority of its management, it is necessary for procurement organizations to consider the issue of rational spending and transparency of funds. As for the annual procurement planning, it should be implemented properly, for which the issue of reducing the number of simplified procurements is of great importance.

REFERENCES:

1. IDFI, Simplified purchases related to Covid-19, 2020. Retrieved from: https://idfi.ge/ge/procurement_%20related_to_covid_19

2. On approval of isolation and quarantine rules, 2020. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4877009?publication=134

3. On the approval of the measures to prevent the possible spread of the new coronavirus in Georgia and the plan of operative response to the cases of the disease caused by the new coronavirus, 2020. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4821121?publication=89

4. Sisoshvili G, Problems caused by the pandemic in public procurement in Georgia, Globalization and Business, 2020, # 10, p. 278-286. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.038

5. State Procurement Agency, 2019 activity report, 2020.

6. State Procurement Agency, 2020 Activity Report, 2021.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ECOLOGY - "WORLD THROUGH A SMALL WINDOW"

Lali Oqrotsvaridze,
კავკასიის საერთაშორის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
E-mail: lali.okrotsvaridze@ciu.edu.ge

Avtandil Oqrotsvaridze,
კავკასიის საერთაშორის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
E-mail: Avtandil.okrotsvaridze@ciu.edu.ge

DOI suffix: 10.36962/NEC62-6303-04202166

ABSTRACT

The relationship between nature and society is inconceivable without the contradictions that inevitably arise and exist during the period of coexistence between them. The history of their common existence is the unity of two tendencies. First, with the development of society and its fertile forces, man's domination of nature is constantly and rapidly expanding and expanding, which is already evident today on a planetary scale. And secondly, contradictions and unscrupulous attitudes towards human nature are constantly deepening. Nature, in spite of the innumerable diversity of its components, is one whole. That is why the influence of a person on certain parts of an outwardly submissive and peaceful nature is simultaneous (against the will of man), on all its components. The consequences of this relationship are sometimes unpredictable. Deficiencies at the general level of culture, and the neglect of the laws and characteristics of the living world by generations, are unfortunately a harsh reality today. Bitter evidence of how stubbornly unwilling a person is to learn from their mistakes can be: misuse of forests, areas of land that have become unsuitable for agricultural use as a result of improper irrigation; Air - which is particularly dangerous to human health as a result of pollution - damages vital organs and so on. There are many examples to prove all this.

ეკოლოგია - „სამყარო მცირე სარკმლიდან"

ლალი ოქროცვარიძე,
კავკასიის საერთაშორის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ელ.ფოსტა:lali.okrotsvaridze@ciu.edu.ge
ავთანდილ ოქროცვარიძე,
კავკასიის საერთაშორის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ელ.ფოსტა: Avtandil.okrotsvaridze@ciu.edu.ge

ანოტაცია

ბუნებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა წარმოუდგენელია იმ წინააღმდეგობათა გარეშე, რომლებიც აუცილებლად წარმოიქმნება და არსებობს მათ შორის თანაარსებობის პერიოდში. მათი ერთობლივი არსებობის ისტორია ორი ტენდენციის ერთიანობაა. ჯერ ერთი, საზოგადოებისა და მისი ნაყოფიერი ძალების განვითარებით, კაცის ბატონობა ბუნებაზე მუდმივად და სწრაფად იზრდება-ფართოვდება, რაც დღეს უკვე აშკარაა პლანეტარული მასშტაბით. და მეორეც, წინააღმდეგობები და არაკეთილსინდისიერი

დამოკიდებულება ადამიანისა ბუნებაზე მუდმივად ღრმავდება. ბუნება, მიუხედავად მისი კომპონენტების უთვალავი მრავალფეროვნებისა, არის ერთი მთლიანობა. სწორედ ამიტომაც, პიროვნების გავლენა გარეგნულად დამორჩილებულ და მშვიდობიანი ხასიათის გარკვეულ ნაწილებზე, არის ერთდროული (ადამიანის ნების მიუხედავად), მის ყველა კომპონენტზე. შედეგები ამ ურთიერთობისა ზოგჯერ არაპროგნოზირებადია. ხარვეზები კულტურის ზოგად დონეზე, და თაობათა მიერ ცოცხალი სამყაროს კანონებისა და მახასიათებლების უგულებელყოფა სამწუხაროდ, დღეს მძიმე რეალობაა. მწარე მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როგორ ჯიუტად არ სურს ადამიანს საკუთარ შეცდომებზე სწავლა, შეიძლება იყოს: ტყეების არასწორი გამოყენება, მიწის ფართობები, რომლთა არასწორი მორწყვის შედეგად უვარგისი გახდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით; ჰაერი - რომელიც დაბინძურების შედეგად განსაკუთრებით საშიშია ადამიანების ჯანმრთელობისათვის - აზიანებს რა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოებს და ა.შ. მრავალი მაგალითი არსებობს ამ ყველაფრის დასამტკიცებლად.

საკვანძო სიტყვები: *ეკოლოგია, ადამიანის დამოკიდებულება ბუნებაზე.*

შესავალი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დაახლოებით 9 მილიონი ადამიანი - ანუ მსოფლიოში ექვსიდან ერთი ადამიანი - ჯერ კიდევ 2015 წელს გარდაიცვალა არაჯანსაღ პირობებში ცხოვრების ან მუშაობის გამო, რომ აღარაფერი ვთქვათ საკვებზე. აღმოჩნდა, რომ შიდსით, ტუბერკულოზით და მალარიით დაავადებულთა სიკვდილიანობას სამჯერ და 15-ჯერ ომებსა და სხვა სახის ძალადობრივ სიკვდილს გადააჭარბა, გარემოს დაბინძურებით გამოწვეულმა სიკვდილიანობამ. (7)

ჰაერის დაბინძურებით ყოველწლიურად 7 მლნ ადამიანი იღუპება. მსოფლიოში მცხოვრები 6 მილიარდი ადამინიდან მესამედი ბავშვები არიან, რომლთა ჯანმრთელობასაც საფრთხე ექმნება სწორედ დაბინძურებული გარემოს და კერძოდ ჰაერის გამო.

ამის მიზეზებს კი ძირითადად ელექტროენერგიის გამომუშავება, სამრეწველო პროცესები, სამთო მოპოვებითი და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, ნარჩენების მართვა და სატრანსპორტო საშუალებები წარმოადგენს.(1)

მსოფლიოში არსებულ სტანდარტებთან შედარებით 6-ჯერ უფრო მეტად არის დაბინძურებული ჰაერი., რომელსაც ერთ წლამდე ასაკის 17 მილიონი ბავშვი სუნთქავს.

„ამის შესახებ ნათქვამია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ახალ ანგარიშში. მისი ავტორები ხაზს უსვამენ, რომ ჰაერის ხარისხის გაუარესებას სერიოზული შედეგები აქვს ბავშვების ჯანმრთელობაზე. ტოქსიკური ჰაერი უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ტვინის განვითარებაზე. ჰაერის გადაჭარბებული დაბინძურება ასევე იწვევს სერიოზულ რესპირატორულ და კიბოს დაავადებებს მცირეწლოვან ბავშვებში.„(2)

ამ მხრივ არც საქართველო იყო სახარბიელო მდგომარეობაში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) 2012 წლის მონაცემებით, ის მეორე ადგილს იკავებდა მსოფლიოში ჩრდილოეთ კორეის შემდეგ, 100 000 მოსახლეზე ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობის თვალსაზრისით. (3)

დღეს კი ეს ციფრები გადაფარა ვირუსით გამოწვეულმა სიკვდილიანობამ, რომელმაც მთელი მსოფლიო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. და მერწმუნეთ , რომ არა ასეთი ფონი დაავადებებისა, ვირუსი ასე დიდ ზიანს არ მიაყენებდა საზოგადოებას.

ამასთან, გარემოს დეგრადაცია სერიოზულად აისახება ზოგადად ცხოვრების ხარისხზე და დედამიწის ეკოსისტემის წონასწორობაზე, ტყეების, ღია სივრცეების, საზღვაო გარემოსა და ბიომრავალფეროვნების დაკარგვის გამო.

ადამიანის არაკეთილსინდისიერი ჩარევა დღეს გარემოში უარყოფითი ხდება როგორც ბუნებისთვის, ისე საზოგადოებისათვის, რადგან მისი შედეგები პროდუქტიული ძალების განვითარების მაღალი დონის გამო, ხშირად უკვე გლობალური ხასიათისაა და იწვევს გლობალურ გარემოსდაცვით პრობლემებს. ტერმინი "ეკოლოგია", რომელიც პირველად გამოიყენა გერმანელმა ბიოლოგმა ე. ჰეკელმა 1866 წელს, ეხება ცოცხალ ორგანიზმებსა და გარემოს შორის ურთიერთობის მეცნიერებას. მეცნიერი თვლიდა, რომ ახალი მეცნიერება მხოლოდ ცხოველების და მცენარეების ურთიერთობასთან იქნებოდა დაკავშირებული.

თავდაპირველად, ტერმინი „ეკოლოგია" გულისხმობდა დისციპლინას, რომელიც სწავლობდა ფიქსირებული ეკოსისტემების ევოლუციას. ახლაც კი, ზოგადად ეკოლოგიის კურსებში მთავარ ადგილს იკავებს ძირითადად ბიოლოგიური ხასიათის პრობლემები. ის უკიდურესად ვიწრო საგნის შინაარსს

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

გულისხმობს. ამასთან, თავად ცხოვრება მნიშვნელოვნად აფართოებს ეკოლოგიის პრობლემების გადაჭრის სპექტრს.

ინდუსტრიულმა რევოლუციამ, რომელიც მე–18 საუკუნეში დაიწყო ევროპაში, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ბუნებასა და ადამიანს შორის ურთიერთობაში. ამ დროისათვის ადამიანი, ისევე როგორც სხვა ცოცხალი არსებები, იყო მისი ეკოსისტემის ბუნებრივი კომპონენტი, მოთავსებული მის სქემებში და ცხოვრობდა მისი კანონების შესაბამისად.

ნეოლითის რევოლუციის დროიდან, ანუ იმ დროიდან, როდესაც სოფლის მეურნეობა იქნა გამოგონილი, შემდეგ კი მესაქონლეობა, კაცობრიობასა და ბუნებას შორის ურთიერთობა თვისობრივად შეიცვალა. ადამიანის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა თანდათანობით ქმნის ხელოვნურ ეკოსისტემებს, ე.წ აგროგენოზებს, რომლებიც ცხოვრობენ საკუთარი კანონების შესაბამისად: მათი შენარჩუნებისთვის ისინი საჭიროებენ მუდმივ მიზანმიმართულ შრომას. ადამიანის ჩარევის გარეშე, ისინი ვერ იარსებებენ. ადამიანს უფრო და უფრო მეტი მინერალები გამოაქვს „დედამიწის ნაწლავებიდან". მისი საქმიანობის შედეგად, ბუნებაში ნივთიერებების მიმოქცევის დარღვევა იწყება, იცვლება გარემოს ბუნება. იზრდება მოსახლეობის რაოდენობა და პარალელურად იზრდება ადამიანის მოთხოვნილებები, აქედან გამომდინარე შესაბამისად უფრო და უფრო იცვლება გარემოს თვისებებიც.

კაცობრიობას კი ახალი საზრუნავი შეემატა, ადამიანთა სიცოცხლის დაცვა ეკოლოგიური თვალსაზრისით, რომელიც არა მარტო გარე ფაქტორებში გამოიხატა, არამედ თვით ადამიანთა სიცოცხლე დადგა საფრთხის ქვეშ. განსაკუთრებით აქტუალური ხდება ბუნებისა და ადამიანის ურთიერთქმედების პრობლემა. ეკოლოგიური საკითხების მოგვარება არის ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური გლობალური პრობლემა. არსებითად, კაცობრიობის გადარჩენა დედამიწაზე დამოკიდებულია მის სწრაფ და წარმატებულ გადაწყვეტაზე.

დიახ, ამ სახის პრობლემების არსებობამ საზოგადოება დააფიქრა, რა უფრო მნიშვნელოვანია მათთვის, ძვირფასი ადგილების, დიდი სახელმწიფოების აგლომერაციების შუაგულში მოხვედრა თუ, ადამიანებისაგან დაუზიანებელი, ხელუხლებელი, ეკოლოგიურად სუფთა ადგილების მონახულება. თუ ადრე ამ საკითხებს ყურადღებას არ აქცევდნენ, დღეს თითოეული ტურისტი დაინტერესებულია მოხვდეს არა რადიაციული, შავი ღრუბლებით დაფარულ და ადამიანის სიცოცხლისთვის საშიშ ტერიტორიაზე (თუმცა ბოლო დროს ამ ადგილებსაც გამოუჩნდა მსურველები), არამედ ისეთ ადგილებზე სადაც ისინი სულიერ და ფიზიკურ კომფორტს მიიღებენ, ანუ მათ ძალიან კარგად იციან სად და რატომ მიდიან.

ტურისტული კუთხით თუ მივუდგებით ამ საკითხებს, მაშინ ადვილი მისახვედრია, რომ ტურისტული ნაკადების ზრდამ, ანუ ადამიანთა მიგრაციის ზრდამ, უფრო დაამძიმა ეკოლოგიური პრობლემები. რატომღაც როდესაც ტურიზმზე ვსაუბრობთ, ყოველთვის ვფიქრობთ მის დადებით მხარეებზე, იმ ეკონომიკურ შემოსავალზე, რომელიც საკმაოდ მიმზიდველია. სწორედ ამიტომ, არავინ ფიქრობს იმ უარყოფით შედეგებზე, რომელიც შეიძლება დადგეს ამ სფეროს განვითარებით ჯერ ქვეყნის წინაშე, შემდეგ კი კაცობრიობის წინაშეც კი.

სერიოზულ რისკს წარმოადგენს ტურისტების ყოფნა ისეთ ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ არ არის შექმნილი საჭირო პირობები და შეუსაბამო ინფრასტრუქტურაა. ეს საკმაოდ უარყოფით გავლენას ახდენს არა მარტო ადგილობრივ გარემოზე, არამედ თვით ტურისტების მოზიდვაზეც.

ბოლო პერიოდში covid-19 არსებობამ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი გამოკვეთა (ამ დროს მნიშვნელოვნად შეიზღუდა ადამიანთა გადაადგილება, გაჩერდა მთელი რიგი საწარმოები და ა.შ.). როდესაც დაიწერა, რომ ვენეციაში საცხოვრებელ სახლებთან თევზები გამოჩნდნენ, როდესაც დაიწერა, რომ ყინულის დნობა შემცირდა, როდესაც დაიწერა, რომ ინდუსტრიული ქალაქების თავზე ნისლი აღარ არის და ა.შ.

დღეს მაინც, ნათლად უნდა გვესმოდეს, რომ ბუნებას ტურიზმისგან დაცვა სჭირდება. ხშირად ეს უარყოფითი შედეგები და დისბალანსი ძალიან გვიან ვლინდება. წარმოიქმნება ისეთი შეუქცევადი პროცესები, რომლებიც შემდეგ ან ძალიან რთულად გამოსასწორებელია ან საერთოდ მუდმივ პრობლემად რჩება.

აქედან გამომდინარე სარბიელზე გამოვიდა ტურიზმის კიდევ რამდენიმე სახეობა: სოფლის ტურიზმი, აგროტურიზმი, მწვანე ტურიზმი, ეკოტურიზმი და სხვა. თითოეული მათგანის დანიშნულებაა, რომ დამსვენებელმა მიიღოს მაქსიმალური სიამოვნება, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების გარეშე. თითოეულ ეკოტურისტს გათვითცნობიერებული აქვს გარემოსადმი თავისი პასუხისმგებლობა, მათ მინიმუმამდე დაჰყავთ ველურ ბუნებაზე

ეკოლოგიური და სხვა სახის ზემოქმედების შედეგები და ამასთანავე ერთად აუმჯობესებენ ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობას.

ეკოტურისტთა სიმრავლემ სხვა საკითხებიც დააყენა დღის წესრიგში, მაგალითად მათ სჭირდებოდათ ადგილობრივ გარემოსთან შეთანაწყობილი კვება, ანუ ეკოლოგიურად სუფთა საკვებზე მაქვს საუბარი, ასეც არის, ეკო ტურისტები მიილტვიან სწორედ ისეთ რაიონებში, სადაც ნაკლებად არის დაბინძურებული გარემო, სადაც სუფთა ჰაერი, ლამაზი მცენარეები, მოჭიკჭიკე ჩიტები და მოფარფატე პეპლებით არის მოფენილი მინდვრები, სადაც ცივილიზაციის მარწუხებში ჯერ კიდევ არ არის მოქცეული არსებული გარემო.

ასეთი ადგილები საბედნიეროდ პლანეტაზე ჯერ

კიდევ მრავლად არსებობს. ამიტომაც ამ ადგილების პირველადი (ენდემური) სახით შენაჩუნების მიზნით შემუშავებული იქნა ისეთი მიდგომები, როგორიცაა ტურისტული ბილიკების: საფეხმავლო , საცხენოსნო თუ ველობილიკების შექმნა.

მსოფლიოში დიდი ხანია მსჯელობენ და ცდილობენ გამოასწორონ ათეული წლების წინ დაშვებული შეცდომები, ევროპის ქვეყნებში მწვანე საფარმა დიდი ხანია უკან დაიწია, თუმცა ასეთი მდგომარეობა მხოლოდ ევროპისთვის არ არის

დამახასიათებელი, ის მრავალი ინდუსტრიული ქალაქისა და თვით რეგიონის პრობლემაა დღეს. ამ პრობლემის გადასაჭრელად მსოფლიო დაირაზმა, მაგალითის მოსაყვანად სინგაპურიც კმარა. აი ის მცირე ჩამონათვალი რაც სინგაპურში გაკეთდა ბოლო პერიოდში:

სინგაპურის ერთ-ერთმა ყველაზე მიმზიდველმა ადგილმა Gardens by the Bay-მ, რომელიც მოიცავს სამ განსხვავებულ სივრცეს, მსოფლიო საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა უნიკალური ოაზისით, მწვანე სივრცეებით, ყვავილის გუმბათებით, შუშის სათბურებით, ატრაქციონებით, სუპერ-ხეებში ჩაშენებული სხვადასხვა ტექნოლოგიებით. აქ წარმოდგენილია კლიმატ-კონტროლის მქონე ყველაზე დიდი სათბურები მსოფლიოში. (4)

მას არ ჩამოუვარდება 27-სართულიანი, სასტუმრო Oasia Hotel Downtown, რომლის გარე ფასადი ბუნებრივი ვაზითაა "შეფუთული". განსაკუთრებულ ეფექტს ქმნის ოთხი აყვავებული ტერასა, 1,793 საყვავილე ყუთით. ეს ულამაზესი მწვანეში ჩაფლული კოშკი მედიდურად გადაყურებს შენობებს, თითქოს ეუბნება მათ მომბაძეთ, ნახეთ რა მწვანე და ბუნებრივი ვარო. (5)

სასტუმრო **Parkroyal on Pickering**-ში მზის პანელები, სინათლის დამზოგავი ტექნოლოგიები,

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

წყლის შემნახველი და წვიმის სენსორებია ჩაშენებული. მისი ტერასები მცენარეებითა და მოედნებითაა სავსე. ბაღები, ჩანჩქერები საყვავილე კედლები დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე. (6)

სინგაპურში შევხვდებით მწვანე სახურავიან შენობებს, ცათამბჯენებს, რომელებიც სტანდარტულ კომერციულ შენობებთან შედარებით 35%-ით ნაკლებ ენერგიას მოიხმარენ, ხოლო ლიფტების მიერ გამოყოფილი კინეტიკური ენერგია ელექტრულ ენერგიად გარდაიქმნება და სისტემაში გადანაწილდება, ასევე, წყლისა და ორთქლის წვეთებს საჰაერო განყოფილებებიდან აგროვებენ და მწვანე საფარის მოსარწყავად იყენებენ.

ეს არის ქვეყანა, სადაც ინოვაციურ ტექნოლოგიას მიზანმიმართულად და დიდი გულისყურით უდგებიან.

ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა დღეს, მაგრამ როდესღაც ხომ უნდა გაკეთდეს? ჩვენ ბოლოს და ბოლოს მივალთ დასკვნამდე, რომ თუ ჩვენ არ ვიქნებით, თუ მომავალი არ გვექნება, საერთოდ ღირს კი ცხოვრება? ან საერთოდ იარსებებს კი კაცობრიობა? უბრალოდ აზრი ეკარგება ყველაფერს.

მოდით გავხადოთ ჩვენი ცხოვრება ჯანმრთელი და უსაფრთხო, რაშიც დაგვეხმარება ეკოლოგიური სახლების, მწვანე სახლების, საოჯახო სასტუმროების მშენებლობა. მათზე, როგორც ეკოლოგიასთან ინოვაციურ მიდგომაზე ისე უნდა ვისაუბროთ. მისი ერთ-ერთი სახეობაა "მწვანე სახლი". როგორც წესი, ეს არის დაბალი ნაგებობები. მათი ჩამოთვლილი მახასიათებლების გარდა, სახურავი და ზოგჯერ მთელი სახლი მთლიანად დაფარულია ბალახით ან სხვადასხვა მწვანე მცენარეებით, რომელიც რა თქმა უნდა დაუვიწყარ სილამაზეს აძლევს. ყველა ეს ზღაპრული საცხოვრებელი თითქოს არარეალურია, როგორც მშვენიერი ოცნება. ისინი განსაკუთრებით პოპულარულია ჩრდილოეთ ამერიკაში და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში, თუმცა დღეს მათ ფართო გამოხმაურება პოვეს მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში.

საქართველოშიც დაიწყეს ეკო სახლების, მწვანე სახლების, საოჯახო სასტუმროების მშენებლობა. ეს ნიშნავს, რომ მათი მშენებლობისას არ უნდა იყოს გამოყენებული ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე მასალა. გამოყენებული უნდა იქნას ხის კარკასი, დამუშავებული დამცავი მასალით, ეკოლოგიურად სუფთა უნდა იყოს შესაფუთი მასალაც და შენობა უნდა იყოს ენერგოეფექტური. ანუ, ჯანსაღ საცხოვრებელ გარემოზე უნდა იყოს ორიენტირებული. აქ მთავარი პრინციპია: რესურსების მინიმალური მოხმარება და მინიმალური ნარჩენები. **დღეისათვის უამრავი ტექნოლოგია, მეთოდი და მასალაა შექმნილი ეკომშენებლობისათვის.** თვით გამოგონების პროცესში ინერგება ინოვაციები, რომლიც თავისთავად გულისხმობს მოსახლეობის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უზრუნველყოფას. ასეთი ნაგებობები სიახლეა საქართველოში. და საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ისინი ჯერჯერობით მცირედნი არიან.

მიუხედავად ამისა გადავწყვიტეთ ერთ მათგანზე შევჩერებულიყავით. და გვინდა წარმოვადგინოთ საოჯახო სასტუმრო „ეკოსახლი საბერო", რომელიც მდებარეობს საქართველოს ულამაზეს კუთხეში, კახეთში, ქ.ახმეტა, დასახელება საბერო, ბესიკის ქ.12 ნომერში, და რომელმაც საკმაოდ თამამი ნაბიჯი გადადგა ამ კუთხით.

ახმეტის რაიონი, თავისი ადგილმდებარეობით, ისტორიული ძეგლებით, ფლორით, ფაუნით, დაცული ტერიტორიებით, ნაკრძალებით, ძალიან მიმზიდველია როგორც უცხოელ, ისე ქართველ მოგზაურთათვის. სასტუმროში მოსულ სტუმარს აქვს შესაძლებლობა მოინახულოს ალავერდის ტაძარი, ციხე-ქალაქი კვეტერა, ცხრაკარა და ა.შ. ესტუმროს ბაწარის, ბაბანეურის ნაკრძალებს, თუშეთის დაცულ ტერიტორიებს.

სასტუმროს დამფუძნებელია ქალბატონი ციცინო ბაინდურაშვილი, რომელიც სპეციალობით არის ინჟინერი, თუმცა აქვს საკმაოდ დიდი გამოცდილება კერძო წარმოების დაარსება-გაძღოლის საქმეში. საოჯახო სასტუმრო „ეკოსახლი საბერო" 2018 წელს დაარსდა. მას აქვს 5 საძინებელი, საერთო სარგებლობის ფართო სივრცე, კეთილმოწყობილი სასადილო

დარბაზი, ბუხარი, რომელიც აშენებული და მოპირკეთებულია ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო მასალით, გამოყენებულია ეკლარის ქვა, ხე, რაც დიდ მოწონებას იმსახურებს სტუმრებში. თვითონ სასტუმროც მდებარეობს ეკოლოგიურად სუფთა ადგილზე, მდინარე ორვილის მარჯვენა სანაპიროზე, შემაღლებულ ბორცვზე შერეული ტყის მიმდებარედ, საუკეთესო ხედით კავკასიონისა და ალაზნის ველზე, აქვს დიდი დატერასებული ლამაზი ეზო, აუზით, სპორტული მოედნით, ყვავილების ბაღით, მანქანების სადგომით, მომსახურე პერსონალით და სრულიად ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით.

სახელწოდებაც ადგილმდებარეობიდან გამომდინარეობს, და სახელსაც ამართლებს სრულიად, ამაში დარწმუნება ადვილია, თუ ერთხელ მაინც ესტუმრებით და დააგემოვნებთ აქ არსებულ კერძებს.

ტურისტული სერვისების სრულყოფის, მეტი კომფორტის შექმნის, სასტუმროს გარე სივრცეების უკეთ მოწყობის, და სტუმართათვის ქართული ტრადიციების გაცნობის მიზნით იგეგმება კვების ღია ბლოკის მოწყობა სამზარეულო სამზადით და ბუხრით, აქვეა ქართული თონეც.

ზაფხულში სტუმრებს ხშირად აქვთ სურვილი ღია ცის ქვეშ ღამის გათევის, რის გამოც უკვე მიღებულია ზომები კემპინგის მოწყობის (კარვების, საძილე ტომრების, სალაშქრო შხაპის, ბიოტუალეტის შეძენის) სპორტული მოედნის მიმდებარედ.

დარეგისტრირებული არის booking-ზე, Airbnb-ზე, აქვს საკუთარი ფეისბუქ გვერდი, Ecohouse Sabero, ამავე სახელწოდების ინტერნეტ საიტი.

როგორც ყველა სასტუმრო, ესაც ძალიან დააზარალა მსოფლიოში პანდემიის გამო არსებულმა სიტუაციამ. ცხოვრება მშვიდი, უშშფოთველი, უსიხარულო, ჟივილ-ხივილის გარეშე, უსიცოცხლო გახდა.

დასკვნა

1. პანდემიამ უარყოფითის გარდა დადებითიც მოგვიტანა. ადამიანებმა უფრო მეტი დრო დაუთმეს საჭირბოროტო საკითხების განხილვას და გამოსწორებას, უფრო მახვილი თვალით შეხედეს არსებულ სიტუაციას. მეტად დაფიქრდნენ და ჩაუღრმავდნენ იმ პრობლემებს, რომელთაც ადრე მოუცლელობით ვერ ამჩნევდნენ. და მიხვდნენ, რომ დადგა დრო მოძებნოს გზები, რომელიც ააცილებს პრობლემებს, და რომელიც უფრო მეტად დაეხმარება დახვეწოს და გაალამაზოს თავისი ბიზნესი.

2. ეს სტაგნაციის პერიოდი შანსს აძლევს ადამიანს გამოასწოროს შეცდომები რაც გარემოს დაზიანებასთან არის დაკავშირებული. ანუ ეს კარგი პერიოდია ახალი მიდგომების დანერგვის, ახალი პროგრამების განხორციელების, ანუ გარემოსთან დასამეგობრებელი პერიოდია. ადამიანმა არასოდეს არ უნდა დაყაროს ფარ-ხმალი და ის მზად უნდა იყოს წუთისოფლის მიერ ბოძებული თითოეული საათი, წუთი, წამი გამოიყენოს.

3. დიახ, მედალიონს ორი მხარე აქვს, გააჩნია, რომელი მხრიდან მივუდგებით. ადამიანის დანიშნულებაც ხომ ესაა....დრო თავის სასარგებლოდ შემოაბრუნოს...გამოიყენოს...რადგან იმედი ყოველთვის არის და ჩვენც მსოფლიოს იმედის თვალით ვუყურებთ, იმედის თვალით ვუყურებთ მის გაჯანსაღება-გამოჯანმრთელებას.

REFERENCES:

1. https://news.un.org/ru/story/2019/03/1350211
2. https://news.un.org/ru/story/2017/12/1316992
3. https://www.who.int/gho/publications/world_health_statistics/2017/EN_WHS2017_AnnexB.pdf
4. https://www.visitsingapore.com/see-do-singapore/nature-wildlife/parks-gardens/gardens-by-the-bay/
5. https://www.archdaily.com/800878/oasia-hotel-downtown-woha
6. https://en.wikipedia.org/wiki/Parkroyal_Collection_Pickering
7. https://www.dw.com/ru/каждая-шестая-смерть-в-мире-вызвана-загрязнением-экологии/a-41044577

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

HINDERING FACTORS FOR EXPORTING GEORGIAN AGRI-FOOD PRODUCTS TO THE EU MARKET (DCFTA)

Mariam Chachua,
Georgian Technical University
PhD student in the Faculty of Law and International Relations
E-Mail: mariam.chachua@yahoo.com
Cell: +995 555 203 203

DOI suffix: 10.36962/NEC62-6303-04202172

ABSTRACT

In 2014 after signing the Association Agreement between the European Union and Georgia, a wide range of trade relations has been opened for the state of Georgia and was given the opportunity for the free trade. Chapter IV of the Agreement - "Trade and Trade-Related Issues", the agreement about Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA) includes the mechanism of economic integration with the EU and opens its internal market for Georgia. According to the agreement, if the required conditions are achieved, the world's largest market will be opened for Georgia, which currently unites 28 countries and more than the 500 million customers. Utilizing this opportunity will lead increasing investment flows in the country, the emergence of new enterprises and export products, suppling of safe and harmless products to the customers. This will ultimately have a positive impact on the country's economic growth and the development, nevertheless it is still a distant prospect.

In order to receive all the foreseen benefits of the Association Agreement, it became necessary to identify and eliminate problems in the number of areas. According to the agreement, food safety is recognized as a political priority of the European Union. Created program of legislative approximation with the EU includes the fulfillment of commitments and the deadlines, which is an ongoing process. In the years of 2015-2020, in accordance with the DCFTA agreement, 146 legal acts had been aligned with the EU legislation in the fields of food safety, veterinary and phytosanitary. Despite all these achievements, the major challenge for both the regulators and business operators still remains to be the enforcement and putting into effect the EU required standards. As the most products in the EU market are subject to harmonized rules, that protect the consumers, public health and the environment, it excludes the adoption of different national rules - the product made in Georgia must comply with the EU standards. That is why the Georgian business operators have to: introduce internationally recognized systems in the enterprise; adapt to the new regulatory environment; create a harmless, quality and competitive product; attract the European partners and be able to produce the required quantity, which may need to involve the different and modern production technologies. Therefore, it is essential to understand, that using the terms of the agreement do not completely depend on the smooth running of government agencies, as it largely depends on the personal progress of the business operators and the relevant associations.

Key words : *Economic integration with Europe, food safety, international commitment, Association Agreement.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ევროკავშირის ბაზარზე აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორები საქართველოში (DCFTA)

მარიამ ჩაჩუა,
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის, სამართლისა და საერთაშორისო,
ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი
ელ. ფოსტა: mariam.chachua@yahoo.com
ტელ.: +995 555 203 203

ანოტაცია

ევროპასთან სავაჭრო ურთიერთოებების ფართო ასპარეზი გაიხსნა მას შემდეგ, რაც 2014 წელს საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას მოაწერა ხელი და მიეცა თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა. შეთანხმების IV კარი - „ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები", ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. მოთხოვნილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქართველოს გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. ამ შესაძლებლობის გამოყენება გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას, ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას. აღნიშნული, საბოლოო ჯამში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე, თუმცა ეს ჯერჯერობით შორეული პერსპექტივაა.

ხელშეკრულების სარგებლის სრულად მიღებისა და არსებული შესაძლებლობის გამოყენებისთვის აუცილებელი გახდა რიგ სფეროებში პრობლემების გამოვლენა და აღმოფხვრა. დოკუმენტის თანახმად, სურსათის უვნებლობა ევროკავშირის პოლიტიკურ პრიორიტეტად იქნა აღიარებული. აღებული ვალდებულებების შესასრულებლად შექმნილია საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა, გაწერილია ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების ვადები - ეს არის ამჟამად მიმდინარე პროცესი. 2015-2020 წლებში, DCFTA-ის შეთანხმების ფარგლებში, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და ფიტოსანიტარიის მიმართულებით, ევროკავშირის კანონმდებლობასთან 146 სამართლებრივი აქტი დაახლოვდა, თუმცა რეგიონში არსებული ზოგადი ფონის გამო, აღსრულების ნაწილი ჯერ კიდევ დიდ გამოწვევას წარმოადგენს როგორც მაკონტროლებელი ორგანოსთვის, აგრეთვე ბიზნესოპერატორებისთვის. ვინაიდან ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის უმეტესობა ექვემდებარება ჰარმონიზებულ წესებს, რომელიც იცავს მომხმარებელს, საზოგადო ჯანმრთელობას, გარემოს და, ამავდროულად, გამორიცხავს განსხვავებული ეროვნული წესების მიღებას, საქართველოში წარმოების სტანდარტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირისას. ამიტომაც ქართველ ბიზნესოპერატორს მოუწევს: საერთაშორისოდ აღიარებული სისტემების დანერგვა საწარმოში; ახალ მარეგულირებელ გარემოსთან შეგუება; უვნებელი და ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი პროდუქტის შექმნა; ევროპელი პარტნიორების მოზიდვა და მათ მიერ მოთხოვნილი რაოდენობის წარმოება, რაც შესაძლოა წარმოების განსხვავებულ და თანამედროვე ტექნოლოგიასაც მოითხოვს. აქედან გამომდინარე, არსებითად მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ შეთანხმების პირობებით სარგებლობა არ არის დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფო უწყებების გამართულ მუშაობაზე, ვინაიდან ეს მეტწილად დამოკიდებულია ბიზნესოპერატორების და შესაბამისი ასოციაციების პირად პროგრესზე.

საკვანძო სიტყვები: *ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაცია, სურსათის უვნებლობა, საერთაშორისოდ აღებული ვალდებულება, ასოცირების შესახებ შეთანხმება.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

შესავალი

ქვეყნის საგარეო ურთიერთობების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია იგი ჩართული იყოს გლობალურ პროცესებში. ეს, მეტწილად, ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მათგან მიღებული რეკომენდაციებისა და აღებული ვალდებულებების შესრულებით. საქართველოს ევროინტეგრაციის პროგრესისთვის მნიშვნელოვანია მსოფლიო ასპარეზზე თავის დამკვიდრება და წარმატების მიღწევა პრიორიტეტულ სფეროებში. საქართველოს პროდასავლური კურსი აქვს, ამიტომ მისი საგარეო პოლიტიკის ერთ - ერთ მთავარ ამოცანას ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო, ურთიერთსასარგებლო პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება და გაღრმავება წარმოადგენს. ეკონომიკური ინტეგრაცია ევროპეიზაციის მნიშვნელოვანი ელემენტია - მომსახურების სფერო, პროდუქტის ექსპორტი და, ზოგადად, სავაჭრო ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან. ამ მიმართულებით საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, კონკრეტულად კი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება“ (DCFTA) და ამ შეთანხმების სარგებლის სრულყოფილად მიღების ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრა საქართველოს ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი სექტორის - სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის დარგში.

ევროკავშირი და, მისი ეგიდით, დონორი ორგანიზაციები მუდმივად ეხმარებიან საქართველოს სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, ფულადი კონტრიბუციისა თუ პროფესიული და ექსპერტული მხარდაჭერით დაუახლოვდეს ევროკავშირის სტანდარტებს[1]. ამ ყველაფრის მიზანია საქართველოს მთავრობის ხელშეწყობა DCFTA–ს შესრულებასა და ქვეყნის ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევაში ევროკავშირის ბაზარზე, რაც ქვეყნებს შორის საქონლისა და მომსახურების დაუბრკოლებელი მიმოცვლის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. იქედან გამომდინარე, რომ დოკუმენტში ხაზგასმულია სურსათის უვნებლობის მნიშვნელობა და მისი კონტროლის გაუმჯობესების მოთხოვნები, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების შესაძლებლობების გაძლიერებაზე, ახალ მარეგულირებელ გარემოსთან შესაგუებლად. იმის გამო, რომ ინსტრუმენტული და მარეგულირებელი რეფორმები მნიშვნელოვანია სავაჭრო და კერძო სექტორის განვითარებაში, შექმნილია საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა, გაწერილია ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების ვადები, სადაც გარდამავალი პერიოდებიც არის გათვალისწინებული. იმისათვის, რომ საქართველომ მოახერხოს ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოება, ამ სისტემაში არსებული ხარვეზების გამოსწორება უნდა მოხდეს მის ყველა საფეხურზე. არსებობს ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლის აღმოუფხვრელობაც გამოიწვევს არა მხოლოდ ამ ხელშეკრულების სარგებლის სრულად მიღების შეფერხებას, არამედ ქვეყნის საგარეო რეპუტაციასაც შეუქმნის საფრთხეს.

ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის უმეტესობა ექვემდებარება ჰარმონიზებულ წესებს, რომელიც იცავს მომხმარებელს, საზოგადო ჯანმრთელობასა და გარემოს. ჰარმონიზებული წესები გამორიცხავს განსხვავებული ეროვნული წესების მიღებას და უზრუნველყოფს პროდუქციის თავისუფალ მიმოქცევას ევროკავშირის ფარგლებში. საქართველომ უნდა მოახერხოს საკანონმდებლო ინსტუმენტის მიახლოება დათქმულ ვადაში და, რაც მთავარია, შექმნას ისეთი უსაფრთხო და ხარისხიანი პროდუქტი, რომელიც აკმაყოფილებს ევროკავშირის სტანდარტებს.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი საკითხია. ეროვნულ დონეზე სასურსათო უსაფრთხოება განიხილება, როგორც თანმიმდევრული პროგრამების ერთობლიობა, რომლის მთავარი მიზანია ქვეყნის მოსახლეობის ჯანსაღი და უვნებელი სურსათით სტაბილური მომარაგება. საერთაშორისო დონეზე კი ეს არის ქვეყანათაშორისი ვაჭრობის უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანა.

სასურსათო უსაფრთხოების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი, რაც მოსახლეობის შემოსავლების იმ დონემდე ზრდას გულისხმობს, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს სურსათზე ხელმისაწვდომობას, უზრუნველყოფილია ევროპულ

1 გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home.html
FAO-ს და EU-ს ერთობლივი „ENPARD“ პროგრამა http://enpard.ge/ge/gaeros-ganvitharebis-prog/
გაეროს საერთ. საფინანსო ინსტიტუტის IFAD -ის პროგრამა https://mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/150
ევროპის საინვესტიციო ბანკი EIB და სხვა

ბაზარზე „ევრო“ ვალუტის ღირებულების და მოსახლეობის მაღალმსყიდველუნარიანობის გამო. საქართველოს ძირითადი ამოცანაა ევროკავშირის ბაზარს მიაწოდოს მოთხოვნილი რაოდენობის უვნებელი და ხარისხიანი პროდუქტი. რამდენადაც გასახარია ის ამბავი, რომ DCFTA -ს ფარგლებში საქართველოს 500 მილიონიანი ბაზარი ეხსნება, იმდენად დიდი გამოწვევაა ეს ქვეყნისთვის. იმის მიუხედავად, რომ შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე საქართველოში წარმოშობილ საქონლის იმპორტზე ევროკავშირში საბაჟო გადასახადი გაუქმდა (გარდა ნიორისა, რომელზეც საბაჟო გადასახადი გაუქმდება ქვოტის ფარგლებში), ქვეყანამ უნდა შეძლოს ბაზარს პროდუქტის მოთხოვნილი რაოდენობა მიაწოდოს.

2019 წელს, აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტში 23%-ს შეადგენდა. ამ წლის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 888.9 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, კონკრეტულად ევროკავშირის ქვეყნებში კი - 130 მლნ აშშ დოლარის ღირებულების (15%).

2020 წლის კოვიდ პანდემიის პირობებში, არსებული სირთულეების მიუხედავად, ქვეყანაში სოფლის მეურნეობის და აგრობიზნესის წარმოების, მიწოდების და რეალიზაციის პროცესი არ შეჩერებულა. ამ წელს სულ ექსპორტირებულია 942,2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია.

რაც შეეხება მიმდინარე წელს, 2021 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით, საქართველოდან ექსპორტირებულია 774.3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია (რაც 26%-ით აღემატება 2020 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს): რუსეთი - 267.3 მლნ დოლარი, ევროკავშირის ქვეყნებში - 117.3 მლნ დოლარი, აზერბაიჯანი - 81.9 მლნ დოლარი, უკრაინა - 74.6 მლნ დოლარი და სომხეთი - 55.6 მლნ დოლარი.

სტატისტიკის მიხედვით, აგროსასურსათო პროდუქციის ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი, ევროკავშირი, აზერბაიჯანი, უკრაინა და სომხეთი. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები კი არიან: თურქეთი, რუსეთი და ჩინეთი. ფაქტია, რომ ქართული ბიზნესსექტორის წარმომადგენლები უკვე თანამშრომლობენ სხვადასხვა ქვეყნებთან, დამყარებული აქვთ სავაჭრო ურთიერთობა და გააქვთ პროდუქტი ექსპორტზე. ევროკავშირის ქვეყნებს რაც შეეხება, ექსპორტირებულ პროდუქტთა შორის წარმოებული და გადამუშავებული სურსათი რთულად თუ მოიძებნება, ვინაიდან მსგავსი ტიპის საწარმოთათვის მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება საკმაოდ რთულია ქართველი ბიზნესოპერატორებისთვის. ამიტომაც, ზოგადად, სოფლის მეურნეობის მხოლოდ რამდენიმე ისეთი პროდუქტია საერთაშორისო დონეზე კონკურენტული, როგორიცაა ღვინო, მინერალური წყლები, სპირტიანი სასმელები და თხილი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს დაფიქსირდა თაფლის რეკორდული მაჩვენებელი - 26 სექტემბრის მდგომარეობით 429 ათას აშშ დოლარს შეადგენს. მისი ექსპორტი 15 ქვეყანაში განხორციელდა, მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობით ევროკავშირის ქვეყნებში: საფრანგეთი, ბულგარეთი და გერმანია.

იმის მიუხედავად, რომ ევროკავშირი მაღალმსყიდველუნარიანია და 500 მილიონიან ბაზარს გვთავაზობს, ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს, რომლებიც უკვე პარტნიორობენ სხვა ქვეყნებთან, სავარაუდოა რომ გაუჭირდებათ უფრო მაღალი სტანდარტების გაკმაყოფილება და ახალ სავაჭრო გარემოზე მორგება. ამიტომაც, მნიშვნელოვანია ამ პროცესის მხარდაჭერა და ევროკავშირის ბაზრის უპირატესობების შესახებ ცნობიერების ამაღლება, კონტაქტებისა და პარტნიორების მოძიებისა და საერთაშორისო სისტემების ხელშეწყობა სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან. გარდა ამისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორისთვის ჯერ კიდევ დამახასიათებელია მცირემიწიანობა - დიდი რაოდენობის მცირე საოჯახო ტიპის მეურნეობები[2], ამიტომაც მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრუქტურების თანამონაწილეობის გაზრდა ადგილობრივი წარმოების განვითარების პროცესში.

მსოფლიოს მოსახლეობის ზრდასთან ერთად, სოფლის მეურნეობისა და ცხოველების წარმოების გააქტიურება და ინდუსტრიალიზაცია საკვებზე მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ქმნის როგორც შესაძლებლობებს, აგრეთვე გამოწვევებს სურსათის უვნებლობისთვის, რაც უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს სურსათის მწარმოებლებს. ურბანიზაციამ და სამომხმარებლო ჩვევების შეცვლამ, მოგზაურობის ჩათვლით, გაზარდა

2 მიწის ნაკვეთის საშუალო ზომა დაახლოებით 0.2 ჰექტარს შეადგენს.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ადამიანების რიცხვი, რომლებიც ყიდულობენ და ჭამენ საზოგადოებრივ ადგილებში მომზადებულ საკვებს. გლობალიზაციამ გამოიწვია მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნილება საკვების მრავალფეროვნებაზე, რის შედეგადაც სულ უფრო რთული და გრძელი გლობალური კვების ჯაჭვი შეიქმნა. ადგილობრივი ინციდენტები შეიძლება სწრაფად გადაიზარდოს საერთაშორისო საგანგებო სიტუაციებში პროდუქტის განაწილების სიჩქარისა და დიაპაზონის გამო. აქედან გამომდინარეობს DCFTA-ს მოთხოვნათაგან უმთავრესი - ბაზარს მიეწოდოს უვნებელი სურსათი და კვების საწარმოებში დანერგილი იყოს საერთაშორისო სტანდარტები. სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისათვის ევროკავშირში შემუშავებულია სისტემები, რომელთა საფუძველია "კარგი სასოფლო სამეურნეო პრაქტიკა" (GAP – Good Agricultural Practice), "კარგი ვეტერინარული პრაქტიკა" (GVP – Good Veterinarian Practice), "კარგი წარმოების პრაქტიკა" (GMP – Good Manufacturing Practice), "კარგი ჰიგიენის პრაქტიკა" (GHP – Good Hygienic Practice), "კარგი დისტრიბუციის პრაქტიკა" (GDP – Good Distribution Practice), " კარგი ვაჭრობის პრაქტიკა" (GTP – Good Trading Practice) და სხვა. ეს სისტემები საშუალებას აძლევს ბიზნესოპერატორს აწარმოოს და მომხმარებელს მიაწოდოს უვნებელი სურსათი. სურსათის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპს ადგენს საქართველოს სურსათისა და ცხოველის საკვების კანონმდებლობა, რომელთა მოთხოვნების შესაბამისობას და სახელმწიფო კონტროლს, წლიური პროგრამის შესაბამისად, ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო" (კონტროლს ქვეყნის საზღვარზე უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ „შემოსავლების სამსახურის" საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტი). აქედან გამომდინარე, ამ ინსტიტუტის კომპეტენციის და ბიზნესსექტორთან კომუნიკაციის გაძლიერება ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითია ევროკავშირში პროდუქტის ექსპორტისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მისაღწევად. საეჭვო ხარისხის პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე მოხვედრა დაუშვებელია, ამიტომაც ქვეყანა ვალდებულია დანერგოს მოთხოვნილი საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც არამხოლოდ ექსპორტისთვის, არამედ საქართველოს შიდა ბაზრისთვისაც ხარისხიან პროდუქტს შექმნიან. ასეთი სტანდარტია საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა, იგივე „ჰასპი" (HACCP- Hazard Analyss and Critical Control Points System) - საერთაშორისოდ აღიარებული სურსათის უვნებლობის მართვის პლატფორმა, რომელიც სურსათის წარმოების პროცესში პოტენციური საფრთხეების დადგენას, მათ პრევენციასა და აღმოფხვრას გულისხმობს. მისი პრინციპები ჯერ კიდევ 1970 წელს აშშ-ში შემუშავდა, ხოლო საქართველოში HACCP-ის სისტემის პრინციპების დაცვა 2015 წლის 1 იანვრიდან გახდა სავალდებულო ნედლი რძის გადამამუშავებელ საწარმოებსა და სასაკლაოებში. დღეისათვის, კი ევროკავშირის რეგულაციების შესაბამისად, სხვადასხვა პროფილის ბიზნესოპერატორებმა კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემა ეტაპობრივად უნდა დანერგონ, ამ პროცესის დასრულება დაგეგმილია 2023 წლისთვის.

იქედან გამომდინარე, რომ ქართველი გლეხი წლების განმავლობაში ჩვეულ ტექნოლოგიებს იყენებდა წარმოებაში, მისთვის რთული შეიძლება იყოს სიახლეების მიღება და პრაქტიკაში დანერგვა. ისეთი საერთაშორისო სტანდარტები, როგორებიცაა Global GAP, HACCP, GMP და GHP, ითვალისწინებს თანამედროვე პრაქტიკებს და მათი დანერგვა უზრუნველყოფს საწარმოთა და მეურნეობების დონის ამაღლებას, იმ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, რომელსაც ითხოვს ევროკავშირის ბაზარი. ეს არის მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელსაც უნდა გაუმკლავდეს როგორც სახელმწიფო ინსტიტუტები, ასევე კერძო სექტორიც. საფინანსო რესურსებზე წვდომის გაზრდა, მეწარმეთა დახმარება თანამედროვე სტანდარტების დანერგვაში, ცნობიერების ამაღლება და ახალი შესაძლებლობების განვითარება გამოიწვევს კონკურენტუნარიანობის გაზრდას და შექმნის გლეხის ფერმერად გარდაქმნის პრეცენდენტს.

ევროკავშირთან, როგორც მიმზიდველ, ახლომდებარე, მაღალშემოსავლიან ბაზართან აგრო ექსპორტის გაფართოების პოტენციალი არსებობს, თუმცა ამას დიდი გამოწვევა უდგას წინ. საჭიროა გაცილებით მეტი კვლევა ჩატარდეს ამ მიმართულებით, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ ევროკავშირის საკვები პროდუქტების უსაფრთხოების სტანდარტები მთავარი საკითხია. EU იყენებს სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების

(SPS) ფართო ასორტიმენტს, რათა დარწმუნდეს, რომ ევროკავშირის მომხმარებლებს უსაფრთხო საკვები პროდუქტები მიეწოდება. უფრო მეტიც, ევროკავშირში საკვების მთავარი დამმუშავებლები და სუპერმარკეტის ქსელები ნერგავენ დამატებით კერძო სტანდარტებს, რომლებიც ხშირად აჭარბებენ ევროკავშირის SPS სტანდარტებსაც კი. თხილის შემთხვევაში, შედარებით მარტივია ამ სტანდარტებთან თანხვედრა, რაც საქართველოდან თხილის ევროკავშირში ექსპორტის წარმატების ახსნის საშუალებას იძლევა (2021 წლის 26 სექტემბერის მდგომარეობით, კაკლოვანი ხილის (ძირითადად თხილი) ექსპორტი შეადგენს 65.8 მლნ აშშ დოლარს - უმსხვილესი საექსპორტო ბაზრებია იტალია და გერმანია). სხვა პროდუქტებისათვის, როგორიცაა მაგალითად ხორცპროდუქტები და რძის პროდუქტები, ეს სტანდარტები ძალიან მომთხოვნია და ევროკავშირის შიდა მწარმოებლებსთვისაც კი გამოწვევაა. გარდა იმისა, რომ აღნიშნული სტანდარტები უშუალოდ საწარმოში უნდა იყოს დანერგილი, მნიშვნელოვანია რეგიონში ვეტერინარული მდგომარეობა - გამოწვევას წარმოადგენს ზოონოზურ დაავადებებთან ბრძოლაც. იმისათვის, რომ საწარმომ უვნებელი პროდუქტი შექმნას, საჭიროა ცხოველური წარმოშობის სურსათი იყოს ჯანმრთელი. აქ მნიშვნელოვანია სახელმწიფო სასაკლაოების და ლაბორატორიის ეფექტური ბრძოლა დაავადებებთან, რასაც მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრები და დრო სჭირდება. ეს ისეთი პროცესია, სადაც საჭიროა კომპლექსური მიდგომა- „მინდვრიდან სუფრამდე", რომ მივიღოთ ჯანსაღი პროდუქტი, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს.

დასკვნა

საქართველოში ამ ეტაპისთვის დაბალია მწარმოებლურობა და სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის დონე. აგრობიზნესში მიღწეული ზრდის ტემპები საკმარისი არ არის ევროპულ ბაზარზე თავის დასამკვიდრებლად. აღნიშნული პრობლემების მიუხედავად, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ბუნებრივი და სხვა სახეობის რესურსული პოტენციალი გააჩნია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ქვეყანას შეუძლია გახდეს თვითმყოფადი აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების მხრივ და აგრობიზნესის განვითარებამ წარმოადგინოს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კომპონენტი[3]. დღევანდელ მსოფლიოში ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესები საკმაოდ სწრაფად ვითარდება, სადაც შეინიშნება სახელმწიფოების მზარდი მისწრაფება, რომ რაც შეიძლება ღრმად ჩაერთონ საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში. დღეს საქართველოსთვის ამ მხრივ პრიორიტეტულია „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)", აქედან გამომდინარე, ყველა ის სფერო, რომელიც არეგულირებს ეკონომიკას ან შეეხება ქვეყნის უნარს აწარმოოს ვაჭრობა, გარკვეულ რეფორმირებას საჭიროებს. აღნიშნული შეთანხმება საქართველოში წარმოებულ სურსათს ევროკავშირის ბაზარზე შესვლის შესაძლებლობას აძლევს, თუმცა, იმის გამო, რომ დღეისათვის ევროკავშირის კანონმდებლობა სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებით ცალსახად აყალიბებს მოთხოვნებს, რაც მომავალმა პარტნიორმა ქვეყნებმა უნდა დააკმაყოფილონ ევროკავშირის ბაზრის გარკვეულ სეგმენტზე სურსათის განთავსებისათვის, საშუალოვადიან პერსპექტივაში აუცილებელი გახდა სურსათის მარეგულირებელი სისტემის ევროკავშირის მარეგულირებელ სისტემასთან მიახლოება და ინსტიტუციური განვითარება. იმისათვის, რომ საქართველომ მოახერხოს ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოება, ამ სისტემაში არსებული ხარვეზების გამოსწორება უნდა მოხდეს მის ყველა საფეხურზე. არსებობს ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლის აღმოუფხვრელობაც გამოიწვევს არა მხოლოდ ამ ხელშეკრულების სარგებლის მიღების შეფერხებას, არამედ ქვეყნის საგარეო რეპუტაციასაც შეუქმნის საფრთხეს. საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება, ქართულ საწრმოებსა თუ ფერმებში საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, მეურნეობების განვითარება-გაფართოება, ევროპული ბაზრის უპირატესობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ბიზნესსექტორისთვის და ქვეყანაში ზოონოზურ დაავადებებთან ეფექტური ბრძოლა ის მთავარი გამოწვევებია, რომლის წინაშეც დღეს საქართველო დგას. აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა უკვე დაწყებულია ქვეყნის შესაბამისი

3 Kharaishvili E., ErkomaiSvili G., Chavleishvili. Agribusiness Development Strategy in Georgia, - ICEMBIT 2015: 17th International Conference on Economics and Marketing Management, Madrid, Spain, November 12-13, 2015.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

სამთავრობო ინსტიტუტების მიერ, ევროკავშირის ბაზარზე წვდომა კი მჭიდროდაა დაკავშირებული ამ რეფორმების დასრულებაზე. ამით საქართველო ასრულებს ერთ - ერთ მთავარ ამოცანას - ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო, ურთიერთსასარგებლო პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბებას.

REFERENCES:

1. Annual Report of the National Statistical Office of Georgia, 2020; (In Georgian)
2. "Export-import of Georgian agricultural goods", Ministry of Environment, Agriculture and Rural Agriculture of Georgia, 2019/2020; (In Georgian)
3. "Export-import of Georgian agricultural goods", Ministry of Environment, Agriculture and Peasantry of Georgia, 2021 (predominantly); (In Georgian)
4. Agreement between Georgia and the European Union and the European Union on Atomic Energy, among others, and their member states, Ministry of Foreign Affairs of Georgia, 2014; (In Georgian)
5. «Georgia and the European Union. I follow development and reform », Center for Development and Democracy, 2016; (In Georgian)
6. "Competition Policy in Georgia", Transparency International - Georgia, 2012; (In Georgian)
7. Action Plan for Agreements on the Free and Comprehensive Free Trade Area (DCFTA), Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2019; (In Georgian)
8. Strategy for the development of agribusiness in Georgia, - ICEMBIT 2015: 17th International Conference on Economics and Marketing Management, 2015; (In Georgian)
9. K. Laperashvili, Z. Kuchukashvili, "Safety and quality of beer products" - Lawyer, Tbilisi, 2011, 120 pages; (In Georgian)
10.http://www.fao.org/home/en/http://enpard.ge/ge/gaeros-sursathisa-da-sophl/
11.https://www.ifad.org/en/
12.https://www.un.org/ecosoc/http://www.dcfta.gov.ge/ge/agreement
13.https://www.undp.org/content/undp/en/home.html

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

NEW CHALLENGE FOR BUSINESS - FINANCIAL REPORTING



Mariam Girsiashvili,
Ph.D. Candidate In Finance,
Faculty of Business Technologies, Georgian Technical University,
E-mail:Mariam.ghirsiashvili@gmail.com,
Cell: 577 11 77 34

DOI suffix: 10.36962/NEC62-6303-04202179

ABSTRACT

In the 21st century, international accounting standards are being introduced in more and more countries, which is a way of comparing the economic indicators of countries in the world economy. Many enterprises around the world submit financial statements to external customers. Although the financial statements of different countries are similar to each other, there are still some differences between them, which is due to many social, economic and legislative factors. Also, the creation of national accounting standards in these countries takes into account the interests of different categories of financial reporting users.

These differences are the reason why the financial statements of all enterprises are accompanied by explanatory notes, which provide an explanation of each element of the financial statements in accordance with the accounting policies of the enterprise. Reducing these differences is the goal of the International Accounting Standards Board (IASB).

The purpose of this article is to review the impact of the changes for enterprises registered in Georgia. Enterprises registered in Georgia from 2019 will face various obligations, which have led to changes in Georgian tax legislation and the introduction of international accounting standards. Accordingly, the management of the company focused on bringing each operation carried out in the company in compliance with international standards and Georgian legislation.

The purpose of financial reporting is to create a transparent and trustworthy business environment in the country. From 2019, enterprises will submit financial statements to the Accounting, Supervision and Audit Supervision Service. The submitted report is important for creating a transparent business environment and allows the country to be more informed, to have information about the current economic situation in the country. Consequently more submitted reports are important to get information about the economic situation of the country.

The information presented in the article builds on the experience gained over the last 4 years, which includes the provision of financial reporting services in various sectors. Surveys conducted by company management and accountants and experience gained in preparing financial statements have had a significant impact on the findings in this article.

Keywords: *Financial Reporting, International Standard, Certified Accountant.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ბიზნესის ახალი გამოწვევა - ფინანსური ანგარიშგება

მარიამ ღირსიაშვილი,
საქართველოს ტექნიკური
უნივერსისტეტის ბიზნეს ტექნოლოგიების
ფაკულტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის
კანდიდატი ფინანსებში,
ელ.ფოსტა: Mariam.ghirsiashvili@gmail.com,
მობ: 5771 17 7 34

ანოტაცია

21-ე საუკუნეში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები უფრო და უფრო მეტ ქვეყანაში ინერგება, რაც მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნების ეკონომიკური მაჩვენებლების შედარების გზას წარმოადგენს. მსოფლიოს მრავალი საწარმო წარუდგენს გარე მომხმარებელს ფინანსურ ანგარიშგებას. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური ანგარიშგება ერთმანეთის მსგავსია, მათ შორის მაინც არსებობს გარკვეული განსხვავებები, რაც განპირობებულია მრავალი სოციალური, ეკონომიკური და საკანონმდებლო ფაქტორით. აგრეთვე იმით, რომ ამ ქვეყნებში ბუღალტრული აღრისხვის ეროვნული სტანდარტების შექმნა ხდება ფინანსური ანგარიშგების მომხარევბელთა სხვადასხვა კატეგორიის ინტერესთა გათვალისწინებით. სწორედ ეს განსხვავებებია მიზეზი, იმისა რომ ყველა საწარმოს ფინანსურ ანაგრშგებას თან ერთვის განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოცემულია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების თოთოეული ელემენტის განმარტება. სწორედ ამ განსხვავებების შემცირებაა ბუღატრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) საქმიანობის მიზანი. სტატიის მიზანს წარმოადგენს 2019 წლიდან საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებისთვის განხორციელბული ცვლილებების გავლენის მიმოხილვა. 2019 წლიდან საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები სხვადასხვა ვალდებულების წინაშე დადგენენ, რაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებმა და ბუღალტრული აღრიცხვისა საერთაშორისო სტანდარტების დანერგვამ გამოიწვია. შესაბამისად კომპანიის ხელმძღვანელობა ორიენტირებული გახდა კომპანიაში განხორციელებული თითოეული ოპერაცია შესაბამისობაში მოსულიყო საერთაშორისო სტანდარტებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან. ფინანსური ანგარიშგების მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში განჭირვალე და სანდრო ბიზნესგარემოს შექმნა. 2019 წლიდან საწარმოები წარადგენენ ფინანსურ ანგარიშგებას ბუღალტრული აღრიცხვის, ზედამხედველობის და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. წარდგენილი ანაგრიშება მნიშვნელოვანია გამჭირვალე ბიზნეს გარემოს შესაქმნელად და მეტი ინფორმირების საშუალებას აძლევს ქვეყანას, ფლობდეს ინფორმაციას ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. შესაბამისად მეტი წარდგენილი ანგარიშგება მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად. სტატიაში წარმოდგენილი ინფორმაცია ეყრნობა ბოლო 4 წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, რაც მოიცავს სხვადასხვა სექტორში ფინანსური ანგარიშგების მომზადების მომსახურების გაწევას. კომპანიების ხელმძღვანელობისა და ბუღალტრების გამოკითხვამ და ფინანსური ანგარიშგების მომზადების შედეგად მიღებულმა გამოცდილებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სტატიაში არსებულ დასკვნებზე.

საკვანძო სიტყვები: *ფინანსური ანგარიშგება, საერთაშორისო სტანდარტი, სერთიფიცირებული ბუღალტერი.*

შესავალი

მსოფლიოში მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანური მდგომარეობა მრავალი წელია გასაჯაროებული ფინანსური ანგარიშგებით იზომება. ფინანსური ანგარიშგება არის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების შესახებ ინფორმაცია, რომელიც არის ერთგვარი გზამკვლევი ანგარიშგებით დაინტერესებული პირთათვის.

2021 წელს ბიზნეს სექტორი მრავალი გამოწვევის წინაშე დადგა. 2019 წელს საქართველოში შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის, ზედამხედველობისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური[1], რომლის მისიასაც წარმოადგენს ეფექტური ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ფინანსური და მმართველობითი ინფორმაციის სანდოობის უზრუნველყოფა. გამჭირვალე გარემო კი ქვეყნის განვითარების წინაპირობაა. იმისათვის რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია შეფასებადი და უფრო მეტად გამჭირვალე გახდეს, საჭიროა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბიზნესის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ფინანსური ანგარიშგებით დაინტერესებული პირების ანგარიშგებაში არსებულ ინფორმაციას ძირითადად იყენებენ სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესალებელია დაინტრესებულმა პირებმა მიიღონს გადაწყვეტილება საწარმოს გაყიდვის ან ყიდვის, ინვეტიციის განხორციელების შესახებ, გადახორციელონ მუშაკების ხელფასების ცვლილება, ნასესხების სახსრების შეფასება, განსაზღვრონ საგადასახადო პოლიტიკა, გასანაწილებელი მოგებისა და დივიდენდები და რაც ყველაზე მთავარია დაისახონ მომავალი მიზნები.

სწორედ ამ მიზნით 2016 წელს საქართველოს პარლამენტა მიიღო კანონი[2], რომლის თანახმადაც საქართველოში არსებულმა კომპანიებს დაეკისრათ ვალდებულება 2019 წლიდან წარედგინათ გასული 3 წლის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს რამდენიმე კომპონეტს:

- ფინანსური მდომარეობის შესახებ ანგარიშგება ე.წ ბალანსი,
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგება ე.წ მოგება ზარალი,
- ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება ე.წ cash flow,
- ორგანიზაციის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა,
- განმარტებითი შენიშვნები.

იმისათვის რომ მომხდარიყო საქართველოში არსებული კომპანიების ზომითი კატეგორიის მიხედვით ინდენტიფიცირება, მოხდა კომპანიების დაყოფა კატეგორიების მიხედვით.

დღეის მდგომარეობით ორგანიზაციები იყოფა 6 კატეგორიად:

1. პირველი კატეგორიის საწარმო;
2. მეორე კატეგორიის საწარმო;
3. მესამე კატეგორიის საწარმო;
4. მეოთხე კატეგორიის საწარმო;
5. ჯგუფები;
6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.

ზემოთ აღნიშნული კატეგორიების მიხედვით საწარმოებს გაუჩნდათ სხვადასახვა სახის ვალდებულება ფინანსური ინფორმაციის წარგენის მიზნებისათვის.

პირველი კატეგორიის საწარმოს განეკუთვნება ისეთი საწარმო რომელთა აქტივების ჯამური რაოდენობა 50 მილიონ ლარს აღემატება, შემოსავლი 100 მილიონს, ხოლო დასაქმებულთა საშუალო რაოდებობა 250-ს. ან აკმაყოფილებს ამ 3 კრიტერიუმიდან მინიმუმ 2 კრიტერიუმს.

აღნიშნული კატეგორიის საწარმოები ვალდებულნი არიან წარადგინონ ყოველწლიურად აუდიტებული ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი.

მეორე კატეგორიის საწარმოებს მიეკუთვნება ის საწარმოები რომელთა აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონს ლარს არ აღემატება, შემოსავალი 100 მილიონ ლარს, ხოლო საანგარიშგებო პერიოში დასქმებულთა რაოდენობა 250-ს. ან აკმაყოფილებს ამ კომპონენტებიდან მინიმუმ 2 კრიტერიუმს.

აღნიშნული კატეგირიის საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენენ სრული პაკეტით, და ვალდებულნი არიან წარდგენილი ანგარიშგება იყოს აუდირებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის ზესამხედველობის სამსახურში რეგისტრირებული დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიების და აუდიტორების მიერ.

რაც შეეხება მესამე და მეოთხე კატეგორიის საწარმოების, ისინი გათავისუფლებულნი არიან აუდ-

1 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის ბრძანება # 223, ფინანსური აღრიცხვის, ზედამხედველობისა და აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე

2 საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ზედამხედველობისა და აუდიტის შესახებ 24 ივნისი, 2016

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

იტისგან, თუ საწარმოს ხელმძღვანელობა თავად არ გამოთქვამს სურვილს წარადგინონ აუდირებული ფინანსური ანგარიშგება.

მესამე კატეგორიის საწარმოს მიეკუთვნება ის საწარმობი, რომელთა აქტივების ჯამური ღირებულება 10 მილიონ ლარს აღემატება, შემოსავალი 20 მილიონ ლარს, ხოლო დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 50-ს. ან აკმაყოფილებს ამ 3 კრიტერიუმიდან მინიმუმ ორს.

მეოთხე კატეგორიის საწარმოს განეკუთვნება ის საწარმები, რომელთა აქტივების ჯამური ღირებულება 1 მილიონ ლარს არ აღემატება, შემოსავალი 2 მილიონს ხოლო დასაქმებულთა საშუალო რაოდედენობა 10-ს, ან აკმაყოფილებს მინიმუმ ორ კრიტერიუმს.

ჯგუფებს განეკუთვნება ის საწარმოები რომლებსაც ყავთ შვილობილი საწარმოები.

რაც შეეხება არასამეწარმო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს რომელთა მიზანია არასამეწამეო საქმიანობა.

საქართველოში უმეტესი ნაწილი საწარმოების მიეკუთვნება მესამე და მეოთხე კატეგორიის საწარმოს. ეს სწორედ ის სეგმენტია სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი წილია დასაქმებული.

2019 წელს მესამე და მეოთხე კატეგორიებს ევალებოდათ ანგარიშგების წარდგენა 1 ოქტომბრამდე, თუმცა მეოთხე კატეგორიის საწარმოებს აღნიშნული მოთხოვნა გადაუვადდათ 2 წლის ვადით და წარდგენის ვალდებულება გაუჩნდათ 2021 წლის 1 ოქტომბრამდე.

დასკვნა

ანგარიშგების ვალდებულების გაჩენას კომპანიის მმართველები დააყენა პროფესიონალი ბუღალტრების საჭიროების წინაშე. აღმოჩნდა რომ ის ბუღალტრები, რომელთა ვალდებულება წლის განმავლობაში საწარმოს ფინანსური ინფორმაციის შემოსავლების სამსახურთან წარგენით შემოიფარგლებოდა, მოუწიათ ფინანსური ანგარიშგების შედგენა, შესამაბისად ხელმძვანელობა დადგა არჩევანის წინაშე გადაემზადებინათ არსებული კადრები თუ აღნიშნული მომსახურება გადაეცათ აუდიტორულ კომპანიებზე.

ორივე შემთხვევაში ყველა კომპანიისთვის ანგარიშგების წარდგენის ვალდებულებამ გაზარდა კომპანიის ბუღალტრული და აუდიტორული მომსახურების დანახარჯები. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა ახალმა რეგულაციებმა გამოიწვია ბუღალტრებს შორის კონკურენცია. გარკვეულმა კატეგორიამ, რომლებშიც გაჩნდა სამსახურის დაკარგვის შიში, მიიღეს გადაწყვეტილება თავად დაეფინანსებინათ კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო კურსები. შესაბამისად გაიზარდა მოთხოვნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკულ და თეორიულ კურსებზე.

ბაზარზე გამოჩნდენ ორგანიზაციები, რომლებმაც დააორგანიზეს სხვადასხვა სახის ტრენინგები, სადაც მსურველთა რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა. თუმცა საწარმოების ხელმძღვანელობის მცირე ნაწილი იყო ინფორმირებული თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებაზე. სწორედ ამიტომ გარკვეულ წილად ყველაზე დაბალშემოსავლიანი პროფესიის წარმომადგენლები თავად წევდნენ დანახარჯების იმისათვის რომ მომავალში არ მომხდარიყო მათი ჩანაცვლება კვალიფიციური ბუღალტრებით.

კანონმდებლობის ცვლილების შედეგად კომპანიებმა დაიწყეს ზრუნვა ფინანსური აღრიცხვის მოწესრიგებაზე, შეიძინეს ბუღალტრული პროგრამები, მიიღეს მომსახურება კვალიფიციური ბუღალტრებისა და აუდიტორებისგან, რამაც გაზარდა კომპანიის დანახარჯები.

თავდაპირველად საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების დროს პროექტით განსაზღვრული იყო ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმომწერ პირად პროფესიონალი ბუღალტერი[3], ამის შემდგომ მოხდა საქართველოში არსებული საწარმოების სავალდებულო გამოკითხვა შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რათა დაედგინათ რამდენი კომპანია სარგებლობდა პროფესიონალი ბუღალტრის მომსახურებით. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 10% სარგებლობდა პროფესიონალი ბუღალტრის და აუდიტორის მომსახურებით. შესაბამისად ბაზარზე გაჩნდებოდა დისბალანსი მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, კერძოდ, სერტიფიცირებულ პროფესიონალი ბუღალტრის ადამიანური რესურსი ვერ დაფარავდა ყველა კომპანიის მოთხოვნას.

სწორედ ამიტომ კანონი აღნიშნული რედაქციით არ დამტკიცდა და ამოღებულ იქნა პროფესიონალი ბუღალტრების ხელმოწერის მოთხოვნა.

2020 წლის ანგარიშგება ამ პერიდიოსდისთვის წარდენილი აქვს 58 ათასზე მეტ საწარმოს. 2020 წლის მდგომარეობით საქართველოს პროფესი-

3 http://gfpaa.ge/site/index.php?tid=0&color=green&lid=35&sid=37

ონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციაში რეგისტრირებულია 467 სერთიფიცირებული ბუღალტერი. შესაბამისად მოთხოვნა მიწოდებაში საკმაოდ დიდი დისბალანსია.

2021 წელს კომპანიებმა იზრუნეს ბიზნეს ოპერაციების თანხვედრაზე საკანონმდებლო კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან, შესაბამისად კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან ერთად დაინტერესებულმა პირებმა მიიღეს სანდო ინფორმაცია კომპანიების პოზიციის, მოგების მაჩვენებლებისა და ხარჯების შესახებ.

REFERENCES:

1. http://gfpaa.ge/site/index.php?tid=0&color=green&lid=35&sid=37
2. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3928?publication=0
3. https://saras.gov.ge/Content/files/2017_Conceptual_Framework.pdf
4. Order of the Minister of Finance of Georgia dated September 14, 2016 No. 223 "On approval of the Regulation on the Financial Accounting, Supervision and Audit Service". (In Georgian)
5. Law of Georgia "On accounting, supervision and audit" June 24, 2016; (In Georgian)
6. International Financial Reporting Standard, 2015; (In Georgian)
7. Conceptual Framework for Financial Reporting - International Accounting Standards Board, 2010. (In Georgian)

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

TAXES – ACCORDING TO FAIRNESS, UTILITY OR SOLVENCY?

Onise Mirtskhulava,
Doctoral of Georgian Technical University
E-mail: onisemirtskhulava@gmail.com
Cell: +995 558412031

DOI suffix: 10.36962/NEC62-6303-04202184

SUMMARY

*In the article - **"Taxes - in terms of fairness, utility or solvency?"** – it is discussed about the tax regime used in Georgia, which, despite many changes, has not become a stimulus for business development yet. The author notes that neither the preferential taxation of micro and small enterprises nor the Estonian model of taxation has caused a "Boom" of business prosperity in Georgia.*

According to the author of the article, Georgia should immediately iimplement a progressive regime of taxation, ie taxation according to the solvency of the taxpayer. It will be fair and beneficial to the country's budget.

Keywords: *taxes; Justice; Usefulness; Solvency.*

გადასახადები - სამართლიანობის, სარგებლიანობის თუ გადახდისუნარიანობის მიხედვით?

ონისე მირცხულავა,
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი
E-mail: onisemirtskhulava@gmail.com
Cell: +995 558412031

რეზიუმე

*სტატიაში - **„გადასახადები - სამართლიანობის, სარგებლიანობის თუ გადახდისუნარიანობის მიხედვით?"** - საუბარია საქართველოში გამოყენებულ დაბეგვრის რეჟიმზე, რომელიც მრავალი ცვლილებების მიუხედავად, ჯერ-ჯერობით ვერ იქცა ბიზნესის განვითარების მასტიმულირებელ ფაქტორად. ავტორი აღნიშნავს, რომ არც მიკრო და მცირე საწარმოთა შეღავათიანმა დაბეგვრამ და არც დაბეგვრის ესტონურმა მოდელმა საქართველოში ბიზნესის აყვავების „ბუმი" ვერ გამოიწვია.*

სტატიის ავტორის აზრით, საქართველომ დაუყოვნებლივ უნდა დანერგოს დაბეგვრის პროგრესული რეჟიმი, ანუ დაბეგვრა გადასახადის გადამხდელის გადახდისუნარიანობის მიხედვით. ეს სამართლიანიც იქნება და ქვეყნის ბიუჯეტისთვის სასარგებლოც.

საკვანძო სიტყვები: *გადასახადები; სამართლიანობა; სარგებლიანობა; გადახდისუანრიანობა.*

შესავალი

30 წელია საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და 20 წელია საბაზრი ეკონომიკაზე გადასვლის გზას ადგას. ის იმედი და მოლოდინი, რაც საქართველოს მოსახლეობას საბაზრო ეკონომიკისაგან ჰქონდა, დღითი-დღე დნება. აშკარაა, რომ მოსახლეობის ძირითადი მასა დღეს უფრო გაჭირვებულად ცხოვრობს, ვიდრე, გუშინ ცხოვრობდა. ეს „გუშინ" კი, „გუშინწინდელზე" უარესი იყო. ცხადია, არც „გუშინ" და არც „გუშინწინ" დღეები არ არის, ეს წლებია...

წლები მიდის საქართველოს მოსახლეობის სი-

ღარიბეში და უიმედობაში. გვეგონა, გავუძლებდით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ქაოსს და გამოჩნდებოდა მწვანე შუქი გვირაბის ბოლოს. ფაქტია, რომ ეს არ მოხდა. არც მაშინ და არც ეხლა, არავინ ამბობდა რამდენი წელი სჭირდებოდა ამ გადასვლას. როგორც ჩანს, არ გადავსულართ, რადგა, ისევ ქაოსი და ისევ გასაჭირია - მატერიალურიც და სულიერიც.

აშკარაა, რომ ვერ ავირჩიეთ სწორი გზა, უფრო სწორად გზა კი სწორად ავირჩიეთ, მაგრამ გადასადგმელი ნაბიჯები აგვერია - პირადი ინტერესი წინ დავაყენეთ სახელმწიფოებრივზე. კი, ასეთი სხვაგანაც მომხდარა - სამხრეთ კორეაშიც, სინგაპურშიც, მაგრამ, მათ აღიარეს, დაძლიეს და „აზიის ვეფხვებად“ იქცნენ. ჩვენ? ჩვენ, ამიერკავკასიის რეგიონის პირველი სახელმწიფოს ამბიცია გვქონდა ყოველთვის და, ვიყავით კიდეც, ეხლა კი - რეგიონში მაშინაც ყველაზე ჩამორჩენილი სომხეთიც კი გვჯობნის - მოსახლეობის დასაქმებითაც და ცხოვრების დონითაც.

ასეთ დროს, მთავრობის მხრიდან მხოლოდ ის გვესმის, თუ როგორი ზრდა არის საქართველოში. ეტყობა საჯარო სამსახურების ზრდა-განვითარება-გაფართოება აქვთ მხედველობაში, რომლებშიც თავისი ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები და მათი ახლოსმყოფი ადამიანები ჰყავთ დასაქმებულნი. ეს, ალბათ, საქართველოს მოსახლეობის 1-5%-ია, და, არა 95-99%. საოცარია, საქართველოს მთავრობაში როგორ არავის არ უჩნდება კითხვა - რა ქნას ქვეყნის მოსახლეობის ამ დანარჩენმა ნაწილმა, როგორ და რით იცხოვროს, მით უფრო, ამ პანდემიის პირობებში?

ძირითადი ტექსტი

საზღვარგარეთ მაღალგანვითარებული ქვეყნების 200-300 წლის ისტორია გვამცნობს, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ძირითადი მოსახლეობა კერძო სექტორში (ბიზნესში) საქმდება. სახელმწიფოს ევალება მხოლოდ მათ ასეთი თვითდასაქმებისთვის სათანადო პირობები შეუქმნას. დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა საქართველომ ოთხი მთავრობა გამოიცვალა და, ვერცერთმა მათგანმა მოსახლეობას ეს პირობები ვერ შეუქმნა.

რა პირობები იყო ეს? ეს პირობები იყო: **მარტივი ბიზნესის** სწავლება და **დაბალი გადასახადები.** ყველა ქვეყანამ, ვინც ჩვენთან ერთად დაადგა საბაზრო ეკონომიკის გზას, მაგალითად, უნგრეთი, ჩეხეთი, პოლონეთი და სხვები, გახსნა ბიზნესინკუბატორები და მათში მოსახლეობას მასიურად უფასოდ ასწავლა მარტივი ბიზნესი. ჩვენ, არცერთი ინკუბატორი არ გაგვიხსნია. რაც შეეხება გადასახადებს, მხოლოდ დიდი დროის გასვლის შემდეგ, ჯერ 2011 წელს და, შემდეგ, 2018 წელს მივეცით შეღავათები მხოლოდ მიკრო და მცირე საწარმოებს, ისიც არა ყველა ბიზნეს საქმიანობას, არამედ, მხოლოდ ზოგიერთს.

2018 წლის შემდეგ, ამ საგადასახადო შეღავათების მიუხედავად, მცირე ბიზნესის „აყვავება“ მაინც არ ჩანს (2018-2020 წლებში რეგისტრირებულ მცირე საწარმოს რიცხვი გაიზარდა მხოლოდ 12,8%-ით, ბრუნვა - 18%-ით, ხოლო დასაქმება შემცირდა 12%-ით) [1. გვ. 25, 27, 109]. გამოდის რომ, ამ „მაშველმა რგოლმაც“ მცირე ბიზნესს ვერაფერი ვერ უშველა. საქართველოს ყველაზე დიდი პრობლემა არის უმუშევრობა. ასეთ დროს, 2018-2020 წლებში საქართველოს მცირე ბიზნესში ზრდის ნაცვლად, დასაქმება 12%-ით არის შემცირებული. რომ იტყვიან კომენტარები ზედმეტია.

გვებადება ასეთი აზრი: იქნება აჯობებს ეს 1%-იანი გადასახადიც გავუუქმოთ ახლადგახსნილ მცირებიზნესსტატუსმინიჭებულ საწარმოებს პირველი 5-10 წლის განმავლობაში (თანაც, გავაფართოვოთ მიკრო და მცირე სტატუსის მისანიჭებელ საქმიანობათა სია) და ამ მიზეზით ბიუჯეტის შემოსავლებში გამოწვეული შემცირება ავანაზღაუროთ პროგრესული გადასახადის შემოღებით, რომელიც შეეხებათ მაღალშემოსავლიან საწარმოებს (და ადამიანებს).

ცნობილია, რომ ქვეყანაში მოქმედი დაბეგვრის სისტემა სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს. ამ პრინციპების განხორციელება ორი გზით ხდება. პირველი ეფუძნება გადასახადის გადამხდელთა სარგებელს, რაც მათ გადასახადის გადახდის ექვივალენტად მიიღეს სახელმწიფო მომსახურებით, ხოლო მეორე - გადასახადის გადამხდელის შესაძლებლობას გამოხატულს გადახდისუნარიანობაში.

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ორივე ეს მიდგომა დიდი ხანია გამოიყენეს. ჩვენ ვაცხადებთ ევროპისკენ სწრაფვას, მაგრამ ამ სფეროში 30 წელია მათი პრაქტიკა, კერძოდ, დაბეგვრა გადასახადის გადამხდელის გადახდისუნარიანობის მიხედვით, ჯერაც ვერ დავნერგეთ.

ასეთი დაბეგვრა პროგრესულ დაბეგვრად იწოდება., ანუ მეწარმეები იბეგრებიან მათი შემოსავლების სიდიდის მიხედვით. საქართველოში დაბეგვრა პროპორციულია, ანუ ყველა გადამხდელი იბეგრება ერთნაირი განაკვეთით - საშემოსავლო გადასახადი - 20%, მოგების გადასახადი - 15% (მხედველობაში არ გვაქვს სტატუსმიღებული მიკრო და მცირე საწარ-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მოები). ასეთ დროს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელსაც მსოფლიოს ლიდერობაზე აქვს პრეტენზია და, ჯერ-ჯერობით არის კიდეც, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი პროგრესული შკალით აქვს დიფერენცირებული, ხოლო მოგების გადასახადი - პროგრესულ-რეგრესულის ჰიბრიდით (ჯერ პროგრესული განაკვეთები, შემდეგ რეგრესული). ამით აშშ-ს მთავრობა ბარიერებს უქმნის მსხვილ, მაღალმომგებიან კორპორაციებს, რომ მათ დიდი გადასახადებისგან თავის ასარიდებლად კორპორაცია არ დაყონ მცირე საწარმოებად [2. გვ. 21].

იგივე მდგომარეობაა ევროპის ქვეყნებში. დიდ ბრიტანეთში საშემოსავლო გადასახადის 3 განაკვეთი მოქმედებს 0%-დან 50%-მდე დიაპაზონით, საფრანგეთში საშემოსავლო გადასახადის დიაპაზონია 0-დან 50%-მდე, იტალიაში - 23%-0დან 43%-მდე, პორტუგალიაში - 0%-დან 42%-მდე, შვედეთში - 0%-დან 56%-მდე, დანიაში - 38%-დან 59%-მდე და ა. შ. [3. გვ. 62]. ევროპის ქვეყნებში დიფერენცირებულია იურიდიული პირების მოგების გადასახადის განაკვეთებიც. ერთი სიტყვით, აშშ-იც და ევროპაშიც მოქმედი საგადასახადი სისტემა სამართლიანობის პრინციპზეა აგებული. იგივე ითქმის აზიის ქვეყნებზე - ჩინეთზე, იაპონიაზე, ინდოეთზე, სინგაპურზე, სამხრეთ კორეაზე და სხვებზე. ყველა ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში პროგრესული საგადასახადო სისტემებია დანერგილი და მათი განვითარების პრაქტიკა გვიჩვენებს ასეთი საგადასახდო სისტემების სამართლიანობას და ვარგისიანობას.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ასეთი სამართლიანი საშემოსავლო გდასახადი გვქონდა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ წლებში საქართველოში პროგრესული დაბეგვრის წესი მოქმედებდა. ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები შემდეგნაირად იყო დიფერენცირებული (ცხრილი 1).

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ამ პერიოდში საქართველოში მოქმედებდა საშემოსავლო გადასახადის რთული პროგრესული წესი, რაც ნაზარდი თანხის დაბეგვრაში გამოიხატება. ეს ჩანს შემდეგი გაანგარიშებებიდან:

• 10 000 000 კუპონამდე შემოსავლის მქონე ფიზიკური პირები იხდიდნენ მის 12%-ს ანუ 1 200 000 კუპონს;

• 20 000 000 კუპონამდე შემოსავლის მქონენი პირველ 10 000 000 კუპონზე კვლავაც იბეგრებოდნენ 12%-ით ანუ 1 200 000 კუპონით, შემდეგ კი მას ემატებოდა მეორე 10 000 000 კუპონის 15%-იანი გადასახადი ანუ 1 500 000 ანუ ამ შემოსავლის მქონენი მთლიანად გადაიხდიდნენ 1 200 000 + 1 500 000 = 2 700 000 კუპონს;

• 30 000 000 კუპონამდე შემოსავლის მქონენი 20 000 000 კუპონზე გადაიხ-დიდნენ 2 700 000 კუპონს, რომელსაც დაემატებოდა შემოსავლის დარჩენილი წილის ანუ 10 000 000-ის 17%, რაც შეადგენდა 1 700 000 კუპონს, ანუ ასეთი შემოსავლის მქონენი მთლიანად გადაიხდიდნენ 2 700 000 + 1 700 000 = 4 400 000 კუპონს;

• 30 000 001 და მეტი კუპონის შემოსავლის მქონე ფიზიკური პირები, 30 000 000 კუპონ შემოსავალზე გადაიხდიდნენ 4 400 000 კუპონს, რომელსაც დაემატებოდა 20%-იანი გადასახადი გამოანგარიშებული მხოლოდ იმ შემოსავლის მიმართ რომელიც ამ 30 000 000 ლარზე მეტი აღმოჩნდებოდა. თუ ეს ნამატი იქნებოდა, დავუშვათ 15 000 000 კუპონი, მაშინ გადასახადის გადამხდელი ამ თანხაზე გადაიხდიდა მის 20%-ს ანუ 3 000 000 კუპონს, ხოლო მთლიანობაში გადასახდელი ექნებოდა 4 400 000 + 3 000 000 = 7 400 000 კუპონი.

ამ წლებში საქართველოში არსებობდა დაუბეგრავი მინიმუმიც. ეს იყო შრომის ანაზღაურების თვიური მინიმალური ოდენობა, რომელიც არ იბეგრებოდა.

ცხრილი 1

საშემოსავლო გადასახადი საქართველოში 1994 წელს [4, გვ. 18]

ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა კალენდარული წლის განმავლობაში	გადასახადის სიდიდე
10 000 000 კუპონამდე	შემოსავლის თანხის 12%
10 000 001 კუპონამდე _ 20 000 000 კუპონამდე	12 00 000 კუპონს + 10 000 000 კუპონზე მეტი თანხის 15%
20 000 001 კუპონამდე _ 30 000 000 კუპონამდე	2 700 000 კუპონს + 20 000 000 კუპონზე მეტი თანხის 17%
30 000 001 კუპონი და მეტი	4 400 000 კუპონს + 30 000 000 კუპონზე მეტი თანხის 20%

პროგრესული იყო საშემოსავლო გადასახადი ქართული ფულის ერთეულის - ლარის შემოღების (1995 წ.) შემდეგაც 2005 წლამდე. ამ პერიოდში საქართველოში მოქმედ საგადასახადო კოდექსით 200 ლარამდე შემოსავალზე ფიზიკური პირები იხდიდნენ შემოსავლის 12%-ს, ანუ 24 ლარს, 201 ლარიდან 350 ლარამდე შემოსავალზე იხდიდნენ 200 ლარზე კვლავაც 12%-ს, ხოლო ნამეტ 150 ლარზე (350 – 200 = 150) _ 15%-ს და ა. შ.

2004 წლის 22 დეკემბერს საქართველო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმოწერით ასამოქმედებლად დამტკიცებულ ახალ საგადასახადო კოდექსში ფიზიკურ პირთა პროგრესული საშემოსავლო გადასახადი შეიცვალა პროპორციული გადასახადით და ყველა რანგის შემოსავლის მქონეთათვის დაწესდა 12%-ის ტოლად [5, გვ. 123]. ასე გაგრძელდა 2008 წლამდე. 2008 წელს გაუქმდა რა 20%-იანი სოციალური გადასახადი, 12%-იანი საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა 25%-მდე და მთლიანობაში თუ 2008 წლამდე ორივე გადასახადი ჯამურად შეადგენდა 20 + 12 = 32%-ს, 2008 წელს იგი დარჩა 25%. 2008 წლიდან სოციალური გადასახადი აღარ არსებობს, 25%-მა საშემოსავლო გადასახადმა კი იარსება 2009 წლამდე, შემდეგ კი, შემცირდა 20%-მდე და ასეა დღესაც.

არც 2005 წელს და არც შემდეგ წლებში, არავის დაუსაბუთებია, რატომ შეიცვალა საშემოსავლო პროგრესული გადასახადი პროპორციულით, ან რით საბუთდება მისი განაკვეთის ასეთი ცვლა: 12% → 25% → 20%. ეკონომიკური თეორიის კლასიკოსები მიუთითებენ, რომ საგადასახადო დაბეგვრა უნდა იყოს ზომიერი. ჩვენ შემთხვევაში რომელია ზომიერი 12, 25 თუ 20%?

ჯერ კიდევ 2007 წელს, როცა გაჟღერდა მოსახლეობისადმი საქართველოს პრეზიდენტის დაპირება, რომ იგი 2008 წლიდან საშემოსავლო და სოციალურ ჯამურ გადასახადს 32%-დან 25%-მდე დაწევას აპირებდა, რაც კიდეც მოხდა სოციალური გადასახადის მთლიანი გაუქმებით და საშემოსავლო გადასახადის 12%-დან 25%-მდე ამაღლებით, ეკონომიკის ექსპერტმა გია ხუხაშვილმა, მასზე ასეთი კომენტარი გააკეთა: „თუ ვინმეს სურდა, რომ ორივე მხარისთვის (იგულისხმება დამქირავებელი და დაქირავებული - გ. ა.) შეღავათი გაეწია, ორივე გადასახადი უნდა დაეტოვებინა, რადგან თითოეულს სხვადასხვა ფუნქცია და დანიშნულება აქვს, და ორივეს განაკვეთი უნდა შეემცირებინა - საშემოსავლო - 10, სოციალური კი - 15 პროცენტი უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში ყველაფერი გარკვეული იქნებოდა. ის რომ ამ ორი გადასახადის გაერთიანებით დამქირავებელს საქმე უმარტივდება არაკვალიფიციური არგუმენტია“ [6, გვ. 27]. ასეთი მიდგომა და აღნიშნული კომენტარი ჩვენ სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია, თუმცა აქაც არ ჩანს, რატომ საშემოსავლო - 10 და სოციალური - 15, ხომ არ აჯობებდა პირიქით თუ იქნებოდა?

დასკვნა. დაგვიანების მიუხედავად, საქართველოში უნდა დაინერგოს დაბეგვრის პროგრესული სისტემა. ეს სამართლიანიც იქნება და სარგებლიანიც ქვეყნის ბიუჯეტისთვის.

REFERENCES:

1. Business Sector in Georgia. Statistical publication. Tb., 2021. (In Georgian)
2. **Bakradze T**. The tax system of Georgia and the main directions of its improvement, journal: «Social Economy». # 2. 2012. (In Georgian)
3. **Chitanava N., Takalandze L**. Social economy, formation and development. part 1. Tbilisi, 2008. (In Georgian)
4. **Bukia I.** Small Business Support Tax Policy in Georgia. Journal: «Economy and Business». # 1. 2019. (In Georgian)
5. Tax Code of Georgia. Tbilisi, 2005. (In Georgian)
6. Tax relief or public deception? Newspaper “ Kviris Palitra». January 4-10. 2007. (In Georgian)
7. **Bolkvadze B**. For the issue of the relationship between traditional and Estonian models of taxation. journal: «Economy and Business». # 2. 2018. (In Georgian)
8. Supporting the Development of More Effective Tax Systems, Report G-20. 2019.
9. **Viera Bestvinova**, Financial and Tax Management in Small and Medium Sized Industrial Enterprises. 2012. (In Georgian)
10. **Khalkhelauri Kh.** The Results of profit tax reform in Georgia. GTU Conference Proceedings. V. 2. 2021. (In Georgian)
11. **Chkhaidze I**. Improving the budget-tax system. Tbilisi, 2013. (In Georgian)

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

გამოვიდა აკადემიკოს **ნოდარ ჭითანავას** კიდევ ერთი საინტერესო და საჭირო წიგნი **„გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში“.**

„წარმოდგენილ ნაშრომში გაანალიზებულია ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის 30-წლიანი გამოცდილება, მიზეზ-ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზიგზაგისებური ხასიათი, კონტრასტული ნიშან-თვისებები, საზოგადოებაში ინტერესების დაპირისპირების პროცესები, კორონავირუსის ეპიდემიით გამოწვეული პრობლემები. შემოთავაზებულია სისტემური კრიზისიდან გამოსვლის დაჩქარებისა და ეკონომიკის თვისებრივად ახალ ტრაექტორიაზე გადასვლისთვის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური რეკომენდაციები.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით დაინტერესებული მკითხველისთვის.“ ვკითხულობთ წიგნის ანოტაციაში.

ბატონმა ნოდარმა „პანდემიის გამოცხადებიდან სულ რამდენიმე დღეში, მეტად საინტერესო, ფართო დიპაზონის მოსაზრებები შემოგვთავაზა. მეცნიერის მიერ ფაქტობრივი გარემოებების განხილვით მოცული საკითხთა წრე, ეპიდემიით გამოწვეული სოციალური, ეკონომიკური თუ მსოფმხედველობრივი პრობლემების ჩარჩოებს იმთავითვე შორს გასცდა. პირველსავე წერილში გაცხადებული მსოფლიოსთვის ახალი განსაცდელის წარმოსახვის მისეული „ათი თეზა“, რომელშიც მძვინვარე ვირუსის ეპიდემიის გავრცელების შედეგებზე დაკვირვებით შენიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროცესებია ასახული, საჟურნალოზე ბევრად მეტ საყურადღებო, საკაცობრიო და საქრესტომათიო აზრებს მოიცავს. მათ შორის, ფუნდამენტურია: „გლობალურ გამოწვევებთან თავსებადობის იმუნიტეტის გამომუშავებისა და ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების აუცილებლობაზე“ მინიშნება. განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ გამოცდილებაზე დაფუძნებული და ლაკონურად ჩამოყალიბებული ყველა დროის ეს მთავარი საზრუნავი ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებულად აქტუალურია.

ერთ-ერთ თეზაში მკაფიოდ ითქვა, რომ „დღეს პოლიტიკურ სიმწიფეზე გამოცდას აბარებს ნაციონალური სახელმწიფო, ეფექტიანობაზე - ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, სამოქალაქო თვითშეგნებაზე - საზოგადოება. განვლილმა დრომ დაადასტურა, ეს სწორედ რომ გამოცდაა, - ურთულესი, უმძიმესი, უსასტიკესი შერკინება გლობალურ გამოწვევებთან. ამ ორთაბრძოლას მსოფლიო, ფაქტობრივად, მოუმზადებელი შეხვდა - ადამიანი ფარის გარეშე, უიარაღოდ აღმოჩნდა ხახადაღებული ურჩხულის წინაშე!

შექმნილ უმძიმეს მდგომარეობაზე მოსაზრების ჩამოყალიბებისას, ბატონმა ნოდარმა მრავ-



ლისმეტყველურად შენიშნა, რომ „ყველაფერს კორონა ვირუსს ნუ დავაბრალებთ, ეკონომიკური კრიზისის ფესვები უფრო შორიდან მოდის“. ადვილი მისახვედრი იყო, რომ სათავე საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირების შემდგომ, გაუაზრებელი სისტემური გარდაქმნების წიაღიდან იწვერებოდა და მსჯელობისას მათ გვერდს ვერ ავუვლიდით.“ ამბობს რედაქტორის გვერდზე ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ბატონი იური პაპასქუა.

„დიალოგის ფორმატმა შექმნა ახალი იდეების, პრობლემების, ბუნებრივ-ბიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური კანონების ურთიერთქმედების თითქოს უხილავ პროცესებზე წერტილოვანი აქცენტირების შესაძლებლობა და ავტორმაც მარტივად, სხარტად, მკაფიოდ გამოკვეთა გარედან თავსმოხვეული იდეოლოგიური ექსპანსიის, გამოუცდელობის, მართვის ანბანის უცოდინარობის, შიგნიდან დაშვებული უხეში შეცდომების გამო დასახიჩრებული ეროვნული ეკონომიკის რეალური სურათი, აგრეთვე ჯერ კიდევ სასწაულებრივად გადარჩენილი მატერიალური და ადამიანური პოტენციალის გონივრულად წარმართვის პერსპექტივა.

დაკვირვებულ მკითხველს წინამდებარე წიგნი ხელს შეუწყობს ობიექტურად აღიქვას ეროვნული ეკონომიკის სიღრმისეული პროცესები, გააცნობიეროს როგორც ხილული, ასევე უხილავი პრობლემები (პროცესები) და ნათლად წარმოიდგინოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მომავალი.“ ვკითხულობთ სამეცნიერო რედაქტორის შესავალ წერილში.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ახალი ეკონომისტი The New ECONOMIST

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა — 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია იბეჭდება ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 10 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება — 10 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE33LB0113168905809000, სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდია LERTGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
tel: 299-05-76; 555 277 554; 558 944 800.
PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.

3. The article must have abstract in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article will published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- one page of journal 10 GEL (Lari) or 5 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 10 GEL (Lari) or 5 USD.

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE33LB0113168905809000,, "liberty bank", central office, bank code LERTGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 558 944 800.
PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

www.neweconomist.com.ge
E-mail: editor@neweconomist.com.ge